

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი  
მიკროსაფინანსო ორგანიზაცია შპს „რიკო ექსპრესი“

ფინანსური ანგარიშგება

*2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის  
დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნასთან ერთად*

## სარჩევი

### დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება.....	1
სრული შემოსავლის ანგარიშგება .....	2
საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება.....	3
ფულადი ნაკადების ანგარიშგება.....	4

### ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ძირითადი საქმიანობა .....	5
2. მომზადების საფუძველი .....	6
3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ .....	6
4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასებები .....	14
5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ.....	16
6. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები.....	16
7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები .....	17
8. იჯარები .....	20
9. ძირითადი საშუალებები .....	22
10. მოგების გადასახადი.....	23
11. სხვა აქტივები.....	25
12. გამოშვებული მარტივი თამასუქები .....	25
13. ნასესხები სახსრები .....	26
14. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები .....	27
15. სხვა ვალდებულებები .....	27
16. საკუთარი კაპიტალი .....	27
17. პირობითი ვალდებულებები .....	28
18. საკომისიო შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან და საკომისიო ხარჯები .....	28
19. შემოსულობა დასაკუთრებული ოქროს გაყიდვიდან და სხვა შემოსავალი.....	28
20. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები .....	29
21. რისკის მართვა .....	29
22. აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი .....	43
23. სამართლიანი ღირებულების შეფასება .....	44
24. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები .....	47
25. კაპიტალის მართვა.....	49
26. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან და სხვა არაფულადი მოძრაობებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში.....	50
27. შემდგომი მოვლენები .....	51



შპს იუაი  
საქართველო, 0105, თბილისი  
კოტე აფხაზის ქუჩა 44  
ტელ: +995 (32) 215 8811  
www.ey.com/ge  
www.facebook.com/EYGeorgia

EY LLC  
44 Kote Abkhazi street  
Tbilisi, 0105, Georgia  
Tel: +995 (32) 215 8811  
www.ey.com/ge  
www.facebook.com/EYGeorgia

## დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის შპს „მსო რიკო ექსპრესის“ აქციონერსა და სამეთვალყურეო საბჭოს

### დასკვნა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

#### მოსაზრება

ჩავატარეთ კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის შპს „მსო რიკო ექსპრესის“ (შემდგომში „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც შედგება 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებისგან, აღნიშნული თარიღით დამთავრებული წლის სრული შემოსავლის ანგარიშგების, საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებისა და ფულადი ნაკადების ანგარიშგებისაგან, ასევე ფინანსურ ანგარიშგებაზე დართული შენიშვნებისგან, მათ შორის, სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ არსებითი ინფორმაციისგან.

ჩვენი აზრით, თანდართული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, სამართლიანად ასახავს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, აგრეთვე მისი საქმიანობის ფინანსურ შედეგებსა და ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით, ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისად.

#### მოსაზრების საფუძველი

აუდიტი წარმართეთ აუდიტის საერთაშორისო სტანდარტების (ასს-ების) შესაბამისად. ამ სტანდარტებით განსაზღვრული ჩვენი პასუხისმგებლობები დეტალურად აღწერილია ჩვენი დასკვნის – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“ – ნაწილში. ჩვენ დამოუკიდებლები ვართ კომპანიისგან ბუღალტერთა ეთიკის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს (ბესსს) პროფესიონალი ბუღალტრების ეთიკის კოდექსის (მათ შორის დამოუკიდებლობის საერთაშორისო სტანდარტები) (ბესსს-ის კოდექსი) და იმ ეთიკური მოთხოვნების შესაბამისად, რომლებიც ეხება საქართველოში ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტს და შესრულებული გვაქვს ამ მოთხოვნებით და ბესსს-ის კოდექსით გათვალისწინებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, რომ ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტის მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად.



Building a better working world

### აუდიტის ძირითადი საკითხები

აუდიტის ძირითად საკითხებად მიიჩნევა ისეთი საკითხები, რომლებიც, ჩვენი პროფესიული შეფასებით, ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების ჩვენ მიერ ჩატარებულ აუდიტში. ეს საკითხები მთლიანობაში განვიხილეთ ჩვენ მიერ ჩატარებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტისა და თანდართული ფინანსური ანგარიშგების შესახებ ჩვენი მოსაზრების ჩამოყალიბების კონტექსტში და ამ საკითხებზე ცალკე მოსაზრებას არ გამოვთქვამთ. ქვემოთ თითოეული საკითხისთვის მოცემული განმარტება იმისა, თუ როგორ განვიხილეთ აღნიშნული საკითხი აუდიტის განმავლობაში, წარმოდგენილია ჩატარებული აუდიტის კონტექსტში.

ჩვენ შევასრულეთ პასუხისმგებლობა, რომელიც დაწვრილებითაა აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე“, აღნიშნული საკითხების ჩათვლით. შესაბამისად, ჩვენი აუდიტი მოიცავდა ისეთი პროცედურების ჩატარებასაც, რომელთა მიზანიც იყო რეაგირება ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობების ჩვენ მიერ შეფასებულ რისკებზე. ჩვენი აუდიტის პროცედურების, მათ შორის ქვემოთ მოცემული საკითხების განსახილველად ჩატარებული პროცედურების შედეგები, წარმოადგენს თანდართულ ფინანსურ ანგარიშგებაზე ჩვენი აუდიტორული მოსაზრების საფუძველს.

აუდიტის ძირითადი საკითხები	როგორ მივუდექით აუდიტის ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში
<b>მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება</b>	
<p>მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ფასს (IFRS) 9-ის („ფინანსური ინსტრუმენტები“) საფუძველზე ხელმძღვანელობის განსჯის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს.</p>	<p>ჩვენ შევაფასეთ კომპანიის მიერ მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშების მეთოდოლოგია.</p> <p>გამოვცადეთ ვადაგადაცილებული სესხების აღრიცხვის კონტროლები.</p>
<p>საკრედიტო რისკის და გაუფასურების მნიშვნელოვანი ზრდის შემთხვევების შეფასება, დეფოლტის ალბათობის და დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების განსაზღვრა მნიშვნელოვან პროფესიონალურ განსჯას და დაშვებების გამოყენებას გულისხმობს.</p>	<p>შევაფასეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასების ამოსავალი მონაცემები, რომლის მიმართაც მოდელი განსაკუთრებით მგრძობიარეა. ჩვენი პროცედურები მივმართეთ სალომბარდო სესხების ოქროს უზრუნველყოფის არსებობასა და შეფასებაზე.</p>



Building a better working world

აუდიტის ძირითადი საკითხები

როგორ მივუდევით აუდიტის ძირითად საკითხს ჩვენი აუდიტის განმავლობაში

მომხმარებლებზე გაცემული სესხებიდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მოიცავს შეფასების მეთოდების გამოყენებას არაემპირიული ამოსავალი მონაცემებით, მათ შორის დეფოლტის ალბათობის, დეფოლტის რისკის და დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების განსაზღვრას ხელმისაწვდომი განვლილი მონაცემების საფუძველზე, რომელიც კორექტირდება საპროგნოზო ინფორმაციის გათვალისწინებით, საპროგნოზო მაკროეკონომიკური პარამეტრების ჩათვლით.

სხვადასხვა მოდელების და დაშვებების გამოყენებამ შესაძლოა გამოიწვიოს მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მნიშვნელოვნად განსხვავებული შეფასება. კონკრეტულად, მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მგრძობიარეა ოქროთი წარმოდგენილი საბაზისო უზრუნველყოფის არსებობისა და შეფასების მიმართ. კომპანიის ფინანსური პოზიციისთვის მომხმარებლებზე გაცემული სესხების საბალანსო ღირებულების მნიშვნელობიდან, ასევე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებასთან დაკავშირებული სირთულეებისა და განსჯიდან გამომდინარე, ამ სფეროს აუდიტის ძირითად საკითხს მივაკუთვნებთ.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-4, მე-7 და მე-21 შენიშვნებში.

დავესწართ უზრუნველყოფის საგნის ყოველწლიურ ინვენტარიზაციას და, შერჩევით საფუძველზე, გამოვცადეთ ოქროს უზრუნველყოფის არსებობა და ფიზიკური მახასიათებლები. შევაფასეთ ოქროს უზრუნველყოფის ფიზიკური მახასიათებლების შეფასებაში ჩართული ხელმძღვანელობის ექსპერტის კომპეტენცია და ობიექტურობა. გავაანალიზეთ უზრუნველყოფის მონაცემთა ბაზები იმ უზრუნველყოფების გამოძიებით, რომლებიც არსებითად აღემატებოდა ან ჩამორჩებოდა სესხის თანხას.

შევაფასეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასებაში გამოყენებული საპროგნოზო ეკონომიკური სცენარები ისეთი ამოსავალი მონაცემებისთვის, როგორც არის უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსები და ოქროს ფასები.

ჩვენ გადავიანგარიშეთ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ასევე შევაფასეთ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალთან დაკავშირებით გამჟღავნებული ინფორმაცია.



Building a better  
working world

---

## საპროცენტო და საკომისიო შემოსავლის აღიარება

---

საპროცენტო შემოსავალი მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე და საკომისიო შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან კომპანიის შემოსავლის მთავარ წყაროებს წარმოადგენს. კომპანიის შემოსავლის მიღების პროცესები ეყრდნობა როგორც ინფორმაციული ტექნოლოგიებიდან მიღებულ, ისე მექანიკურად შეყვანილ მონაცემებს და კონტროლებს.

შემოსავლის ამ წყაროების მნიშვნელობა და ადამიანური ან IT შეცდომებით ან შემოსავლის აღიარების პროცესებში მანიპულაციით წარმოქმნილი არსებითი უზუსტობის რისკები საპროცენტო და საკომისიო შემოსავლებს აუდიტის ძირითად საკითხად გადააქცევს. შემოსავლის აღიარების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების მე-3 და მე-18 შენიშვნებში

ჩვენ შევაფასეთ შემოსავლის აღიარების პოლიტიკა.

შევაფასეთ შიდა კონტროლების პროექტი და განხორციელება და შევამოწმეთ საოპერაციო ეფექტურობა საპროცენტო შემოსავალზე, მათ შორის მექანიკური კონტროლები დაანგარიშების ამოსავალ მონაცემებზე (როგორც არის სესხის ვალუტა და ნომინალური ღირებულება), ასევე ავტომატური კონტროლები საპროცენტო განაკვეთის დაანგარიშებასა და აღიარებაზე.

ჩვენ გადავითვალეთ საპროცენტო შემოსავალი საშუალო მთლიანი საბალანსო ღირებულების საფუძველზე, სასესხო პროდუქტის ტიპებისა და საშუალო საპროცენტო განაკვეთების მიხედვით და შევადარეთ კომპანიის ჩანაწერებში აღიარებულ საპროცენტო შემოსავალს 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

შერჩევით საფუძველზე ჩვენ შევამოწმეთ საკომისიო შემოსავალი ბუღალტრულ ჩანაწერებში აღიარებული ფულადი გზავნილებიდან, შესაბამის მხარდამჭერ დოკუმენტებთან.

მივიღეთ გარე დასტური ფულადი გზავნილების შერჩეული სისტემებიდან და ანგარიშგებული პერიოდის შემოსავლის თანხები შევადარეთ ბუღალტრულ ჩანაწერებში წარმოდგენილ თანხებს.

ჩვენ ასევე შევაფასეთ კომპანიის მიერ საკომისიო და საპროცენტო შემოსავლის შესახებ ინფორმაციის გაცხადება.



**Building a better  
working world**

## **კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში ასახული სხვა ინფორმაცია**

„სხვა ინფორმაცია მოიცავს ინფორმაციას, რომელიც შეტანილია კომპანიის 2023 წლის მმართველობის ანგარიშგებაში, გარდა ფინანსური ანგარიშგებისა და ჩვენ მიერ მასზე გაცემული აუდიტორის დასკვნისა“. სხვა ინფორმაციაზე პასუხისმგებელია ხელმძღვანელობა.

ჩვენი მოსაზრება ფინანსურ ანგარიშგებაზე არ მოიცავს და ჩვენ არანაირი ფორმის მარწმუნებელ დასკვნას არ წარმოვადგენთ მასზე ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე გამოცემულ ჩვენს დასკვნაში.

ჩვენ მიერ ჩატარებულ ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით ჩვენი პასუხისმგებლობა იმაში მდგომარეობს, რომ გვეცნოთ ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციას და განვიხილოთ, სხვა ინფორმაცია არის თუ არა არსებითად შეუსაბამო ფინანსურ ანგარიშგებასთან, ან აუდიტის პროცესში ჩვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციასთან, ან სხვა მხრივ ხომ არ ტოვებს ისეთ შთაბეჭდილებას, რომ არსებითად მცდარია. თუ ჩვენ შესრულებულ სამუშაოზე დაყრდნობით დავასკვნით, რომ არსებითი უზუსტობა არსებობს ზემოაღნიშნულ სხვა ინფორმაციაში, ვალდებულები ვართ, გავაცხადოთ ეს ფაქტი. აღნიშნულთან დაკავშირებით გასაცხადებელი არაფერი გვაქვს.

## **ხელმძღვანელობის და სამეთვალყურეო საბჭოს პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებაზე**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე ფასს-ის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობას ევალება, შეაფასოს კომპანიის ფუნქციონირებადობის უნარი და, აუცილებლობის შემთხვევაში, ფინანსური ანგარიშგების შენიშვნებში განმარტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია საწარმოს ფუნქციონირებადობასთან და ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენებასთან, იმ შემთხვევის გარდა, როდესაც ხელმძღვანელობას განზრახული აქვს კომპანიის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა, ან თუ არა აქვს სხვა რეალური არჩევანი, ასე რომ არ მოიქცეს.

სამეთვალყურეო საბჭო პასუხისმგებელია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის პროცესის ზედამხედველობაზე.





Building a better  
working world

## აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტზე

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, მოცემული ფინანსური ანგარიშგება შეიცავს თუ არა თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და შევადგინოთ აუდიტორის დასკვნა, რომელიც მოიცავს ჩვენს მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება მაღალი დონის რწმუნებაა, მაგრამ არ არის იმის გარანტია, რომ ასს-ების შესაბამისად ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს ნებისმიერ არსებით უზუსტობას, რომელიც არსებობს. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და არსებითად მიიჩნევა იმ შემთხვევაში, თუ, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ისინი, ცალ-ცალკე ან ერთობლივად, გავლენას მოახდენს იმ მომხმარებლების ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე, რომლებიც დაეყრდნობიან მოცემულ ფინანსურ ანგარიშგებას.

ასს-ების შესაბამისად აუდიტის ჩატარება ითვალისწინებს აუდიტორის მიერ პროფესიული განსჯის გამოყენებას და პროფესიული სკეპტიციზმის შენარჩუნებას აუდიტის პროცესში. გარდა ამისა, ჩვენ:

- ▶ ვადგენთ და ვაფასებთ თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ, ფინანსური ანგარიშგების არსებითი უზუსტობის რისკებს; ვგეგმავთ და ვატარებთ ამ რისკებზე რეაგირებისთვის გამიზნულ აუდიტის პროცედურებს და ვკრებთ ისეთ აუდიტის მტკიცებულებებს, რომლებიც საკმარისი და შესაფერისი იქნება ჩვენი მოსაზრების გამოთქმისთვის აუცილებელი საფუძვლის შესაქმნელად. რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა უფრო მაღალია, ვიდრე რისკი იმისა, რომ ვერ გამოვლინდება შეცდომით გამოწვეული უზუსტობა, რადგან თაღლითობა შეიძლება გულისხმობდეს ფარულ შეთანხმებას, გაყალბებას, ოპერაციების განზრახ გამოტოვებას, აუდიტორისთვის წინასწარგანზრახულად არასწორი ინფორმაციის მიწოდებას ან შიდა კონტროლის იგნორირებას.
- ▶ შევისწავლით აუდიტისთვის შესაფერის შიდა კონტროლის საშუალებებს, რათა დავგეგმოთ კონკრეტული გარემოებების შესაფერისი აუდიტორის პროცედურები და არა იმ მიზნით, რომ მოსაზრება გამოვთქვათ კომპანიის შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე.
- ▶ ვაფასებთ ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის მიზანშეწონილობას, ხელმძღვანელობის მიერ განსაზღვრული სააღრიცხვო შეფასებების დასაბუთებულობასა და შესაბამისი ახსნა-განმარტებების მართებულობას.
- ▶ დასკვნა გამოგვაქვს ხელმძღვანელობის მიერ ანგარიშგების საფუძვლად საწარმოს ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობაზე, ხოლო მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებებზე დაყრდნობით ვადგენთ, არსებობს თუ არა რაიმე მოვლენებთან ან პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა კომპანიის ფუნქციონირებადობის უნართან დაკავშირებით. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, გვევალება ჩვენს აუდიტორის დასკვნაში ყურადღების გამახვილება ფინანსური ანგარიშგების შესაბამის შენიშვნებზე, ან, თუ ამგვარი განმარტებითი შენიშვნები ადეკვატური არ არის – ჩვენი მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები ეყრდნობა აუდიტორის დასკვნის თარიღამდე მოპოვებულ აუდიტის მტკიცებულებას. თუმცა, ამის შემდგომი მომავალი მოვლენების ან პირობების გავლენით შეიძლება კომპანია უკვე აღარ იყოს ფუნქციონირებადი საწარმო.





**Building a better  
working world**

- ▶ ვაფასებთ ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, მათ შორის, განმარტებით შენიშვნებს და ასევე, ფინანსური ანგარიშგება უზრუნველყოფს თუ არა ფინანსური ანგარიშგების საფუძვლად აღებული ოპერაციებისა და მოვლენების სამართლიან წარდგენას.

სამეთვალყურეო საბჭოს , სხვასთან ერთად, ინფორმაციას ვაწვდით აუდიტის დაგეგმილი მასშტაბისა და ვადების, ასევე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი საკითხების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

ამასთან, სამეთვალყურეო საბჭოს წარვუდგენთ განცხადებას, სადაც ვადასტურებთ, რომ დავიცავით დამოუკიდებლობასთან დაკავშირებული სათანადო ეთიკური მოთხოვნები და მეთვალყურეობაზე პასუხისმგებელ პირებს ვაცნობთ ყველა ურთიერთობისა და სხვა საკითხების შესახებ, რომლებიც, გონივრულ ფარგლებში, შეიძლება მიჩნეულიყო, რომ გავლენას ახდენს ჩვენს დამოუკიდებლობაზე, ასევე საფრთხეების აღმოსაფხვრელად გატარებული ზომების ან გამოყენებული შესაბამისი დამცავი ზომების შესახებ, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

სამეთვალყურეო საბჭოსთვის ინფორმირებული საკითხებიდან განვსაზღვრავთ იმ საკითხებს, რომლებიც ყველაზე მნიშვნელოვანი იყო მიმდინარე პერიოდის ფინანსური ანგარიშგების აუდიტში და, მაშასადამე, მიიჩნევა აუდიტის ძირითად საკითხებად. ამ საკითხებს აღვწერთ ჩვენს აუდიტორის დასკვნაში, თუ კანონმდებლობით არ იკრძალება საჯაროდ მოცემული საკითხის ინფორმირება ან, უკიდურესად იშვიათ შემთხვევებში, თვითონ არ გადავწყვეტთ, რომ აუდიტორის დასკვნაში არ უნდა მოხდეს ამა თუ იმ საკითხის ინფორმირება, რადგან, გონივრულ ფარგლებში, მოსალოდნელია, რომ ამგვარი ქმედებით განპირობებული მოსალოდნელი უარყოფითი შედეგები გადააჭარბებს მისი ინფორმირებით მოსალოდნელ სარგებელს, რომელიც საზოგადოებრივ ინტერესებს ემსახურება.



Building a better  
working world

## ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლის მე-10 პუნქტის მოთხოვნების შესაბამისად მომზადებული ანგარიში

ჩვენი აზრით, რომელიც ეყრდნობა აუდიტის ფარგლებში ჩატარებულ სამუშაოებს:

- ▶ მმართველობის ანგარიშგებაში ასახული იმავე ფინანსური წლის ინფორმაცია, რომლისთვისაც მომზადდა ფინანსური ანგარიშგება, შესაბამისობაშია ფინანსურ ანგარიშგებასთან; და
- ▶ მმართველობით ანგარიშგებაში წარმოდგენილი ინფორმაცია აკმაყოფილებს ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მე-7 მუხლისა და შესაბამისი ნორმატიული აქტების მოთხოვნებს.

მოცემული აუდიტის, რომლის შედეგადაც შედგენილია წინამდებარე დამოუკიდებელი აუდიტორის დასკვნა, გარიგების პარტნიორია ანვარ აზამოვი.

დმიტრო იურგელევიჩი (SARAS-A-644274)

შპს „იუაის“ სახელით (SARAS-F-855308)

2024 წლის 14 მაისი

თბილისი, საქართველო

**ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება**

**2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით**

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
<b>აქტივები</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	5	54,961	109,530
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	5	46,207	-
წარმოქმნილი ფინანსური აქტივები	6	642	825
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	7	467,716	425,849
აქტივის გამოყენების უფლება	8	5,290	5,667
ძირითადი საშუალებები	9	16,127	16,340
არამატერიალური აქტივები		831	475
სხვა აქტივები	11	18,111	16,511
<b>სულ აქტივები</b>		<b>609,885</b>	<b>575,197</b>
<b>ვალდებულებები</b>			
გამოშვებული მარტივი თამასუქები	12	100,937	115,263
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები		2,900	2,093
ნასესხები სახსრები	13	42,189	132,944
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	14	129,693	-
საიჯარო ვალდებულებები	8	4,644	5,039
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	10	3,991	4,081
სხვა ვალდებულებები	15	10,279	15,233
<b>სულ ვალდებულებები</b>		<b>294,633</b>	<b>274,653</b>
<b>საკუთარი კაპიტალი</b>	16		
საწესდებო კაპიტალი		1,584	1,584
გაუნაწილებელი მოგება		313,668	298,960
<b>სულ საკუთარი კაპიტალი</b>		<b>315,252</b>	<b>300,544</b>
<b>სულ საკუთარი კაპიტალი და ვალდებულებები</b>		<b>609,885</b>	<b>575,197</b>

ხელმოწერილი და გამოსაცემად ნებადართულია 2024 წლის 14 მაისს

თამარ გოგოძე



ადმასრულებელი დირექტორი

გიორგი ნაროშვილი



ფინანსური დირექტორი

5-51 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## სრული შემოსავლის ანგარიშგება

## 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
<b>ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით გაანგარიშებული საპროცენტო შემოსავალი მომხმარებლებზე გაცემული სესხები ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ</b>		95,015	86,172
		6,144	584
		<b>101,159</b>	<b>86,756</b>
<b>საპროცენტო ხარჯი</b>			
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები		(10,319)	-
ნასესხები სახსრები		(7,315)	(12,105)
მარტივი თამასუქები		(6,466)	(6,741)
საიჯარო ვალდებულებები		(497)	(596)
		<b>(24,597)</b>	<b>(19,442)</b>
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი</b>		<b>76,562</b>	<b>67,314</b>
მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაუქმება/(დანარიცხი)	7	2,411	(3,016)
<b>წმინდა საპროცენტო შემოსავალი საკრედიტო ზარალის მოძრაობის შემდეგ</b>		<b>78,973</b>	<b>64,298</b>
საკომისიო შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან	18	8,230	9,528
საკომისიო ხარჯები	18	(1,353)	(1,047)
საკურსო სხვაობით განპირობებული შემოსულობა/(ზარალი):			
-სავალუტო ოპერაციები		17,794	32,160
-საკურსო სხვაობა		1,479	3,549
-ვალუტაში გამოხატული წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები		(7,995)	(19,189)
შემოსულობა დასაკუთრებული ოქროს გაყიდვიდან და სხვა შემოსავალი	19	618	258
		<b>18,773</b>	<b>25,259</b>
<b>არასაპროცენტო შემოსავალი</b>			
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(22,139)	(16,915)
ცვეთა და ამორტიზაცია	8, 9	(4,850)	(4,460)
სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	20	(7,319)	(5,626)
		<b>(34,308)</b>	<b>(27,001)</b>
<b>მოგება მოგების გადასახადის ხარჯის გაწევამდე</b>		<b>63,438</b>	<b>62,556</b>
მოგების გადასახადის ხარჯი	10	(13,668)	(10,154)
<b>წლის მოგება</b>		<b>49,770</b>	<b>52,402</b>
სხვა სრული შემოსავალი		-	-
<b>წლის მთლიანი სრული შემოსავალი</b>		<b>49,770</b>	<b>52,402</b>

5-51 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

## საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

## 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

(ათას ლარში)

		გაუნაწილებელი მოგება	სულ
<b>2022 წლის 1 იანვარი</b>	<b>1,584</b>	<b>248,724</b>	<b>250,308</b>
წლის მოგება		52,402	52,402
<b>წლის მთლიანი სრული შემოსავალი</b>		<b>52,402</b>	<b>52,402</b>
გამოცხადებული დივიდენდები (მე-16 შენიშვნა)	-	(2,166)	(2,166)
<b>2022 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>1,584</b>	<b>298,960</b>	<b>300,544</b>
წლის მოგება		49,770	49,770
<b>წლის მთლიანი სრული შემოსავალი</b>		<b>49,770</b>	<b>49,770</b>
გამოცხადებული დივიდენდები (მე-16 შენიშვნა)		(35,062)	(35,062)
<b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>1,584</b>	<b>313,668</b>	<b>315,252</b>

5-51 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

**ფულადი ნაკადების ანგარიშგება**

**2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის**

(ათას ლარში)

	შენიშვნა	2023	2022
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>			
მიღებული პროცენტი		94,053	86,034
გადახდილი პროცენტი		(24,854)	(19,431)
შემოსულობა დასაკუთრებული ქონების გაყიდვიდან		26,215	24,060
უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ვაჭრობის			
ოპერაციებიდან და უცხოური ვალუტის წარმოებული			
ინსტრუმენტებიდან მიღებული ფულადი სახსრები		10,260	11,787
ფულადი გზავნილებიდან მიღებული საკომისიო შემოსავალი		8,230	9,529
სხვა მიღებული შემოსავალი		553	258
თანამშრომლებზე გაწეული ხარჯები		(20,715)	(15,797)
სხვა გადახდილი საოპერაციო ხარჯები		(4,501)	(6,954)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>			
<b>საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში</b>			
<b>ცვლილებებამდე</b>		<b>89,241</b>	<b>89,486</b>
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული ფულადი ნაკადები</b>			
<b>საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში</b>			
<b>ცვლილებებამდე</b>			
მომხმარებლებზე გაცემული სესხები		(61,127)	(88,712)
სხვა აქტივები		(2,243)	7,186
სხვა ვალდებულებები		(4,954)	9,925
<b>დაბეგრამდე საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული</b>			
<b>ფულადი ნაკადები, წმინდა</b>		<b>20,917</b>	<b>17,885</b>
გადახდილი მოგების გადასახადი		(12,951)	(7,922)
<b>საოპერაციო საქმიანობიდან მიღებული წმინდა ფულადი</b>			
<b>სახსრები</b>		<b>7,966</b>	<b>9,963</b>
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული ფულადი</b>			
<b>ნაკადები</b>			
წმინდა (განთავსება) განაღდება საბანკო ანაზრებიდან		(46,207)	1,549
ძირითადი საშუალებების შესყიდვა		(2,859)	(4,398)
შემოსულობა ძირითადი საშუალებების გაყიდვიდან		27	3
<b>საინვესტიციო საქმიანობაში გამოყენებული წმინდა ფულადი</b>			
<b>სახსრები</b>		<b>(49,039)</b>	<b>(2,846)</b>
<b>ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან</b>			
შემოსულობა ნასესხები სახსრებიდან	26	160,200	164,000
შემოსულობა ფასიანი სავალო ქაღალდებიდან	26	129,326	-
ნასესხები სახსრების დაფარვა	26	(250,656)	(126,668)
საიჯარო ვალდებულებების დაფარვა	8	(2,544)	(2,256)
გამოშვებული (გადახდილი) მარტივი თამასუქები, წმინდა	26	(13,416)	6,385
გადახდილი დივიდენდები	16	(35,062)	(2,166)
<b>წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან</b>		<b>(12,152)</b>	<b>39,295</b>
ფულად სახსრებსა და მათ ეკვივალენტებზე გაცვლითი			
კურსების ცვლილების ეფექტი		(1,344)	(6,805)
<b>ფულადი სახსრების და მათი ეკვივალენტების წმინდა</b>			
<b>(შემცირება) ზრდა</b>		<b>(54,569)</b>	<b>39,607</b>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის დასაწყისში		109,530	69,923
<b>ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები წლის ბოლოს</b>	<b>5</b>	<b>54,961</b>	<b>109,530</b>

5-51 გვერდებზე დართული შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



(ათას ლარში)

## 1. ძირითადი საქმიანობა

კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტი მსო „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესის“ (შემდგომში „კომპანია“, რეგისტრაციის ნომერი: 205034639) 2004 წლის 1 ივლისს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად დაფუძნდა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების ფორმით.

2007 წლის 11 აპრილს კომპანია საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ („სებ“) დარეგისტრირდა, როგორც მიკროსაფინანსო ორგანიზაცია, რეგისტრაციის ნომრით #80407. 2013 წლის 26 ივნისს კომპანიას სებ-ისგან მიენიჭა კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტის სტატუსი.

კომპანიის იურიდიული მისამართია: ჭავჭავაძის გამზირი #70, თბილისი, საქართველო.

კომპანიის ძირითადი საქმიანობაა უძრავ-მოძრავი ქონებით (ძირითადად, ძვირფასი ლითონებით და უძრავი ქონების ობიექტებით) უზრუნველყოფილი მცირე და საშუალო ზომის სესხების გაცემა ფიზიკურ პირებზე, სავალუტო ოპერაციები და ფულადი გზავნილები.

2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის ერთპიროვნული მფლობელი ქალბატონი დალი ურუშაძე იყო.

## ბიზნესგარემო

კომპანიის საქმიანობა საქართველოშია კონცენტრირებული. კომპანიის საქმიანობაზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც აქვთ განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. იურიდიული, საგადასახადო და ნორმატიული ბაზა თანდათან ვითარდება, მაგრამ ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებას, რაც, სხვა იურიდიული და ფინანსური ხასიათის დაბრკოლებებთან ერთად, კიდევ უფრო ზრდის გამოწვევებს იმ საწარმოებისთვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ. ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს.

უკრაინაში რუსეთის შეჭრის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან მიმართებით მნიშვნელოვანი ცვალებადობით ხასიათდებოდა, ასევე გაუფასურდა რუსული ფასიანი ქაღალდების ბაზრების და სხვა ბაზრებზე რეგისტრირებული რუსული კომპანიების ღირებულება სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. ომს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ქართულ ეკონომიკაზე; საქართველოში გადმოსახლებული რუსი და უკრაინელი მოქალაქეების მიერ უცხოურ ვალუტაში განხორციელებულმა ფულადმა გზავნილებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართული ლარის გამყარებას უცხოურ ვალუტასთან მიმართებით და 2023 წელს მშპ-ის 7,5%-იან (2022 წ.: 11%) ზრდას. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება საბოლოოდ ეს კომპანიის საქმიანობაზე, ასევე გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ის ზოგადად ეკონომიკაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში.

(ათას ლარში)

## 2. მომზადების საფუძველი

### ზოგადი ინფორმაცია

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (ფასს) შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია პირვანდელი ღირებულების აღრიცხვის წესით, გარდა იმ შემთხვევებისა, რომლებიც განხილულია სააღრიცხვო პოლიტიკაში ქვემოთ. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით არის შეფასებული.

კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა ლარი. წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ათას ლარში, თუ სხვა რამ არ არის მითითებული.

## 3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ

### სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

კომპანიის საქმიანობის შესაბამის ქვემოთ მოცემულ სტანდარტებს/ინტერპრეტაციებს, რომლებიც ძალაში 2023 წელს შევიდა, გავლენა არ ჰქონია კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე და ოპერაციების შედეგებზე:

- ▶ „სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული განმარტებითი შენიშვნა“ - ბასს (IAS) 1-ის ცვლილება და განცხადება 2 ფასს-ების გამოყენების პრაქტიკის შესახებ

ცვლილების მიზანია საწარმოებს დაეხმაროს სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ უფრო სასარგებლო განმარტებით შენიშვნების წარმოდგენაში, რისთვისაც, საწარმოებისადმი მოთხოვნა, რომ განაცხადონ „მნიშვნელოვანი“ სააღრიცხვო პოლიტიკა, ჩანაცვლდა მოთხოვნით, რომ განაცხადონ თავიანთი „არსებითი“ სააღრიცხვო პოლიტიკა და დაემატა ინსტრუქცია იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გამოიყენონ საწარმოებმა არსებითობის კონცეფცია სააღრიცხვო პოლიტიკის წარმოდგენასთან დაკავშირებით.

კომპანიამ შეაფასა ცვლილების გავლენა, რომელსაც გავლენა ჰქონდა სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებულ განმარტებით შენიშვნებზე, თუმცა არ უმოქმედია კომპანიის ფინანსური ანგარიშგების შეფასებაზე, აღიარებასა და წარდგენაზე.

კომპანიამ შეცვალა სააღრიცხვო პოლიტიკასთან დაკავშირებული თავისი განმარტებითი შენიშვნები, როგორც ეს ნაჩვენებია წინამდებარე შენიშვნაში. გადასინჯული არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის ინფორმაცია მიმართულია იმაზე, თუ როგორ გამოიყენა კომპანიამ ფასს სტანდარტების მოთხოვნები საკუთარ გარემოებებთან მიმართებაში და ის მეტწილად მოიცავს ისეთ საკითხებს, სადაც კომპანია ირჩევს სააღრიცხვო პოლიტიკას ფასს სტანდარტებით დაშვებული ერთი ან მეტი ვარიანტიდან, საკითხებს, რომლებიც მნიშვნელოვან განსჯას ან შეფასებებს ექვემდებარება და გამორიცხავს ისეთ ინფორმაციას, რომელიც მხოლოდ ფასს სტანდარტების მოთხოვნებს აორმაგებს ან აჯამებს, ასევე სააღრიცხვო პოლიტიკის არამატერიალური საკითხების შესახებ.

*(ათას ლარში)***3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)****სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება (გაგრძელება)**

- ▶ ფასს (IFRS) 17 - „სადაზღვევო ხელშეკრულებები“

ფასს (IFRS) 17 ძალაშია 2023 წლის 1 იანვრიდან დაწყებული საანგარიშგებო პერიოდებისთვის. ფასს (IFRS) 17 ვრცელდება ყველა სახის სადაზღვევო ხელშეკრულებაზე (მაგ. სიცოცხლის, არა სიცოცხლის, პირდაპირ დაზღვევის და გადაზღვევის), მიუხედავად მათი გამცემი საწარმოების ტიპისა, ასევე კონკრეტული გარანტიებისა და ფინანსური ინსტრუმენტებისა დისკრეციული მონაწილეობის პირობით. გამოიყენება რამდენიმე გამონაკლისი.

კომპანიამ შეაფასა თავის ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დაზღვევის რისკები, კონკრეტული პროდუქტების გამონაკლისების გათვალისწინებით და დაასკვნა, რომ ფასს (IFRS) 17-ს არ აქვს არსებითი გავლენა 2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

- ▶ სააღრიცხვო შეფასების განმარტება - ბასს (IAS) 8-ის ცვლილება,
- ▶ „ერთი გარიგებიდან წარმომდგარ აქტივებთან და ვალდებულებებთან დაკავშირებული გადავადებული გადასახადი“ - ბასს (IAS) 12-ის ცვლილება
- ▶ „საერთაშორისო საგადასახადო რეფორმა – პილარ 2-ის სანიმუშო წესები“ - ბასს (IAS) 12-ის ცვლილება.

**სამართლიანი ღირებულების შეფასება**

კომპანია ფინანსურ, მაგალითად წარმოებულ ინსტრუმენტებს სამართლიანი ღირებულებით აფასებს ბალანსის ყოველი თარიღისთვის.

კომპანია ირჩევს შეფასების მეთოდებს, რომლებიც შესაფერისია არსებული გარემოებებისთვის და რომელთა გამოყენებითაც სამართლიანი ღირებულების შესაფასებლად საკმარისი მონაცემები მოიძებნება, და რომლებშიც მაქსიმალურად გამოიყენება ემპირიული და მინიმალურად - არაემპირიული ამოსავალი მონაცემები, ყველა აქტივი და ვალდებულება, რომელთა სამართლიანი ღირებულება შეფასებულია ან წარმოდგენილია ფინანსურ ანგარიშგებაში, დაჯგუფებულია სამართლიანი ღირებულების ქვემოთ მოცემული იერარქიის მიხედვით, ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემების საფუძველზე, რომელიც მთლიანობაში მნიშვნელოვანია სამართლიანი ღირებულების შეფასებისას:

- ▶ 1-ლი დონე – იდენტური აქტივების ან ვალდებულებების კოტირებული (დაუკორექტირებელი) საბაზრო ფასები აქტიურ ბაზარზე.
- ▶ მე-2 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის ამოსავალი მონაცემის პირდაპირი ან არაპირდაპირი განსაზღვრა.
- ▶ მე-3 დონე - შეფასების მეთოდები, რომელთა მიხედვითაც შეუძლებელია სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის განსაზღვრა.

*(ათას ლარში)***3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)****სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)**

ფინანსურ ანგარიშგებაში რეგულარულად აღიარებული აქტივებისა და ვალდებულებების იერარქიის ერთი დონიდან მეორეში გადასვლის ფაქტს კომპანია განსაზღვრავს კატეგორიზაციის ხელახლა შეფასებით (მთლიანი სამართლიანი ღირებულების შეფასებისთვის აუცილებელი ყველაზე დაბალი დონის მონაცემის საფუძველზე) ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის.

**ფინანსური აქტივები და ვალდებულებები*****საწყისი აღიარება******აღიარების თარიღი***

ფინანსური აქტივების ყოველგვარი ყიდვა-გაყიდვა ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში აღიარებულია ანგარიშსწორების თარიღით, ანუ იმ თარიღით, როდესაც შესყიდული აქტივი კომპანიას გადაეცა. ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში ყიდვა-გაყიდვა ნიშნავს ფინანსური აქტივების ისეთ ყიდვა-გაყიდვას, რაც მოითხოვს აქტივების გადაცემას კანონმდებლობით ან საბაზრო პრაქტიკით განსაზღვრულ ვადაში.

***საწყისი შეფასება***

ფინანსური ინსტრუმენტების კლასიფიკაცია საწყისი აღიარებისას დამოკიდებულია მათ სახელშეკრულებო პირობებზე და ინსტრუმენტების მართვის ბიზნესმოდელზე. ფინანსური ინსტრუმენტები თავდაპირველად ფასდება სამართლიანი ღირებულებით და, მოგება-ზარალში სამართლიანი ღირებულებით ასახული ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გარდა, საოპერაციო დანახარჯები ემატება ან აკლდება ამ თანხას.

***ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების შეფასების კატეგორიები***

კომპანიამ მოახდინა მისი ყველა ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია აქტივების მართვის ბიზნესმოდელის საფუძველზე, ხოლო აქტივების სახელშეკრულებო პირობები შეფასდა ქვემოთ მოცემულიდან ერთ-ერთით:

- ▶ ამორტიზებული ღირებულებით;
- ▶ სამართლიანი ღირებულებით სხვა სრულ შემოსავალში ასახვით (FVOCI);
- ▶ სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში ასახვით (FVPL).

კომპანია მისი წარმოებული ინსტრუმენტების პორტფელის კლასიფიკაციას და შეფასებას ახდენს სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში. კომპანიამ შესაძლოა განსაზღვროს ფინანსური ინსტრუმენტები სამართლიანი ღირებულებით მოგებაში ან ზარალში, თუ ეს აღმოფხვრის ან მნიშვნელოვნად შეამცირებს შეფასების ან აღიარების არათანმიმდევრულობას.

(ათას ლარში)

### 3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)

#### ფინანსური აქტივები და ვალდებულებები (გაგრძელება)

##### *ამორტიზებული ღირებულებით შეფასებული ფინანსური აქტივები*

კომპანია მომხმარებლებზე გაცემულ სესხებს და სხვა ფინანსურ ინვესტიციებს ამორტიზებული ღირებულების აფასებს, თუ დაკმაყოფილებულია ქვემოთ მოცემული ორივე პირობა:

- ▶ ფინანსური აქტივი ამ ბიზნესმოდელის მიხედვით მფლობელობაშია სახელშეკრულებო ფულადი ნაკადების ამოღების მიზნით;
- ▶ ფინანსური აქტივის სახელშეკრულებო პირობები კონკრეტული თარიღებით წარმოქმნის ფულად ნაკადებს, რომლებიც წარმოადგენს მხოლოდ ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდებს დაუფარავ ძირითად თანხაზე.

#### ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფინანსური მდგომარეობის და ფულადი ნაკადების ანგარიშგებაში ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს ნაღდი ფულის ნაშთს ბანკში და სალაროში და მოკლევადიან, მაღალ ლიკვიდურ ანაბრებს 90 დღის ან ნაკლები დაფარვის ვადით, რომლებიც მარტივად კონვერტირდება ფულადი სახსრების ცნობილ ოდენობად და გასწევენ ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს.

#### წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში, კომპანია უცხოურ სავალუტო ბაზარზე იყენებს სავალუტო სვოპებს. კონტრაქტები მეტწილად ადგილობრივი ბანკები არიან.

სამართლიანი ღირებულება ფასდება შეფასების მოდელების საფუძველზე, რომელშიც გათვალისწინებულია საბაზისო ინსტრუმენტების მიმდინარე საბაზრო და სახელშეკრულებო ფასები და სხვა ფაქტორები, მათ შორის კონტრაქტის და კომპანიის საკუთარი საკრედიტო რისკი. წარმოებული ინსტრუმენტები აისახება, როგორც აქტივები, როდესაც მათი სამართლიანი ღირებულება დადებითია, და როგორც ვალდებულებები, როცა მათი სამართლიანი ღირებულება უარყოფითია. ამ ინსტრუმენტებიდან მიღებული შემოსულობა ან ზარალი აისახება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, სავალუტო ოპერაციებიდან წმინდა შემოსულობის/(ზარალის) ფარგლებში.

მიუხედავად რისკის ჰეჯირების მიზნებისთვის წარმოებული ინსტრუმენტებისა, ეს ინსტრუმენტები არ წარმოადგენს ჰეჯირების აღრიცხვას.

*(ათას ლარში)***3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)****ნასესხები სახსრები, გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები და გამოშვებული მარტივი თამასუქები**

გამოშვებული ფინანსური ინსტრუმენტები ან მათი კომპონენტები კლასიფიცირდება ვალდებულებების სახით მაშინ, როდესაც მფლობელის წინაშე სახელშეკრულებო შეთანხმების შედეგად კომპანიას წარმოეშობა ვალდებულება, რომ გადაიხადოს ფული ან ფინანსური ინსტრუმენტი ან სხვაგვარად დააკმაყოფილოს ეს ვალდებულება, გარდა განსაზღვრული ფულადი თანხის ან სხვა ფინანსური ინსტრუმენტის სანაცვლოდ საკუთარი წილობრივი ინსტრუმენტების განსაზღვრული რაოდენობის მიღებისა. ამგვარი ინსტრუმენტები მოიცავს გამოშვებულ სავალო ფასიან ქაღალდებს, მარტივ თამასუქებსა და ნასესხებ სახსრებს. საწყისი აღიარების შემდეგ ნასესხები სახსრები შემდგომში ამორტიზებული ღირებულებით ფასდება, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით. შემოსულობისა და ზარალის აღიარება ხდება მოგება-ზარალში ნასესხები სახსრების აღიარების შეწყვეტის, აგრეთვე ამორტიზაციის პროცესში.

**ფინანსური აქტივების და ვალდებულებების აღიარების შეწყვეტა*****ფინანსური ვალდებულებები***

ფინანსური ვალდებულებების აღიარება წყდება მაშინ, როდესაც ისინი იფარება, ბათილდება ან ამოიწურება.

როდესაც არსებული ფინანსური ვალდებულება ჩანაცვლდება სხვა ვალდებულებით იმავე სესხის გამცემისგან არსებითად განსხვავებული პირობებით, ან არსებული ვალდებულების პირობები არსებითად შეიცვლება, ამგვარი გადაცვლა ან მოდიფიცირება ჩაითვლება, როგორც საწყისი ვალდებულების აღიარების შეწყვეტა და ახალი ვალდებულების აღიარება, ხოლო სხვაობა შესაბამისი საბალანსო ღირებულებაში აღიარდება მოგება-ზარალში.

***ჩამოწერა***

ფინანსური აქტივები ჩამოიწერება ნაწილობრივ ან - მთლიანად, მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც კომპანია შეწყვეტს აღდგენის განხორციელებას. სალომბარდო სესხები, მათ შესაბამის რეზერვთან ერთად, ჩვეულებრივ, ჩამოიწერება და უზრუნველყოფის საგნის დასაკუთრება ხდება მაშინ, როდესაც შესაბამისი სესხი 60-90 დღეზე მეტი ხნით იქნება ვადაგადაცილებული. უიმედო იპოთეკური სესხები ჩამოიწერება მაშინ, როდესაც უზრუნველყოფის საგნის ამოღების პროცედურები სრულდება ან ფულადი ნაკადების შემდგომი მიღება აღარ არის მოსალოდნელი მსესხებლისგან ან უზრუნველყოფის საგნიდან, რასაც შეიძლება 2 წელი დასჭირდეს. თუ ჩამოსაწერი თანხა აღემატება დაგროვილი ცვეთის რეზერვს, სხვაობა თავდაპირველად აღირიცხება რეზერვზე დამატების სახით, რომელიც შემდეგ გამოიყენება მთლიან საბალანსო ღირებულებასთან მიმართებით. ნებისმიერი შემდგომი ანაზღაურება განეკუთვნება საკრედიტო ზარალის ხარჯს. ჩამოწერა წარმოადგენს აღიარების შეწყვეტის მოვლენას.



*(ათას ლარში)***3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)****იჯარები*****კომპანია, როგორც მოიჯარე***

კომპანია იყენებს ერთი აღიარების და შეფასების მიდგომას ყველა იჯარისთვის, გარდა მოკლევადიანი და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარებისა. კომპანია აღიარებს იჯარასთან დაკავშირებულ ვალდებულებებს, რომ განახორციელოს საიჯარო გადახდები და აანაზღაუროს აქტივის გამოყენების უფლება, რომლებიც წარმოადგენს საიჯარო აქტივების გამოყენების უფლებას.

საიჯარო გადახდების დღევანდელი ღირებულების დაანგარიშებისას, კომპანია იყენებს ზღვრულ სასესხო განაკვეთს იჯარის ვადის დაწყების თარიღში, რადგან იჯარაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი ჩვეულებრივ მარტივად ვერ განისაზღვრება.

***მოკლევადიანი იჯარა და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა***

კომპანია იყენებს მოკლევადიანი იჯარის აღიარებისგან განთავისუფლებას მის მოკლევადიან იჯარებზე (ე.ი. იჯარებზე, რომლებსაც აქვთ იჯარის ვადის დაწყების თარიღიდან 12- ან ნაკლებთვიანი საიჯარო ვადა და არ მოიცავენ შესყიდვის ოფციონს). ის ასევე ეხება დაბალი ღირებულების მქონე აქტივების კონკრეტული იჯარის აღიარებისგან განთავისუფლებას, იჯარებზე, რომლებიც დაბალფასიანად (ე.ი. 15 ათას ლარზე ნაკლები ღირებულების მქონე) მოიაზრებიან. საიჯარო გადახდები მოკლევადიან იჯარაზე და დაბალი ღირებულების მქონე აქტივების იჯარა აღიარდება ხარჯის სახით იჯარის ვადაზე წრფივი მეთოდის გამოყენებით.

**ძვირფასი ლითონები**

ოქრო და სხვა ძვირფასი ლითონები, რომლებიც მიიღება უზრუნველყოფის საგნის სახით უიმედო მსესხებლებისგან სესხების დასაფარად, თავდაპირველად აღირიცხება თვითღირებულებით, რომელიც უტოლდება დასაკუთრების თარიღისთვის დაფარული სესხის წმინდა საბალანსო ღირებულებას. ამის შემდეგ იზომება სამართლიანი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება გადადნობის მოსალოდნელი დანახარჯებით შემცირებული ბლუმბერგის შეთავაზებული ფასით. სამართლიანი ღირებულების ცვლილებები საწყისი აღიარების შემდეგ და ოქროს ზოდების გასვლის შედეგად მიღებული შემოსულობა/ზარალი აღირიცხება სხვა შემოსავლის ფარგლებში. რადგან ძვირფასი ლითონების და სხვა დასაკუთრებული უზრუნველყოფის გაყიდვა ძირითადი ამონაგების წყაროსთან (კომპანიის საქმიანობები) არ არის დაკავშირებული, კომპანია ამგვარი გარიგებების შედეგებს აღრიცხავს იმავე გარიგებებიდან წარმოქმნილ ხარჯებთან დაკავშირებული ნებისმიერი შემოსავლის გამოკლებით.

**ძირითადი საშუალებები**

ძირითადი საშუალებები თვითღირებულებით აღირიცხება, გარდა ყოველდღიური მომსახურების დანახარჯებისა, რასაც აკლდება დაგროვილი ცვეთა და ნებისმიერი დაგროვილი გაუფასურება.

*(ათას ლარში)***3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)****ძირითადი საშუალებები (გაგრძელება)**

აქტივის ცვეთის დარიცხვა იწყება მაშინ, როდესაც ის გამოსაყენებლად ხელმისაწვდომი გახდება. ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით სასარგებლო მომსახურების სავარაუდო ვადაზე შემდეგნაირად:

	<u>წელი</u>
შენობა-ნაგებობები	20-25 წელი
კომპიუტერული და საკომუნიკაციო აღჭურვილობა	5
საოფისე აღჭურვილობა	5
ავტოსატრანსპორტო საშუალებები	5
სხვა	5

საიჯარო ქონების გაუმჯობესებას ცვეთა ერიცხება სასარგებლო მომსახურების ვადასა და იჯარის ვადას შორის უმცირეს ვადაზე.

აქტივის ნარჩენი ღირებულების, სასარგებლო მომსახურების ვადისა და მეთოდების გადახედვა და შესაბამისად კორექტირება ვითარებიდან გამომდინარე ხდება, ყოველი ფინანსური წლის ბოლოს. მიწას ცვეთა არ ერიცხება.

**შემოსავლის და ხარჯების აღიარება**

ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც სავარაუდოა, რომ ეკონომიკური სარგებელი კომპანიაში შემოედინება და შესაძლებელია ამონაგების სარწმუნოდ შეფასება.

**საპროცენტო და მსგავსი შემოსავალი და ხარჯი**

კომპანია ანგარიშობს საპროცენტო ამონაგებს სასესხო ფინანსურ აქტივებზე, რომლებიც შეფასებულია ამორტიზებული ღირებულებით ან სამართლიანი ღირებულება სხვა სრულ შემოსავალში (FVOCI), ფინანსური აქტივების ბრუტო საბალანსო ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით, გაუფასურებული აქტივების გამოკლებით. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომელიც მომავალში მოსალოდნელი გადახდების ან ფულადი სახსრების ზუსტ დისკონტირებას ახდენს ფინანსური ინსტრუმენტის ვადაზე ან უფრო ხანმოკლე პერიოდზე, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. გაანგარიშება ითვალისწინებს ფინანსური ინსტრუმენტის ყველა სახელშეკრულებო პირობას (მაგალითად წინასწარი გადახდის შესაძლებლობას) და მოიცავს ნებისმიერ საზღაურს და დამატებით ხარჯს, რომელიც პირდაპირ მიკუთვნებადია ინსტრუმენტზე და წარმოადგენს ეფექტური საპროცენტო განაკვეთის განუყოფელ ნაწილს, გარდა სამომავლო საკრედიტო ზარალისა. ფინანსური აქტივისა თუ ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულება კორექტირდება თუ კომპანია გადახედავს მის მიერ დასაფარი თუ მისაღები სავარაუდო თანხების შეფასებას. კორექტირებული საბალანსო ღირებულება გამოითვლება თავდაპირველ ეფექტურ საპროცენტო განაკვეთზე დაყრდნობით და საბალანსო ღირებულების ცვლილება აღირიცხება, როგორც საპროცენტო ამონაგები თუ ხარჯი.

*(ათას ლარში)***3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)****შემოსავლის და ხარჯების აღიარება (გაგრძელება)**

როდესაც ფინანსური აქტივი გაუფასურდება, კომპანია საპროცენტო ამონაგებს ანგარიშობს ფინანსური აქტივის წმინდა ამორტიზებულ ღირებულებაზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. თუ ფინანსური აქტივები გამოსწორდება და აღარ იქნება გაუფასურებული, კომპანია დაუბრუნდება საპროცენტო ამონაგების ბრუტო საფუძველზე დაანგარიშების მეთოდს.

*საკომისიო შემოსავალი*

კომპანია გამოიმუშავებს საკომისიოს ფულადი გზავნილებიდან, რომელთა აღიარებაც ხდება საბაზისო ოპერაციის დასრულებისთანავე. თითოეული ოპერაცია განიხილება ინდივიდუალურ შესასრულებელ ვალდებულებად. დარიცხული შემოსავლის დაფარვას ჩვეულებრივ ადგილი აქვს საბაზისო გარიგების პარალელურად, ან გარიგების თარიღიდან 30 დღის ვადაში.

**უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია**

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), რომელიც ასევე კომპანიის სამუშაო და წარსადგენი ვალუტაა. უცხოურ ვალუტაში შესრულებული ოპერაციები თავდაპირველად სამუშაო ვალუტაში აღირიცხება, და კონვერტირდება გარიგების თარიღისთვის დადგენილი კურსის შესაბამისად. უცხოურ ვალუტებში გამოხატული ფულადი აქტივების და ვალდებულებების გადაანგარიშება ხდება საანგარიშგებო თარიღისთვის არსებული სამუშაო ვალუტის გაცვლითი კურსით. უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაციების გადაანგარიშებიდან მიღებული შემოსულობა და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში უცხოური ვალუტის კონვერტაციით წარმოქმნილი სხვაობით გამოწვეული ზარალით შემცირებული შემოსულობა.

სხვაობა უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციის სახელშეკრულებო გაცვლით კურსსა და საქართველოს ეროვნული ბანკის გაცვლით კურსს შორის ოპერაციის დღეს შესულია უცხოურ ვალუტებიდან მიღებული წმინდა შემოსულობის/ზარალის ნაწილში.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აშშ დოლარის და ლარის გაცვლითი კურსი იყო 2,6894 (2022 წლის 31 დეკემბერი: 2,702).

**სეგმენტის ანგარიშგება**

საოპერაციო მართვის უმაღლესი ორგანო კომპანიას აფასებს, როგორც ცალკე საოპერაციო სეგმენტს, გაცხადებული ფასს (IFRS) შედეგების საფუძველზე. კომპანიის შემოსავლის და აქტივების უმრავლესობა საქართველოშია განთავსებული. მას არ ჰყავს გარე კონტრაქტი, რომელმაც 2023 ან 2022 წლებში კომპანიის ამონაგების 10%-ზე მეტი შეადგინა.

*(ათას ლარში)***3. ინფორმაცია არსებითი სააღრიცხვო პოლიტიკის შესახებ (გაგრძელება)****ახალი და გადასინჯული სტანდარტები, რომლებიც ჯერ არ არის ძალაში შესული**

ქვემოთ განსაზღვრულია ახალი და გადასინჯული სტანდარტები და ინტერპრეტაციები, რომლებიც უკვე გამოიცა, მაგრამ ძალაში არ არის შესული კომპანიის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღისთვის. კომპანია ამ ახალი და გადასინჯული სტანდარტების და ინტერპრეტაციების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიღებას გეგმავს მათი ძალაში შესვლისთანავე:

- ▶ ფასს (IFRS) 16-ის ცვლილება: საიჯარო ვალდებულება გაყიდვებსა და უკუიჯარაში;
- ▶ ბასს (IAS) 1-ის ცვლილება: ვალდებულებების მოკლევადიანად და გრძელვადიანად კლასიფიცირება;
- ▶ მიმწოდებლის ფინანსური გარიგებები - ბასს (IAS) 7-ის და ფასს (IFRS) 7-ის ცვლილებები.

ზემოთ მოცემული ცვლილებები ძალაში შედის 2024 წლის 1 იანვრიდან. კომპანია არ მოელის, რომ ამ ცვლილებების მიღებას არსებითი გავლენა ექნება მის ფინანსურ ანგარიშგებაზე.

**4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასებები**

ფინანსური ანგარიშგების ფასს (IFRS) სტანდარტების შესაბამისად მომზადება ხელმძღვანელობისაგან მოითხოვს მოსაზრებების, შეფასებებისა და დაშვების გაკეთებას, რომლებიც გავლენას ახდენს სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებაზე და აქტივების, ვალდებულებების, შემოსავლებისა და ხარჯების გაცხადებული თანხებზე.

**შეფასების განუსაზღვრელობა**

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენების პროცესში ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული თანხების განსაზღვრებაში ხელმძღვანელობამ შეფასებები გამოიყენა. შეფასებების ყველაზე მნიშვნელოვანი გამოყენება მოცემულია ქვემოთ:

*მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი*

მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შეფასება ფასს (IFRS) 9-ის საფუძველზე საჭიროებს მსჯელობას, კერძოდ, მომავალი ფულადი ნაკადების და უზრუნველყოფის საგნის ღირებულებების თანხის და ვადების შეფასებას მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის განსაზღვრის და საკრედიტო რისკში მნიშვნელოვანი ზრდის შეფასებისას. ამ შეფასებებზე რამდენიმე ფაქტორი მოქმედებს, რომელთა ცვლილებები შესაძლოა აისახოს რეზერვების სხვადასხვა დონეში. კომპანიის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებები კომპლექსური მოდელების მონაცემებს წარმოადგენს, ცვლადი მონაცემების და მათი ინტერპრეტაციების შერჩევასთან დაკავშირებული სხვადასხვა საბაზისო დაშვებით.

*(ათას ლარში)***4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო განსჯა და შეფასებები (გაგრძელება)****შეფასების განუსაზღვრელობა (გაგრძელება)**

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელების ელემენტები, რომლებიც შესაბამის სააღრიცხვო მსჯელობებს და შეფასებებს წარმოადგენს, მოიცავს შემდეგს:

- ▶ კომპანიის კრიტერიუმი იმის შესაფასებლად არსებობს თუ არა საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა და უნდა შეფასდეს თუ არა რეზერვები ფინანსური აქტივებისთვის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის და თვისებრივი შეფასების საფუძველზე;
- ▶ ფინანსური აქტივების სეგმენტაცია, როცა მათი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი ფასდება კოლექტიურ დონეზე;
- ▶ მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის შემუშავება, მათ შორის სხვადასხვა ფორმულის და ამოსავალი მონაცემების შერჩევა;
- ▶ მაკროეკონომიკურ სცენარებსა და ეკონომიკურ ამოსავალ მონაცემებს შორის ასოციაციების განსაზღვრა, რაც მოიცავს სავალუტო კურსებს და ოქროს სასაქონლო ფასებს, ასევე დეფოლტის ალბათობის და დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების ეფექტს;
- ▶ საპროგნოზო მაკროეკონომიკური სცენარების და მათი ალბათობის კოეფიციენტის შერჩევა ეკონომიკური ამოსავალი მონაცემებიდან მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მისაღებად.

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულ მომხმარებლებზე გაცემულ სესხებთან დაკავშირებული მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თანხა 2023 წლის 31 დეკემბერს 1,517 იყო (2022 წ.: 4,050). მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაუქმება 2023 წელს მეტწილად მიკუთვნება ოქროს ფასების ზრდაზე, რაც დადებითად მოქმედებს უზრუნველყოფის საგნის ღირებულებაზე სალომბარდო პორტფელისა და შედეგად მიღებული დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებისთვის. დეტალური ინფორმაცია მოცემულია მე-7 და 21-ე შენიშვნებში.

*იჯარა – ხელშეკრულებების საიჯარო პირობების განსაზღვრა განახლების და შეწყვეტის შესაძლებლობით*

კომპანია იჯარის ვადას განსაზღვრავს, როგორც იჯარის შეუქცევად ვადას, ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომლის დროსაც ხდება იჯარის გახანგრძლივება, თუ ამ უფლებით სარგებლობა გონივრულ ფარგლებში შესაძლებელია, ან ნებისმიერ პერიოდთან ერთად, რომლის დროსაც შესაძლებელია იჯარის შეწყვეტა, თუ ამ უფლებით სარგებლობა გონივრულ ფარგლებშია შესაძლებელი. კომპანიას არ უღიარებია საიჯარო ვალდებულება საიჯარო გადახდების წილისთვის, 5–10 წელზე მეტ პერიოდებში შეწყვეტის ფუნქციის გათვალისწინებით (საიჯარო აქტივების ხასიათიდან გამომდინარე), რომელიც მნიშვნელოვან განსჯას წარმოადგენს. შეწყვეტის ოფციის მქონე საიჯარო გადახდებმა, რომლითაც სარგებლობა შესაძლებელია და რომლებთან დაკავშირებითაც საიჯარო ვალდებულებები არ აღიარებულა, 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 7,400 ლარი (2022 წ.: 10,564 ლარი) შეადგინა.

(ათას ლარში)

**5. ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები და მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ**

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოიცავს შემდეგს:

	2023	2022
ნაღდი ფული	45,015	50,948
მიმდინარე ანგარიშები სხვა საკრედიტო დაწესებულებებში	9,946	58,582
	<b>54,961</b>	<b>109,530</b>

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, 8,300 ლარი, ანუ სხვა საკრედიტო დაწესებულებებში მიმდინარე ანგარიშების და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების 83% (2022 წ.: 58,376 ლარი, ანუ 83%) განთავსებულია ორ (2022 წ.: სამი) ქართულ ბანკში, რომლებსაც მინიჭებული აქვთ „BB“ რეიტინგი (სარეიტინგო სააგენტო „Fitch“-ისგან) (2022 წ.: BB- („Fitch“-ისგან)).

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ 19,252 ლარის ოდენობით მოიცავს ლარში გამოხატულ ვადიან ანაბრებს, რომლებიც საქართველოს ერთ ბანკშია განთავსებული B+ („Fitch“-ის სარეიტინგო სააგენტოს მიერ) რეიტინგით და აშშ დოლარში გამოხატულ ვადიან ანაბრებს 26,955 ლარის ოდენობით, რომლებიც საქართველოს ბანკშია განთავსებული გარე საკრედიტო რეიტინგის გარეშე.

ფულადი სახსრების ეკვივალენტებზე და საკრედიტო დაწესებულებების მიმართ მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელოა და პერიოდის განმავლობაში მოსალოდნელ საკრედიტო ზარალში მნიშვნელოვან მოძრაობებს ადგილი არ ჰქონია. საკრედიტო დაწესებულებებში მიმდინარე ანგარიშებში და მოთხოვნებში საკრედიტო დაწესებულებების მიმართ შექმნის თარიღის შემდეგ საკრედიტო რისკში მნიშვნელოვანი ზრდა არ დაფიქსირებულა.

**6. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები**

სავალუტო რისკის შესამსუბუქებლად კომპანია წარმოებულ ფინანსურ ინსტრუმენტებს იყენებს. ქვემოთ მოყვანილი ცხრილი გვიჩვენებს 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიან ღირებულებებს, რომლებიც აღრიცხულია აქტივებად და ვალდებულებებად მათ პირობით თანხებთან ერთად. ჯამურად აღრიცხული პირობითი თანხა წარმოადგენს წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის საიჯარო აქტივის თანხას და საფუძველს, რომელზე დაყრდნობითაც ფასდება წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტის ღირებულების ცვლილება. პირობითი თანხები ასახავს განუხორციელებელ ოპერაციათა მოცულობას წლის ბოლოსთვის და არ მოიცავს საკრედიტო რისკს.



(ათას ლარში)

**6. წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები (გაგრძელება)**

	2023 წლის 31 დეკემბერი			2022 წლის 31 დეკემბერი		
	სამართლიანი ღირებულება			სამართლიანი ღირებულება		
	პირობითი თანხა	აქტივი	ვალდებულება	პირობითი თანხა	აქტივი	ვალდებულება
<b>ხელშეკრულება უცხოური ვალუტის ყიდვა-გაყიდვაზე</b>						
სავალუტო სვოპი – ადგილობრივი	76,708	642	-	147,888	825	-

სავალუტო სვოპი სახელშეკრულებო შეთანხმებაა ორ მხარეს შორის, უცხოური ვალუტის განაკვეთებში მოძრაობების აღსარიცხად, კონკრეტული პირობითი თანხის საფუძველზე.

**7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები**

კომპანია გასცემს მცირე და საშუალო ზომის სესხებს ფიზიკურ პირებზე: იპოთეკური სესხები უზრუნველყოფილია უძრავი ქონებით, ხოლო სალომბარდო სესხები უზრუნველყოფილია ძვირფასი ლითონებით (ძირითადად ოქროთი) და სამკაულებით.

სალომბარდო სესხები, ჩვეულებრივ, ერთი თვიდან ერთ წლამდე ვადით გაიცემა და მსესხებლისა და კომპანიის ორმხრივი შეთანხმებით შესაძლებელია ვადის გაგრძელება.

მომხმარებლებზე გაცემული სესხები მოიცავს:

	2023	2022
სალომბარდო სესხები	459,522	416,441
იპოთეკური სესხები	9,711	13,458
<b>მომხმარებლებზე გაცემული სესხები, მთლიანი</b>	<b>469,233</b>	<b>429,899</b>
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი	(1,517)	(4,050)
<b>მომხმარებლებზე გაცემული სესხები</b>	<b>467,716</b>	<b>425,849</b>

(ათას ლარში)

**7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)****მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე**

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომხმარებლებზე გაცემულ სესხებთან მიმართებაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებების ანალიზი მოიცავდა შემდეგს:

სალომბარდო სესხები	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
<b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2023</b>				
<b>წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>2,936</b>	<b>146</b>	<b>881</b>	<b>3,963</b>
ახალი წარმოქმნილი ან შესყიდული				
აქტივები	737	-	-	737
გადახდილი აქტივები	(627)	(15)	(227)	(869)
გადატანები 1-ელ სტადიაზე	25	(24)	(1)	-
გადატანები მე-2 სტადიაზე	(15)	15	-	-
გადატანები მე-3 სტადიაზე	(98)	-	98	-
უცხოური ვალუტა, ცვლილებები				
მოდელისა და ამოსავალ მონაცემებში და სხვა მოძრაობები	(1,654)	(86)	(644)	(2,384)
<b>2023 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>1,304</b>	<b>36</b>	<b>107</b>	<b>1,447</b>

იპოთეკური სესხები	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
<b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2023</b>				
<b>წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>31</b>	<b>-</b>	<b>56</b>	<b>87</b>
ახალი წარმოქმნილი ან შესყიდული				
აქტივები	1	-	-	1
გადახდილი აქტივები	(1)	-	-	(1)
გადატანები 1-ელ სტადიაზე	4	(4)	-	-
გადატანები 3-ელ სტადიაზე	(12)	(17)	29	-
ჩამოწერილი თანხები	-	-	(49)	(49)
უცხოური ვალუტა, ცვლილებები				
მოდელისა და ამოსავალ მონაცემებში და სხვა მოძრაობები	(5)	21	16	32
<b>2023 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>18</b>	<b>-</b>	<b>52</b>	<b>70</b>

2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის მომხმარებლებზე გაცემულ სესხებთან მიმართებაში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებების ანალიზი მოიცავდა შემდეგს:

სალომბარდო სესხები	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
<b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2022</b>				
<b>წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>255</b>	<b>22</b>	<b>591</b>	<b>868</b>
ახალი წარმოქმნილი ან შესყიდული				
აქტივები	4,097	-	-	4,097
გადახდილი აქტივები	(3,408)	(21)	-	(3,429)
გადატანები 1-ელ სტადიაზე	490	(3)	(487)	-
გადატანები მე-2 სტადიაზე	-	118	(118)	-
გადატანები მე-3 სტადიაზე	-	(5)	5	-
უცხოური ვალუტა, ცვლილებები				
მოდელისა და ამოსავალ მონაცემებში და სხვა მოძრაობები	1,502	35	890	2,427
<b>2022 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>2,936</b>	<b>146</b>	<b>881</b>	<b>3,963</b>

(ათას ლარში)

**7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)****მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე (გაგრძელება)**

იპოთეკური სესხები	1-ლი სტადია	მე-2 სტადია	მე-3 სტადია	სულ
<b>მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 2022</b>				
წლის 1 იანვრის მდგომარეობით	124	33	9	166
ახალი წარმოქმნილი ან შესყიდული				
აქტივები	1	-	-	1
გადახდილი აქტივები	(1)	(16)	-	(17)
ჩამოწერილი თანხები	-	-	(71)	(71)
უცხოური ვალუტა, ცვლილებები				
მოდელსა და ამოსავალ მონაცემებში და				
სხვა მოძრაობები	(93)	(17)	118	8
<b>2022 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>31</b>	<b>-</b>	<b>56</b>	<b>87</b>

მნიშვნელოვანი ცვლილება სასესხო პორტფელის მთლიან საბალანსო ღირებულებაში, რომელმაც ხელი შეუწყო 2023 და 2022 წლებში მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ცვლილებას, იყო შემდეგი:

- ▶ 1-ლი სტადიის სალომბარდო სესხის პორტფელის ზრდა, ახალი სესხების გაცემის შედეგად;
- ▶ 1-ლი სტადიის იპოთეკური სესხის პორტფელის კლება გრაფიკის მიხედვით და ვადაზე ადრე დაფარვის გზით.
- ▶ მე-3 სტადიის 49 ლარის ოდენობით უმოქმედო სესხების ჩამოწერა (2022 წ.: 71 ლარი).

**უზრუნველყოფის საგანი და საკრედიტო რისკის შემცირება**

უზრუნველყოფის საგნის საჭირო მოცულობა და ტიპი დამოკიდებულია კონტრაქტის საკრედიტო რისკის შეფასებაზე. შემუშავებულია უზრუნველყოფის საგნის ტიპებისა და შეფასების პარამეტრების ინსტრუქციები.

მიღებული უზრუნველყოფის ძირითადი ტიპებია:

- ▶ ძვირფასი ლითონები;
- ▶ უძრავი ქონება.

ხელმძღვანელობა ახდენს უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულების მონიტორინგს, მოითხოვს დამატებით უზრუნველყოფას საბაზისო სესხის ხელშეკრულების თანახმად და თვალყურს ადევნებენ სესხის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ადეკვატურობის გადახედვისას მიღებული უზრუნველყოფის საბაზრო ღირებულებას.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სალომბარდო სესხების ფარგლებში უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ძვირფასი ლითონების სამართლიანი ღირებულება უდრიდა 489,841 ლარს (2022 წ.: 399,437 ლარი), საიდანაც 4,143 ლარის (2022 წ.: 1,333 ლარი) ფლობა ხდებოდა გაუფასურებულ სესხებთან მიმართებაში.

(ათას ლარში)

**7. მომხმარებლებზე გაცემული სესხები (გაგრძელება)****უზრუნველყოფის საგანი და საკრედიტო რისკის შემცირება (გაგრძელება)**

უზრუნველყოფის საგნის არარსებობისას, გაუფასურებულ იპოთეკურ სესხებთან დაკავშირებით მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 98 ლარით (2022 წ.: 17 ლარი) უფრო მაღალი იქნებოდა. სესხებისთვის მთლიანი საბალანსო ღირებულებით 231,985 ლარი (2022 წ.: 126,436 ლარი) არ მომხდარა უზრუნველყოფის გამო მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება.

2023 წელს კომპანიამ დაისაკუთრა უზრუნველყოფის საგანი ძვირფასი ლითონების სახით, 30,986 ლარის (2022 წ.: 18,742 ლარი) ოდენობით. კომპანია დასაკუთრებულ უზრუნველყოფას აღიარებს აქტივის სახით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, რადგან ეს განსაზღვრავს, რომ ის აკონტროლებს დასაკუთრებულ აქტივებს. კომპანიის პოლიტიკა გულისხმობს დასაკუთრებული უზრუნველყოფის სათანადო წესით განკარგვას, რაც მიიღწევა კომპანიის საკუთარ მაღაზიებში ან საერთაშორისო ბაზარზე ბითუმად ვაჭრობის გზით (რაც ჩვეულებრივ საჭიროებს წინასწარ განსაზღვრას), აქტივის ხასიათიდან გამომდინარე.

ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში კომპანია აგირავებს ამ ნასესხები სახსრების ფარგლებში გაცემულ სესხებს. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაგირავებული სესხების საბალანსო ღირებულებამ კომპანიის ნასესხები სახსრებისთვის 53,200 ლარი (2022 წ.: 152,002 ლარი) შეადგინა, ხოლო გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები უზრუნველყოფილია მომხმარებლებზე გაცემული სესხებით საბალანსო ღირებულებით 169,000 ლარი (2022 წ.: ნული ლარი) (მე-13 შენიშვნა და მე-14 შენიშვნა).

**8. იჯარები**

კომპანია არის მოიჯარე შენობა-ნაგებობების რამდენიმე საიჯარო ხელშეკრულებაში. ამ შენობებს კომპანია საცალო ვაჭრობისთვის იყენებს. ხელშეკრულებები მეტწილად ლარში და აშშ დოლარშია გამოხატული და მათი სახელშეკრულებო ვადები 1-დან 10 წლამდეა, ჩვეულებრივ წინასწარ შეტყობინების საფუძველზე მათი შეწყვეტის შესაძლებლობით. გარიგებების პირობები ჩვეულებრივ მხოლოდ ფიქსირებულ გადახდებს განსაზღვრავს და ისინი არ მოიცავს ცვლადი გადახდების რაიმე სახის ტიპს.

აქტივის გამოყენების უფლებაში ცვლილების დინამიკა ასეთი იყო:

	აქტივების გამოყენების უფლება (შენობა- ნაგებობები)
2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით	6,829
შესყიდვები	699
ცვეთის ხარჯი	(1,861)
2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,667
შესყიდვები	1,660
ცვეთის ხარჯი	(2,037)
2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	5,290

(ათას ლარში)

**8. იჯარები (გაგრძელება)**

მოდრაობა საიჯარო ვალდებულებებში იყო შემდეგი:

	<b>საიჯარო ვალდებულებები</b>
<b>2022 წლის 1 იანვრის მდგომარეობით</b>	<b>7,014</b>
შესყიდვები	699
საპროცენტო ხარჯი	596
გადახდები	(2,852)
უცხოური ვალუტის გაცვლა	(418)
<b>2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>5,039</b>
შესყიდვები	1,551
საპროცენტო ხარჯი	497
გადახდები	(2,742)
უცხოური ვალუტის გაცვლა	299
<b>2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	<b>4,644</b>

კომპანიას ჰქონდა ფულადი ნაკადების მთლიანი გასვლა 2,927 ლარის (2022 წ.: 2,965 ლარი) ღირებულების იჯარებზე, საიდანაც დაბალი ღირებულების მქონე ერთეულების იჯარებზე ფულადი სახსრების გადინებამ 185 ლარი (2022 წ.: 113 ლარი) შეადგინა.

31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის მომავალი ფულადი ნაკადები მის საიჯარო ხელშეკრულებებზე მოიცავდა შემდეგს:

	<b>2023</b>	<b>2022</b>
არაუგვიანეს 1 წლისა	2,245	2,587
1-დან 2 წლამდე	1,780	2,053
2-დან 3 წლამდე	640	1,527
3-დან 4 წლამდე	213	517
4-დან 5 წლამდე	352	135
5 წელზე მეტი	478	93
	<b>5,708</b>	<b>6,912</b>

(ათას ლარში)

## 9. ძირითადი საშუალებები

ძირითად საშუალებებში განხორციელდა შემდეგი ცვლილებები:

	მიწა და შენობა- ნაგებობები	კომპიუტე- რული და საკომუნი- კაციო აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	ავტოსატრან- სპორტო საშუალებები	სულ
<b>თვითღირებულება</b>					
2022 წლის 31 დეკემბერი	13,463	9,203	4,620	2,584	29,870
შესყიდვები	1,199	618	188	622	2,627
გასვლები	-	-	-	(59)	(59)
2023 წლის 31 დეკემბერი	14,662	9,821	4,808	3,147	32,438
<b>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</b>					
2022 წლის 31 დეკემბერი	(4,059)	(5,505)	(2,474)	(1,492)	(13,530)
ცვეთის დარიცხვა	(573)	(1,232)	(650)	(358)	(2,813)
გასვლები და ჩამოწერები	-	-	-	32	32
2023 წლის 31 დეკემბერი	(4,632)	(6,737)	(3,124)	(1,818)	(16,311)
<b>წმინდა სააღრიცხვო ღირებულება</b>					
2022 წლის 31 დეკემბერი	9,404	3,698	2,146	1,092	16,340
2023 წლის 31 დეკემბერი	10,030	3,084	1,684	1,329	16,127

	მიწა და შენობა- ნაგებობები	კომპიუტე- რული ტექნიკა და საკომუნი- კაციო აღჭურვილობა	საოფისე აღჭურვილობა	ავტოსატრან- სპორტო საშუალებები	სულ
<b>თვითღირებულება</b>					
2021 წლის 31 დეკემბერი	13,460	6,432	4,443	1,892	26,227
შესყიდვები	3	2,771	177	706	3,657
გასვლები	-	-	-	(14)	(14)
2022 წლის 31 დეკემბერი	13,463	9,203	4,620	2,584	29,870
<b>დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება</b>					
2021 წლის 31 დეკემბერი	(3,515)	(4,352)	(1,820)	(1,256)	(10,943)
ცვეთის დარიცხვა	(544)	(1,153)	(654)	(248)	(2,599)
გასვლები და ჩამოწერები	-	-	-	12	12
2022 წლის 31 დეკემბერი	(4,059)	(5,505)	(2,474)	(1,492)	(13,530)
<b>წმინდა სააღრიცხვო ღირებულება</b>					
2021 წლის 31 დეკემბერი	9,945	2,080	2,623	636	15,284
2022 წლის 31 დეკემბერი	9,404	3,698	2,146	1,092	16,340

კომპანიის შენობა-ნაგებობები საბალანსო ღირებულებით 697 ლარი (2022 წ.: 731 ლარი) დაგირავებულია საქართველოს ბანკებიდან მიღებული სესხების უზრუნველყოფის სახით (მე-14 შენიშვნა).

(ათას ლარში)

**10. მოგების გადასახადი**

მოგების გადასახადის ხარჯის სარგებელი მოიცავს შემდეგს:

	<b>2023</b>	<b>2022</b>
მიმდინარე გადასახადის დანარიცხი	(13,758)	(8,838)
გადავადებული გადასახადის დანარიცხი – დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება	90	(1,316)
<b>მოგების გადასახადის ხარჯი</b>	<b>(13,668)</b>	<b>(10,154)</b>

მოგების გადასახადის ეფექტური განაკვეთი განსხვავდება კანონმდებლობით გათვალისწინებული საგადასახადო განაკვეთისგან. ქვემოთ კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთის მიხედვით მოგების გადასახადის ხარჯი შესაბამისობაშია მოყვანილი გადასახადის რეალურ ოდენობასთან:

	<b>2023</b>	<b>2022</b>
<b>მოგება დაბეგრამდე</b>	<b>63,438</b>	<b>62,556</b>
კანონით დადგენილი საგადასახადო განაკვეთი	20%	15%
<b>თეორიული მოგების გადასახადის ხარჯი კანონმდებლობით გათვალისწინებული გადასახადის განაკვეთით</b>	<b>(12,688)</b>	<b>(9,383)</b>
გადასახადით დაუბეგრავი შემოსავალი	1,229	88
გამოუქვითავი დანახარჯები	(165)	(54)
მოგების გადასახადის კანონმდებლობაში შესული ცვლილების ეფექტი	(2,044)	(805)
<b>მოგების გადასახადის ხარჯი</b>	<b>(13,668)</b>	<b>(10,154)</b>

2016 წელს საფინანსო დაწესებულებების, მათ შორის ბანკებისა და სადაზღვევო კომპანიების, მოგების გადასახადით დაბეგრის არსებულ მოდელში ცვლილება შევიდა. ცვლილების მიხედვით, გაუნაწილებელი მოგება დაიბეგრება ნულოვანი საგადასახადო განაკვეთით, ხოლო განაწილებული მოგება 15%-იანი საგადასახადო განაკვეთით 2023 წლის 1 იანვრიდან (2018 წლის ცვლილების მიხედვით). 2022 წლის დეკემბერში ამოქმედდა საქართველოს საგადასახადო კანონში შესული დამატებითი ცვლილებები ფინანსური სექტორისთვის მოგების გადასახადთან დაკავშირებით. ცვლილება ძალაში შევიდა 2023 წლის 1 იანვრიდან და ახალი რეგულაციის მიხედვით, მოგების გადასახადი იქნება 20% ბანკებისთვის, საკრედიტო კავშირებისთვის, მიკროსაფინანსო ორგანიზაციებისა (როგორც არის კომპანია) და სესხების გამცემი სუბიექტებისთვის. გარდა ამისა, 2023 წლიდან დასაბეგრი საპროცენტო შემოსავალი და მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი, რომლის გამოქვითვა შესაძლებელია, განისაზღვრება ფასს-ის და არა საქართველოს ეროვნული ბანკის რეგულაციების მიხედვით.

ცვლილებას პირდაპირი გავლენა ჰქონდა გადავადებულ საგადასახადო აქტივის და გადავადებული საგადასახადო ვალდებულების ბალანსებზე, რომლებიც უკავშირდებოდა წინა პერიოდებიდან წარმოშობილ და ადრე აღიარებულ დროებით სხვაობებს. 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებების ნაშთები ხელახლა შეფასდა, განახლებული კანონმდებლობის შესაბამისად. ცვლილებამ გამოიწვია არსებითი ერთჯერადი გადავადებული დანარიცხი, რადგან ადრე ბანკმა აღიარა გადავადებული გადასახადები მხოლოდ იმის გათვალისწინებით, რომ მათი რეალიზაცია მოსალოდნელი იყო 2023 წლის 1 იანვრამდე.

(ათას ლარში)

**10. მოგების გადასახადი (გაგრძელება)**

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიამ განსაზღვრა, რომ მომხმარებლებზე გაცემული სესხების მთლიან საბალანსო ღირებულებასთან დაკავშირებით დაგროვილი დროებითი სხვაობა კონვერტირებისას 15%-ით დაიბეგრებოდა, გადასვლის წესების მსგავსად, რომელიც მოქმედებს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დროებით სხვაობებზე. შესაბამისი უწყებების მიერ განმარტებების მიღების საფუძველზე, 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღის შემდეგ, ამგვარი სხვაობების სათანადო საგადასახადო განაკვეთი 20%-ით განისაზღვრა, რასაც არ ჰქონია არსებითი ეფექტი მიმდინარე გადასახადის დარიცხვაზე 2023 წლისთვის.

გადავადებული საგადასახადო აქტივები და ვალდებულებები 31 დეკემბრის მდგომარეობით და მათი ცვლილების დინამიკა შესაბამისი წლებისთვის შედგებოდა:

	2022 წლის 1 იანვარი	დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება მოგებაში ან ზარალში	2022	დროებითი სხვაობების წარმოშობა და გაუქმება მოგებაში ან ზარალში	2023
<b>დასაქვითი დროებითი სხვაობების დაბეგრის შედეგი</b>					
არამატერიალური აქტივები	8	(6)	2	(7)	(5)
გამოშვებული მარტივი თამასუქები	121	(14)	107	(102)	5
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	54	(54)	-	-	-
საიჯარო ვალდებულება	1,052	(44)	1,008	(78)	930
სხვა ვალდებულებები	666	(437)	229	(49)	180
სხვა აქტივები	612	-	612	(612)	-
<b>გადავადებული საგადასახადო აქტივი</b>	<b>2,513</b>	<b>(555)</b>	<b>1,958</b>	<b>(848)</b>	<b>1,110</b>
არ აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივი	(612)	-	(612)	612	-
<b>გადავადებული საგადასახადო აქტივი, წმინდა</b>	<b>1,901</b>	<b>(555)</b>	<b>1,346</b>	<b>(236)</b>	<b>1,110</b>
<b>დასაბეგრი დროებითი სხვაობების დაბეგრის შედეგი</b>					
ძირითადი საშუალებები	(88)	(852)	(940)	(1,944)	(2,884)
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	(1,560)	379	(1,181)	1,181	-
მარაგები	(2,275)	234	(2,042)	882	(1,160)
აქტივის გამოყენების უფლება	(743)	(424)	(1,168)	111	(1,057)
წარმოქმნილი ფინანსური აქტივები	-	(96)	(96)	96	-
<b>გადავადებული საგადასახადო ვალდებულება</b>	<b>(2,765)</b>	<b>(1,316)</b>	<b>(4,081)</b>	<b>90</b>	<b>(3,991)</b>



(ათას ლარში)

**10. მოგების გადასახადი (გაგრძელება)**

არ აღიარებული გადავადებული საგადასახადო აქტივი უკავშირდება ჩამოწერილ მოთხოვნას, რომელთან დაკავშირებითაც კომპანია არ ითვალისწინებს სავარაუდოდ მისაღებ დოკუმენტირებულ მტკიცებულებებს, რომლითაც ხდება საგადასახადო დაქვითვის მხარდაჭერა შესაბამისი სავალდებულო დაქვითვის მოთხოვნის პერიოდის ამოწურვამდე.

**11. სხვა აქტივები**

სხვა აქტივები მოიცავს შემდეგს:

	2023	2022
<b>სხვა ფინანსური აქტივები</b>		
მოთხოვნები ფულადი გზავნილების კომპანიების მიმართ	10,640	5,039
	<b>10,640</b>	<b>5,039</b>
<b>სხვა არაფინანსური აქტივები</b>		
ოქროს ზოდები	2,677	8,344
დასაკუთრებული სამკაულები	3,271	1,860
სხვა	1,523	1,268
	<b>7,471</b>	<b>11,472</b>
<b>ყველა სხვა აქტივი</b>	<b>18,111</b>	<b>16,511</b>

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფულადი გზავნილების კომპანიების მიმართ მოთხოვნებიდან წარმოქმნილი მოთხოვნების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი უმნიშვნელოა.

**12. გამოშვებული მარტივი თამასუქები**

2023 და 2022 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიას გამოშვებული ჰქონდა მოკლევადიანი (ძირითადად, ერთწლიანი) პროცენტის მარტივი თამასუქები, რომლებიც გამოხატული იყო ლარში, ევროსა და აშშ დოლარში:

<b>ვალუტა</b>	2023	2022
აშშ დოლარი	80,857	90,941
ლარი	20,080	24,322
	<b>100,937</b>	<b>115,263</b>

მარტივი თამასუქების საპროცენტო განაკვეთები 10%-დან 13%-მდე მერყეობს ლარში და 3%-დან 5%-მდე აშშ დოლარში.

(ათას ლარში)

**13. ნასესხები სახსრები**

კომპანიის მიერ ნასესხები სახსრები 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავდა შემდეგს:

	2023	2022
ადგილობრივი კომერციული ბანკებიდან ნასესხები სახსრები	41,299	130,581
დაკავშირებული მხარესთან ნასესხები სახსრები	890	2,363
	<b>42,189</b>	<b>132,944</b>

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიამ ქართული კომერციული ბანკებისგან მიიღო ლარში გამოხატული ნასესხები სახსრები 11,5%-დან 13,5%-მდე საპროცენტო განაკვეთით (2022 წ.: 12%-დან 14%-მდე), რომლებიც ფიქსირებულგანაკვეთიანი და თბილისის შიდა საბანკო განაკვეთზე (TIBR) ასევე საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე იყო მიბმული, რამაც მთლიანობაში 41,299 ლარი (2022 წ.: 130,581 ლარი) შეადგინა.

კომპანიას აქვს ნასესხები სახსრები მთლიანი ოდენობით 890 ლარი (2022 წ.: 2,363 ლარი) უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმოსგან. ამ ნასესხებ სახსრებზე ვრცელდება ფიქსირებული საპროცენტო განაკვეთი 13.5% და მათი დაფარვის ვადაა 2024 წლის დეკემბერი.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან მიღებული ნასესხები სახსრები, საბალანსო ღირებულებით 41,284 ლარი (2022 წ.: 98,200 ლარი) უზრუნველყოფილია მომხმარებლებზე გაცემული სესხებით, საბალანსო ღირებულებით 53,200 ლარი (2022 წ.: 152,002 ლარი) (მე-7 შენიშვნა).

კომპანიის შენობა-ნაგებობები საბალანსო ღირებულებით 697 ლარი (2022 წ.: 731 ლარი) დაგირავებულია საქართველოს ბანკებიდან მიღებული სესხების უზრუნველყოფის სახით (მე-13 შენიშვნა).

2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაკავშირებული მხარე (უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის კონტროლის ქვეშ მყოფი საწარმო) შენობა-ნაგებობებს უზრუნველყოფად წარმოადგენდა ქართული ბანკისგან მიღებულ 12,000 ლარის ოდენობით სესხზე.

(ათას ლარში)

**14. გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები**

კომპანიის სავალო ფასიანი ქაღალდები 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავდა შემდეგს:

	2023	2022
გამოშვებული ობლიგაციები	129,693	-

2023 წლის მარტში კომპანიამ გამოუშვა და ქართულ საფონდო ბირჟაზე აღრიცხა 3-წლიანი ლარში გამოხატული ობლიგაციები ნომინალური ღირებულებით 130,000 ლარი და კუპონური განაკვეთით TIBR+2%. ემისიიდან შემოსულობა კომპანიის მიერ ადგილობრივი კომერციული ბანკებისგან ნასესხები სახსრების რეფინანსირებისთვის იყო გამოყენებული. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები უზრუნველყოფილია მომხმარებლებზე გაცემული სესხებით საბალანსო ღირებულებით 169,000 ლარი.

**15. სხვა ვალდებულებები**

სხვა ვალდებულებები შედგებოდა შემდეგით:

	2023	2022
<b>სხვა ფინანსური ვალდებულებები</b>		
ფულადი გზავნილების საქმიანობებთან დაკავშირებული ვალდებულებები და უზრუნველყოფილი ანაზრები	4,069	12,950
მომხმარებლებზე გაცემულ სესხებზე გადახდილი ავანსები	1,759	-
ვადადამდგარი, მაგრამ მომხმარებლების მიერ ჯერ არ მოთხოვნილი მარტივი თამასუქები	1,207	-
	<b>7,035</b>	<b>12,950</b>
<b>სხვა არაფინანსური ვალდებულებები</b>		
საგადასახადო ვალდებულებები მოგების გადასახადის გარდა	601	369
სხვა	2,643	1,914
	<b>3,244</b>	<b>2,283</b>
<b>სულ სხვა ვალდებულებები</b>	<b>10,279</b>	<b>15,233</b>

**16. საკუთარი კაპიტალი**

საწესდებო კაპიტალი წარმოადგენს კომპანიის სადამფუძნებლო დოკუმენტაციაში ასახული კაპიტალის ნომინალურ ღირებულებას და ექვემდებარება სახელმწიფო რეგისტრაციას. 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანიის საწესდებო კაპიტალი 1,584 ლარს შეადგენდა.

**დივიდენდები**

საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, კომპანიას შეუძლია დივიდენდების განაწილება თავისი წლიური ან ნახევარწლიანი მოგებიდან.

2023 წელს კომპანიამ გამოაცხადა და პარტნიორს სრულად გადაუხადა 35,062 ლარის ოდენობის (2022 წ.: 2,166 ლარი) დივიდენდები.

(ათას ლარში)

**17. პირობითი ვალდებულებები****იურიდიული**

ჩვეული საქმიანობის პროცესში შესაძლებელია კომპანიის წინააღმდეგ სარჩელი აღიმართოს. 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია არ იყო არსებითი სასამართლო დავის საგანი. ხელმძღვანელობა მიიჩნევს, რომ თუ რაიმე სარჩელის გამო კომპანიას დაეკისრება პასუხისმგებლობა, ამ პასუხისმგებლობის მთლიანი მოცულობა უარყოფითად არ იმოქმედებს კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ან სამომავლო საქმიანობის შედეგებზე.

**18. საკომისიო შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან და საკომისიო ხარჯები**

საკომისიო შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან მოიცავს შემდეგს:

	2023	2022
შემომავალი გზავნილები	7,052	8,322
გამავალი გზავნილები	1,178	1,206
	<b>8,230</b>	<b>9,528</b>
საკომისიო ხარჯები	(1,353)	(1,047)
<b>წმინდა საკომისიო შემოსავალი</b>	<b>6,877</b>	<b>8,481</b>

შემომავალი გზავნილების ძირითადი გეოგრაფიული არეალებია რუსეთი, გერმანია და იტალია.

საკომისიო ხარჯებმა 1,353 ლარი (2022 წ.: 1,047 ლარი) შეადგინა და ის მოიცავდა დაკავშირებული მარისთვის ფულადი გზავნილების განხორციელებაზე გადახდილ საკომისიოს, რომელიც მომხმარებლებმა კომპანიას გადაუხადეს გადახდის ტერმინალების გამოყენებით.

**19. შემოსულობა დასაკუთრებული ოქროს გაყიდვიდან და სხვა შემოსავალი**

შემოსულობა დასაკუთრებული ოქროს გაყიდვიდან და სხვა შემოსავალი მოიცავს:

	2023	2022
დასაკუთრებული ოქროს გაყიდვით და გადაფასებით გამოწვეული შემოსულობა	265	198
ძირითადი საშუალებების გასვლასთან დაკავშირებული შემოსულობა	–	2
სხვა	353	58
	<b>618</b>	<b>258</b>

(ათას ლარში)

**20. სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები**

სხვა საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები მოიცავს შემდეგს:

	2023	2022
კავშირგაბმულობის და კომუნალური მომსახურება	1,691	1,666
ძირითადი საშუალებების რემონტი და ტექნომსახურება	1,464	1,417
სადაზღვევო ხარჯები	1,197	302
დაცვის ხარჯი	874	668
იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი	422	293
საოფისე აღჭურვილობა და საკანცელარიო ნივთები	277	420
წარმომადგენლობითი ხარჯები	249	78
სამივლინებო ხარჯი	214	69
იჯარა და ქირა	185	113
საოპერაციო გადასახადები	165	158
ბანკის საკომისიო	94	105
სარეკლამო ხარჯი	22	165
სხვა ხარჯები	465	173
	<b>7,319</b>	<b>5,626</b>

**აუდიტორის ანაზღაურება**

იურიდიული და საკონსულტაციო მომსახურების ხარჯი, აუდიტორის ანაზღაურების ჩათვლით კომპანიის გარე აუდიტორის ანაზღაურება 31 დეკემბრით დასრულებული 2023 და 2022 წლებისთვის მოიცავს შემდეგს:

	2023	2022
კომპანიის წლიური ფინანსური ანგარიშგებების აუდიტის საფასური 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის	178	135
სხვა პროფესიული მომსახურებების დანახარჯები	22	22
	<b>200</b>	<b>157</b>

**21. რისკის მართვა****შესავალი**

კომპანიის საქმიანობებისთვის რისკებია დამახასიათებელი რომელთა მართვაც ხდება მიმდინარე იდენტიფიცირების, შეფასებისა და მონიტორინგის პროცესით. რისკის მართვის ამ პროცესს გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის უწყვეტი შემოსავლიანობისათვის. ხელმძღვანელობის ზედა რგოლი პასუხს აგებს და უშუალოდ არის ჩართული რისკის მართვის საქმიანობაში. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო იღებს რისკის მართვის შესაბამის გადაწყვეტილებებს (რომლებიც მოიცავს როგორც ქვემოთ აღწერილ ფინანსურ რისკებს, ისე ბიზნეს რისკებს, როგორც არის გარემოს, ტექნოლოგიების და დარგის ცვლილებები) რეგულარულ შეხვედრებზე, რომლებიც მინიმუმ თვეში ორჯერ ტარდება. შემუშავების ეტაპზე რისკის მართვის ფორმალიზებული პროცესი. კომპანიის საქმიანობის დამახასიათებელი ძირითადი რისკებია საკრედიტო რისკი, ლიკვიდობის რისკი და უცხოური ვალუტის რისკი. ის ასევე გასწევს საოპერაციო რისკებს.

*(ათას ლარში)*

## 21. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა უდრის თავისი ფულადი სახსრების და საკრედიტო ინსტიტუტების მოთხოვნების (გარდა სალაროში ნაღდი ფულის ნაშთისა) საბალანსო ღირებულებას, გაცემულ სესხებს, მოთხოვნებს და წარმოებულ ფინანსურ აქტივებს.

სალომბარდო სესხებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკები ძირითადად იმართება სესხების უზრუნველყოფის მოთხოვნით. გარდა ამისა, კომპანია ზღუდავს და აკონტროლებს ერთ მსესხებელზე გაცემული სალომბარდო სესხების თანხას (მაქსიმუმ 100 ათასი ლარი) და არ არსებობს ერთი მსესხებელი, რომელზეც მნიშვნელოვანი ნაშთი მოდის, სალომბარდო სესხების მთლიან ნაშთთან მიმართებაში.

იპოთეკური სესხის შემთხვევაში, სესხის მომთხოვნი პირი ჯერ ავსებს სასესხო განაცხადს, რომელსაც განიხილავს და აანალიზებს კომპანიის საკრედიტო განყოფილება. თუ განაცხადს დაამტკიცებს საკრედიტო განყოფილება, შემდეგ ტარდება გასაუბრება პირადად მომხმარებელთან კომპანიის დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ. თუ კომპანიის დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დაასკვნია, რომ აღნიშნული კლიენტის შემთხვევაში საკრედიტო რისკის მისაღები დონე არსებობს, შემდეგ ხდება დასაგირავებელი ქონების შეფასება და გაცივმა იპოთეკური სესხი, რომლის თანხაც არ აღემატება ქონების სალიკვიდაციო ღირებულების 30%-ს. ეს არის ის მიახლოებითი თანხა, რომლის მიღებაც მოსალოდნელია აქტივის დაჩქარებული წესით გაყიდვის შედეგად, ვიდრე იქნებოდა დამოუკიდებელ მყიდველზე ჩვეულებრივი გაყიდვის პირობებში.

სალომბარდო სესხის შემთხვევაში, თუ მსესხებელი 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ განახორციელებს შენატანს, კომპანია მომხმარებელს უგზავნის ოფიციალურ გაფრთხილების წერილს და თუ მსესხებელი მაინც ვერ დაფარავს დავალიანებას 60 დღის განმავლობაში (რომელსაც კომპანია განსაზღვრავს დეფოლტირების კრიტერიუმად სალომბარდო სესხებისთვის, საკრედიტო რისკის მართვის პრაქტიკის შესაბამისად), მაშინ კომპანია ახდენს უზრუნველყოფის საგნის დასაკუთრებას.

იპოთეკური სესხების შემთხვევაში, ოფიციალური გაფრთხილების წერილი იგზავნება მაშინ, თუ მსესხებელი ვერ გადაიხდის 15 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში და წერილი ასევე ქვეყნდება გაზეთში. თუ მსესხებელი დროულად ვერ გადაიხდის დავალიანებას, კომპანიის თანამშრომელი კლიენტს უკავშირდება ტელეფონით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით და მოსთხოვს მას თანხის დაფარვას. ჩვეულებრივ, კომპანია სასამართლოს მხოლოდ მაშინ მიმართავს დაგირავებული უძრავი ქონების გაყიდვის მოთხოვნით, როდესაც სესხი 120 დღეზე მეტი ხნით არის ვადაგადაცილებული. თუმცა, გარკვეულ შემთხვევებში, კომპანია ცდილობს კლიენტთან სესხის შეცვლილ პირობებზე მოლაპარაკებას, დაგირავებული ქონების გაყიდვის თავიდან აცილების მიზნით. როგორც წესი, სასამართლო აკმაყოფილებს კომპანიის მოთხოვნას და აქტივები იყიდება კომპანიის მიმართ მსესხებლის დავალიანების დასაფარად, თუმცა ხშირად ჯარიმების დაფარვა არ ხდება. სასამართლოში საქმის წარმოებას შეიძლება დაახლოებით ერთი წელი დასჭირდეს, ხოლო აღსრულების პროცესს – კიდევ სამი თვე.

*(ათას ლარში)***21. რისკის მართვა (გაგრძელება)****საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

სამომხმარებლო სესხებისა გარდა სხვა ფინანსური აქტივებისთვის მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არაარსებითად ფასდება, უმეტესად საკრედიტო რისკზე დაქვემდებარების მოკლე ვადის გამო.

უზრუნველყოფის ეფექტი და რისკის შემცირების სხვა მეთოდები მოცემულია მე-7 შენიშვნაში.

*გაუფასურების შეფასება*

კომპანია მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს გამოითვლის ალბათობის რამდენიმე სცენარზე დაყრდნობით იმისათვის, რომ შეაფასოს ფულადი სახსრების მოსალოდნელი დეფიციტი, რომელიც დისკონტირებულია ეფექტურ საპროცენტო განაკვეთთან მიახლოებული განაკვეთით. ფულადი სახსრების დეფიციტი არის სხვაობა ხელშეკრულების შესაბამისად საწარმოსთვის გადასახდელ ფულად ნაკადებს და იმ ფულად ნაკადებს, რომელთა მიღებასაც საწარმო მოელის. მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გაანგარიშება მოცემულია ქვემოთ და მისი ძირითადი კომპონენტებია:

PD	დეფოლტის ალბათობა არის გარკვეული დროის განმავლობაში დეფოლტის დადგომის შესაძლებლობის შეფასება. დეფოლტი შეიძლება დადგეს მხოლოდ შესაფასებელი პერიოდის გარკვეულ მომენტში, თუ ინსტრუმენტის აღიარება მანამდე არ შეწყვეტილა და ჯერ კიდევ პორტფელის ნაწილია.
EAD	<i>დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება</i> არის დავალიანების შეფასება დეფოლტის სამომავლო თარიღისთვის, საანგარიშგებო თარიღის შემდეგ დავალიანებაში მოსალოდნელი ცვლილებების გათვალისწინებით, რომელთა შორისაც არის ძირითადი თანხისა და პროცენტის გადახდა, ხელშეკრულების მიხედვით ან სხვაგვარად, კრედიტების, რომელთა გაცემის ვალდებულება ნაკისრია, მოსალოდნელი ათვისება და გადაუხდელ შენატანებზე დარიცხული პროცენტი.
LGD	დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში არის დროის გარკვეულ მომენტში დეფოლტის დადგომის შემთხვევაში წარმოქმნილი ზარალის შეფასება. ის ეყრდნობა სხვაობას გადასახდელ სახელშეკრულებო ფულად ნაკადებსა და იმ ფულად ნაკადებს შორის, რომელთა მიღებასაც კრედიტორი მოელის, მათ შორის უზრუნველყოფის საგნის რეალიზაციის გზით. ჩვეულებრივ, გამოიხატება დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების პროცენტის სახით.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვი იქმნება იმ საკრედიტო ზარალების საფუძველზე, რომელთა წარმოშობაც მოსალოდნელია აქტივის არსებობის ვადის განმავლობაში („აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი“), გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც საკრედიტო რისკი არ გაზრდილა აქტივის წარმოშობიდან, რა შემთხვევაშიც, რეზერვი ეყრდნობა 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს (12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი). 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი არის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის ნაწილი, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევებს ფინანსურ ინსტრუმენტზე და რომლებიც შესაძლოა დადგეს საანგარიშგებო თარიღიდან 12 თვის განმავლობაში. აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი და 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი გამოითვლება ან ინდივიდუალურად, ან კოლექტიურად, საბაზისო ფინანსური ინსტრუმენტების პორტფელის ხასიათიდან გამომდინარე.

*(ათას ლარში)***21. რისკის მართვა (გაგრძელება)****საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

კომპანიამ დანერგა პოლიტიკა, რომლის მიხედვითაც, თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსთვის აფასებს, საწყისი აღიარების შემდეგ მნიშვნელოვნად არის თუ არა გაზრდილი ფინანსური ინსტრუმენტის საკრედიტო რისკი, რისთვისაც ითვალისწინებს დეფოლტის რისკის ცვლილებას ფინანსური ინსტრუმენტის დარჩენილი ვადის განმავლობაში. ზემოაღნიშნულ პროცესზე დაყრდნობით, კომპანია აჯგუფებს თავის სესხებს 1-ელ, მე-2, მე-3 სტადიებად და შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულად, როგორც აღწერილია ქვემოთ:

1-ლი სტადია:	სესხების თავდაპირველი აღიარებისას კომპანია ქმნის რეზერვს 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მიხედვით. პირველი სტადიის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მეორე სტადიიდან.
2-ლი სტადია:	როდესაც სესხის წარმოშობის შედეგად საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად არის გაზრდილი, კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს. მეორე სტადიის სესხები ასევე მოიცავს ისეთ სესხებს, რომელთა საკრედიტო რისკი შემცირებულია და სესხი რეკლასიფიცირებულია მესამე სტადიიდან.
3-ლი სტადია:	სესხები, რომლებიც გაუფასურებულად მიიჩნევა. კომპანია ქმნის აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის რეზერვს.
შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებულ (POCI):	შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივები არის ისეთი ფინანსური აქტივები, რომლებიც გაუფასურებულია საწყისი აღიარებისას. შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული აქტივები აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარებისას და საპროცენტო შემოსავლის აღიარება შემდეგ ხდება კრედიტის მიხედვით დაკორექტირებული ეფექტური საპროცენტო განაკვეთის საფუძველზე. არსებობის მანძილზე მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის აღიარება ხდება მხოლოდ იმ ოდენობით, რა ოდენობითაც მათში ფიქსირდება შემდგომი ცვლილება.

**დეფოლტის ალბათობის შეფასების პროცესი**

დეფოლტის ალბათობა ფასდება მაკრო მოდელის გამოყენებით, რომელიც აღწერს დამოკიდებულებას დეფოლტის განვლილ ალბათობას და ისეთ მაკროეკონომიკურ ცვლად მონაცემებს შორის, როგორც არის მშპ-ის რეალური ზრდა და უნცია ოქრო/ლარის სავალუტო კურსი. დეფოლტის ალბათობის პროგნოზირება ხდება შეფასების შედეგების და სებ-ის მიერ წარმოდგენილი საპროგნოზო მაკრო-ცვლადი მონაცემების საფუძველზე. მოდელი ყოველწლიურად გადაფასდება და გამოიყენება სხვა მაკროეკონომიკური ცვლადი მონაცემები, თუ ისინი გააუმჯობესებენ მოდელის ახსნის უნარს.



*(ათას ლარში)***21. რისკის მართვა (გაგრძელება)****საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

იმ შემთხვევაში, თუ დეფოლტის შესახებ განვლილი სტატისტიკური მონაცემები არ მიიჩნევა სრულად წარმომადგენლობითად სასესხო პორტფელის საკრედიტო ხარისხის მხრივ (მაგალითად, მთავრობის მიერ ინიცირებული საშეღავათო პერიოდების ან დაკვირვების შედეგად გამოვლენილი დეფოლტის შემთხვევების დაბალი რაოდენობის გამო), ხელმძღვანელობამ, საკუთარი პროფესიული განსჯის საფუძველზე, შესაძლოა მოახდინოს ამ განვლილი სტატისტიკის კორექტირება, დეფოლტის ალბათობის შესაფასებლად, რომელსაც ხელმძღვანელობა მიიჩნევს დეფოლტის ალბათობის საუკეთესო შეფასებად საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით.

*დეფოლტირებული ოდენობა*

დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანება წარმოადგენს ფინანსური ინსტრუმენტების მთლიან საბალანსო ღირებულებას, გაუფასურების დაანგარიშების ფარგლებში. დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავი დავალიანების დასაანგარიშებლად პირველი სტადიის სესხისთვის, კომპანია აფასებს დეფოლტის შესაძლო მოვლენებს 12 თვის განმავლობაში, 12-თვიანი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დასაანგარიშებლად. მე-2 და მე-3 სტადიების და შესყიდვისას ან წარმოქმნისას გაუფასურებული ფინანსური აქტივებისთვის, დეფოლტის შესაძლებლობა გათვალისწინდება მოვლენებზე ინსტრუმენტის არსებობის ვადის განმავლობაში.

კომპანია დეფოლტის მომენტისთვის დაუფარავ დავალიანებას განსაზღვრავს ფინანსური აქტივის მიმდინარე მთლიან საბალანსო ღირებულებად. მოსალოდნელი ავანსების ეფექტი მიიჩნევა არაარსებითად, საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით დაუფარავი სესხის პორტფელის ვადების მიხედვით საპროცენტო განაკვეთების სტრუქტურის გათვალისწინებით.

*დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში*

დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების ღირებულება რეგულარულად გადაფასდება. საკრედიტო რისკის შეფასება ეფუძნება დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების სტანდარტიზებული შეფასების სტრუქტურას, რომელიც იწვევს დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების კონკრეტულ განაკვეთს. დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების ეს განაკვეთები ითვალისწინებს დეფოლტის მომენტისთვის მოსალოდნელ დაუფარავ დავალიანებას იმ თანხასთან შედარებით, რომლის აღდგენაც ან რეალიზაციაც მოსალოდნელია უზრუნველყოფის ნებისმიერი დასაკუთრებული საგნიდან.

კომპანიას ორი პორტფელური სეგმენტი აქვს – სალომბარდო და იპოთეკური სესხები. იპოთეკური სესხებისთვის, კომპანია აგროვებდა მონაცემებს ზარალის შესახებ და სტატისტიკურად ანგარიშობდა დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებს, სესხის ამოღების გამოცდილების საფუძველზე. სალომბარდო სესხებისთვის, დანაკარგები დეფოლტის შემთხვევაში ფასდება საანგარიშგებო თარიღის მდგომარეობით ფლობილი ოქროს უზრუნველყოფის სამართლიანი ღირებულების, ან, შესაბამის შემთხვევაში, მათი საშუალო ღირებულების გათვალისწინებით.

*(ათას ლარში)***21. რისკის მართვა (გაგრძელება)****საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება დამატებითი უახლესი მონაცემები და პერსპექტიული ეკონომიკური სცენარები, სალომბარდო პორტფელისთვის (მაგ. ოქროს საპროგნოზო ფასები) ფასს (IFRS) 9-ის დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგების განაკვეთის განსასაზღვრად. პერსპექტიული ინფორმაციის შეფასებისას, მოლოდინი ეფუძნება მრავალჯერად სცენარებს, რომლებიც რეგულარულად გადაიხედება იპოთეკური პორტფელისთვის. ამასთან მიიჩნევა, რომ პერსპექტიული ინფორმაციის გამოყენებას დეფოლტის შემთხვევაში დანაკარგებზე არაარსებითი ეფექტი აქვს.

*საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდა*

კომპანია მუდმივად ახდენს ყველა მისი აქტივის მონიტორინგს მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის გათვალისწინებით. იმის განსასაზღვრად, ინსტრუმენტი ან ინსტრუმენტთა პორტფელი 12-თვიან მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს ექვემდებარება, თუ აქტივის არსებობის მანძილზე მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს, კომპანია აფასებს ჰქონდა თუ არა ადგილი მნიშვნელოვან ზრდას საკრედიტო რისკში საწყისი აღიარების შემდეგ. კომპანიის აზრით, საკრედიტო რისკი მნიშვნელოვნად იზრდება იმ დროს, როდესაც ვადაგადაცილება 30 დღეს გადააჭარბებს.

კომპანია ასევე იყენებს მეორად თვისებრივ მეთოდს აქტივის საკრედიტო რისკის მნიშვნელოვანი ზრდის გამოსაწვევად, როგორც არის ანგარიშის რესტრუქტურის შეცვლა საკრედიტო მოვლენის გამო (მთავრობის მიერ ინიცირებული საშეღავათო პერიოდის პროგრამებიდან წარმოქმნილი რესტრუქტურის გამოკლებით).

კომპანია მისი სასესხო პორტფელისთვის მოსალოდნელ საკრედიტო ზარალს მხოლოდ კოლექტიურ საფუძველზე აფასებს, რადგან კომპანიის ყველა სესხი ინდივიდუალური მნიშვნელობის არმქონედ მიიჩნევა. მსგავსი საკრედიტო რისკის პროფილის მქონე სესხების ჯგუფებს კომპანია განსაზღვრავს პროდუქტის (სალომბარდო და იპოთეკური) ვალუტის (ლარი ან უცხოური ვალუტა) და ვადაგადაცილებული დღეების საფუძველზე.

*დეფოლტის განმარტება*

კომპანია ითვალისწინებს დეფოლტირებულ ფინანსურ ინსტრუმენტს და შესაბამისად მე-3 სტადიას (გაუფასურებული) მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებაში ყველა შემთხვევაში, როცა მსესხებელს სახელშეკრულებო გადახდების 90 დღეზე მეტი ვადაგადაცილება ექნება (60 დღე სალომბარდო სესხებისთვის, რაც შეესაბამება კომპანიის საკრედიტო რისკის მართვის პრინციპს და გულისხმობს უზრუნველყოფის დასაკუთრებას 60-დღიანი ვადაგადაცილების პერიოდში).

(ათას ლარში)

## 21. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

*საპროგნოზო ინფორმაცია და მრავალჯერადი ეკონომიკური სცენარები*

თავისი მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის მოდელის გამოყენებისას კომპანია ამოსავალ ეკონომიკურ მონაცემებად იყენებს ისეთ ფართო სპექტრის პერსპექტიულ ინფორმაციას, როგორც არის:

- ▶ მშპ-ის ზრდა;
- ▶ უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსი;
- ▶ ოქროს ღირებულება.

მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის დაანგარიშებაში გამოყენებული ამოსავალი მონაცემები და მოდელები, ყოველთვის არ მოიცავს ბაზრის ყველა მახასიათებელს, ფინანსური ანგარიშგების გამოშვების თარიღში.

კომპანია სეზონურ-სეზონურ იღებს საპროგნოზო ინფორმაციას, ოქროს ფასების გარდა. ოქროს საპროგნოზო ფასები განისაზღვრება საზოგადოდ ხელმისაწვდომი პროგნოზის და ოქროს ფასების ცვალებადობისა და მასზე დაკვირვების გამოცდილების საფუძველზე. ქვემოთ მოცემულ ცხრილებში ნაჩვენებია საპროგნოზო ეკონომიკური ცვლადი მონაცემები/დაშვებები, რომლებიც მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის თითოეულ ეკონომიკურ სცენარში გამოიყენება.

მთავარი ფაქტორები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სცენარი		განსაზღვრული ალბათობები, %	2024
	<b>მშპ-ის ზრდა, %</b>	ოპტიმისტური	25%	6.5%
	საბაზისო	50%	5.0%	
	პესიმისტური	25%	3.0%	
<b>აშშ დოლარი/ლარის საშუალო გაცვლითი კურსის ცვლილება</b>	ოპტიმისტური	25%	-3.0%	
	საბაზისო	50%	0.0%	
	პესიმისტური	25%	15.0%	
<b>ოქროს (ერთი უნცია) ფასი, აშშ დოლარი ერთი ტროიანული უნცია</b>	ოპტიმისტური	11%	5.7%	
	საბაზისო	50%	8.1%	
	შემთხვევა 1 საბაზისო	23%	0.0%	
	შემთხვევა 2	11%	-4.9%	
	პესიმისტური 1	5%	-28.3%	
	პესიმისტური 2			

(ათას ლარში)

**21. რისკის მართვა (გაგრძელება)****საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

მთავარი ფაქტორები 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის სცენარი	განსაზღვრული ალბათობები, %	2023
<b>მშპ-ის ზრდა, %</b>			
	ოპტიმისტური	25%	6.0%
	საბაზისო	50%	4.0%
	პესიმისტური	25%	2.0%
<b>აშშ დოლარი/ლარის საშუალო გაცვლითი კურსის ცვლილება</b>			
	ოპტიმისტური	25%	-2.0%
	საბაზისო	50%	0.0%
	პესიმისტური	25%	15.0%
<b>ოქროს (ერთი უნცია) ფასი, აშშ დოლარი ერთი ტროიანული უნცია</b>			
	ოპტიმისტური	9%	5.4%
	საბაზისო		
	შემთხვევა 1	50%	-5.7%
	საბაზისო		
	შემთხვევა 2	18%	1.2%
	პესიმისტური 1	15%	-1.7%
	პესიმისტური 2	9%	-5.2%

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ხელმძღვანელობამ ჩაატარა ოქროს ფასებთან დაკავშირებული პროგნოზირება ოქროს ფასების მნიშვნელოვანი ცვალებადობის გათვალისწინებით, რომელიც 2022–2023 წლებში დაფიქსირდა, დამატებითი პესიმისტური სცენარების დამატების გზით, რომლებიც ითვალისწინებს ოქროს ფასების დაბრუნებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დაფიქსირებულ დონეებს.

(ათას ლარში)

**21. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**საკრედიტო რისკი (გაგრძელება)**

საკრედიტო ხარისხი ფინანსური აქტივების კლასების მიხედვით

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია სამომხმარებლო სესხების საკრედიტო ხარისხი:

2023 წლის 31 დეკემბერი	შენიშვნა	0–დან 30 დღემდე ვადაგადა- ცილება	30–დან 60 დღემდე ვადაგადა- ცილება	60–დან 90 დღემდე ვადაგადა- ცილება	90 დღეზე მეტი ვადაგადა- ცილება	სულ
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	7					
	1–ლი სტადია	445,041	–	–	–	445,041
	მე-2 სტადია	6,718	3,799	–	–	10,517
	მე-3 სტადია	–	–	1,965	1,999	3,964
– სალომზარდო სესხები		<b>451,759</b>	<b>3,799</b>	<b>1,965</b>	<b>1,999</b>	<b>459,522</b>
	1–ლი სტადია	9,404	–	–	–	9,404
	მე-2 სტადია	92	64	–	–	156
	მე-3 სტადია	–	–	21	130	151
– იპოთეკური სესხები		<b>9,496</b>	<b>64</b>	<b>21</b>	<b>130</b>	<b>9,711</b>
<b>სულ</b>		<b>461,255</b>	<b>3,863</b>	<b>1,986</b>	<b>2,129</b>	<b>469,233</b>
2022 წლის 31 დეკემბერი	შენიშვნა	0–დან 30 დღემდე ვადაგადა- ცილება	30–დან 60 დღემდე ვადაგადა- ცილება	60–დან 90 დღემდე ვადაგადა- ცილება	90 დღეზე მეტი ვადაგადა- ცილება	სულ
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	7					
	1–ლი სტადია	406,863	–	–	–	406,863
	მე-2 სტადია	6,384	984	–	–	7,368
	მე-3 სტადია	–	–	1,281	929	2,210
– სალომზარდო სესხები		<b>413,247</b>	<b>984</b>	<b>1,281</b>	<b>929</b>	<b>416,441</b>
	1–ლი სტადია	10,200	–	–	–	10,200
	მე-2 სტადია	3,163	20	2	–	3,185
	მე-3 სტადია	–	–	–	73	73
– იპოთეკური სესხები		<b>13,363</b>	<b>20</b>	<b>2</b>	<b>73</b>	<b>13,458</b>
<b>სულ</b>		<b>426,610</b>	<b>1,004</b>	<b>1,283</b>	<b>1,002</b>	<b>429,899</b>

(ათას ლარში)

## 21. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საკრედიტო რისკი (გაგრძელება)

კომპანიას არ აქვს საკრედიტო რეიტინგის შიდა სისტემა, რომ შეაფასოს მომხმარებლებზე იპოთეკური სესხების საკრედიტო ხარისხი. ის საკრედიტო რისკს მართავს ვადაგადაცილებული დღეების შესახებ ინფორმაციის საფუძველზე.

ვადაგადაცილების ინფორმაციასთან ერთად, სალომზარდო პორტფელისთვის, კომპანია საკრედიტო ხარისხს აფასებს უზრუნველყოფის ღირებულებასთან სესხის ფარდობის კოეფიციენტის საფუძველზე 2023 წლის 31 დეკემბრისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

#### 2023 წლის 31

დეკემბრის მდგომარეობით	0.5>	0.5-0.8	0.8-1	1-1.05	1.05-1.1	1.1-1.2	1.2<	სულ
1-ლი სტადია	10,769	78,521	290,211	45,629	10,702	3,768	5,441	445,041
მე-2 სტადია	223	1,612	6,625	1,002	314	264	477	10,517
მე-3 სტადია	25	536	2,965	370	35	13	20	3,964
<b>სულ</b>	<b>11,017</b>	<b>80,669</b>	<b>299,801</b>	<b>47,001</b>	<b>11,051</b>	<b>4,045</b>	<b>5,938</b>	<b>459,522</b>

#### 2022 წლის 31

დეკემბრის მდგომარეობით	0.5>	0.5-0.8	0.8-1	1-1.05	1.05-1.1	1.1-1.2	1.2<	სულ
1-ლი სტადია	7,753	33,254	144,657	27,126	51,962	126,387	15,724	406,863
მე-2 სტადია	70	598	476	99	114	357	5,654	7,368
მე-3 სტადია	1	7	30	15	18	63	2,076	2,210
<b>სულ</b>	<b>7,824</b>	<b>33,859</b>	<b>145,163</b>	<b>27,240</b>	<b>52,094</b>	<b>126,807</b>	<b>23,454</b>	<b>416,441</b>

მომხმარებლებზე გაცემული სესხების მოსალოდნელი საკრედიტო ზარალის შესახებ უფრო დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ მე-7 შენიშვნა.

### ლიკვიდობის რისკი და დაფინანსების მართვა

ლიკვიდობის რისკი ნიშნავს იმას, რომ კომპანიამ შეიძლება ვერ შეძლოს ნორმალურ და სტრესულ ვითარებაში წარმოშობილი ფინანსური ვალდებულებების დროულად დაფარვა. ამ რისკის შეზღუდვის მიზნით, ხელმძღვანელობა მარტივი თამასუქებით წარმოდგენილი ფინანსური რესურსების ბაზის გარდა იყენებს დაფინანსების დივერსიფიცირებულ წყაროებს, მართავს აქტივებს ლიკვიდობის მიხედვით და ყოველდღიურ ზედამხედველობას უწევს მომავალ ფულად ნაკადებს და ლიკვიდობას. აღნიშნულ პროცედურებთან ერთად, ფასდება მოსალოდნელი ფულადი ნაკადები და მაღალი ხარისხის უზრუნველყოფა, რომელიც შესაძლებელია საჭიროებისამებრ გამოყენებულ იქნას დამატებითი დაფინანსების უზრუნველყოფისთვის.

(ათას ლარში)

**21. რისკის მართვა (გაგრძელება)****ლიკვიდობის რისკი და დაფინანსების მართვა (გაგრძელება)***ფინანსური ვალდებულებების ანალიზი დარჩენილი სახელშეკრულებო დაფარვის ვადებით*

ცხრილში ქვემოთ მოცემულია კომპანიის ფინანსური ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი 31 დეკემბრის მდგომარეობით სახელშეკრულებო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებებზე დაყრდნობით. დაფარვები, რომლებიც შეტყობინებას საჭიროებენ, განიხილება ისე, თითქოს შეტყობინება სასწრაფო წესით იყოს გაცემული. ამის მიუხედავად, კომპანია მოელის, რომ შეძლებს დაფარვების რეფინანსირებას ან გადავადებას უადრესი თარიღით, როდესაც შეიძლება კომპანიას გადახდა მოეთხოვოს და ცხრილი არ ასახავს მოსალოდნელ ფულად ნაკადებს, რომლებიც მითითებულია კომპანიის მარტივი თამასუქების რეფინანსირების ისტორიაში.

2023 წლის 31 დეკემბერი	1 თვემდე	1–დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1–დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ნასესხები სახსრები	6,195	482	36,620	–	–	43,297
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	–	3,782	11,711	149,447	–	164,940
მარტივი თამასუქები	8,031	18,271	77,435	–	–	103,737
საიჯარო ვალდებულება სხვა ფინანსური ვალდებულებები	189	373	1,683	2,984	478	5,707
სულ	4,069	–	–	–	–	4,069
<b>არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>18,484</b>	<b>22,908</b>	<b>127,449</b>	<b>152,431</b>	<b>478</b>	<b>321,750</b>

  

2022 წლის 31 დეკემბერი	1 თვემდე	1–დან 3 თვემდე	3 თვიდან 1 წლამდე	1–დან 5 წლამდე	5 წელზე მეტი	სულ
ნასესხები სახსრები	60,515	36,683	37,934	923	–	136,055
მარტივი თამასუქები	7,595	11,665	99,909	–	–	119,169
საიჯარო ვალდებულება სხვა ფინანსური ვალდებულებები	216	431	1,940	4,232	93	6,912
სულ	12,950	–	–	–	–	12,950
<b>არადისკონტირებული ფინანსური ვალდებულებები</b>	<b>81,276</b>	<b>48,779</b>	<b>139,783</b>	<b>5,155</b>	<b>93</b>	<b>275,086</b>

(ათას ლარში)

**21. რისკის მართვა (გაგრძელება)****საბაზრო რისკი***სავალუტო რისკი*

უცხოურ ვალუტაში გამოხატული აქტივები და ვალდებულებები სავალუტო რისკს წარმოშობს. სავალუტო რისკს ხელმძღვანელობა აკონტროლებს სესხების გაცემით და დაფინანსების მიღებით ერთსა და იმავე ვალუტებში, ასევე უცხოური ვალუტის წარმოებული ინსტრუმენტებით განხორციელებულ გარიგებებში შესვლით.

ქვემოთ ცხრილებში წარმოდგენილია კომპანიის ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების საბალანსო ღირებულებებით, განაწილებული ვალუტების მიხედვით (მოცემულია ეკვივალენტური თანხებით ლარში).

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სტრუქტურა სავალუტო რისკთან მიმართებაში:

<b>2023 წლის 31 დეკემბერი</b>	<b>ლარი</b>	<b>აშშ დოლარი</b>	<b>ევრო</b>	<b>სხვა</b>	<b>სულ</b>
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	25,715	9,565	17,882	1,799	<b>54,961</b>
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	19,252	26,955	–	–	<b>46,207</b>
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	456,210	12,892	131	–	<b>469,233</b>
სხვა ფინანსური აქტივები	1,298	7,039	2,023	280	<b>10,640</b>
<b>სულ აქტივები</b>	<b>502,475</b>	<b>56,451</b>	<b>20,036</b>	<b>2,079</b>	<b>581,041</b>
გამოშვებული მარტივი თამასუქები	(20,080)	(80,857)	–	–	<b>(100,937)</b>
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	(129,693)	–	–	–	<b>(129,693)</b>
ნასესხები სახსრები	(42,189)	–	–	–	<b>(42,189)</b>
საიჯარო ვალდებულება	(2,504)	(2,140)	–	–	<b>(4,644)</b>
სხვა ფინანსური ვალდებულებები	(3,198)	(1,397)	(2,375)	(65)	<b>(7,035)</b>
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>(197,664)</b>	<b>(84,394)</b>	<b>(2,375)</b>	<b>(65)</b>	<b>(284,498)</b>
რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტი	(76,071)	46,505	30,208	–	<b>642</b>
<b>წმინდა პოზიცია რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ</b>	<b>228,740</b>	<b>18,562</b>	<b>47,869</b>	<b>2,014</b>	<b>297,185</b>



(ათას ლარში)

**21. რისკის მართვა (გაგრძელება)**

**საბაზრო რისკი (გაგრძელება)**

2022 წლის 31 დეკემბერი	ლარი	აშშ დოლარი	ევრო	სხვა	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	79,392	17,138	11,324	1,676	109,530
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	-	-	-	-	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	412,129	17,579	191	-	429,899
სხვა ფინანსური აქტივები	-	5,039	-	-	5,039
<b>სულ აქტივები</b>	<b>491,521</b>	<b>39,756</b>	<b>11,515</b>	<b>1,676</b>	<b>544,468</b>
გამოშვებული მარტივი თამასუქები	(24,322)	(90,941)	-	-	(115,263)
ნასესხები სახსრები	(132,944)	-	-	-	(132,944)
საიჯარო ვალდებულება	(3,323)	(1,716)	-	-	(5,039)
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	(11,004)	(1,946)	-	(12,950)
<b>სულ ვალდებულებები</b>	<b>(160,589)</b>	<b>(103,661)</b>	<b>(1,946)</b>	<b>-</b>	<b>(266,196)</b>
რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების ეფექტი	(137,961)	128,687	10,099	-	825
<b>წმინდა პოზიცია რისკის სამართავად ფლობილი წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების შემდეგ</b>	<b>192,971</b>	<b>64,782</b>	<b>19,668</b>	<b>1,676</b>	<b>279,097</b>

*სავალუტო კურსის მგრძობელობის ანალიზი*

აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებაში ლარის გაუფასურება 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოგების ან ზარალის ქვემოთ წარმოდგენილ თანხებს შემდეგნაირად გაზრდიდა (შეამცირებდა). ეს ანალიზი წარმოდგენილია წინა საგადასახადო საფუძვლის გათვალისწინებით და ეყრდნობა სავალუტო კურსების მერყეობას, რომელიც კომპანიის აზრით მოსალოდნელი იყო საანგარიშგებო პერიოდის დასრულების თარიღში. ანალიზი ეფუძნება დაშვებას, რომ ყველა სხვა ცვლადი, კერძოდ კი საპროცენტო განაკვეთები, უცვლელი დარჩება.

ვალუტა	2023		2022	
	ცვლილება სავალუტო კურსში %	ეფექტი მოგებაზე	ცვლილება სავალუტო კურსში %	ეფექტი მოგებაზე
აშშ დოლარი	13%/(6%)	2,413/(1,114)	13%/(6%)	8,404/(3,879)
ევრო	18%/(7%)	8,616/(3,351)	18%/(7%)	3,390/(1,318)

**საპროცენტო განაკვეთის რისკი**

საპროცენტო განაკვეთის რისკი წარმოიქმნება იმ შემთხვევაში, თუ ცვლილებები საპროცენტო განაკვეთებში იმოქმედებს ფინანსური ინსტრუმენტების მომავალ ფულად ნაკადებზე.

მოგება-ზარალის ანგარიშგების მგრძობელობა არის საპროცენტო ხარჯზე ერთი წლის მანძილზე საპროცენტო განაკვეთის ნაგარაუდვევი ცვლილების ეფექტი თბილისის შიდა საბანკო განაკვეთზე (TIBR)/საქართველოს ეროვნული ბანკის რეფინანსირების განაკვეთზე მიბმული ფინანსური ვალდებულებების ცვალეზად განაკვეთზე 31 დეკემბრის მდგომარეობით.

(ათას ლარში)

## 21. რისკის მართვა (გაგრძელება)

### საპროცენტო განაკვეთის რისკი (გაგრძელება)

ქვემოთ ცხრილში წარმოდგენილია ვალდებულებები, რომლებსაც აქვს ცვალებადი საპროცენტო განაკვეთის რისკი 2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

	2023	2022
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	129,693	–
ნასესხები სახსრები	41,284	110,015

### საპროცენტო განაკვეთის მგრძობელობის ანალიზი

ქვემოთ მოცემულ ცხრილში ასახულია კომპანიის მოგება–ზარალის და საკუთარი კაპიტალის (გადასახადით დაბეგვრამდე) მგრძობელობა მცოცავი საპროცენტო განაკვეთის გონივრულობის ფარგლებში მოსალოდნელი ცვლილების მიმართ, როდესაც ყველა დანარჩენი ცვლადი მუდმივია.

2023		2022	
ცვლილება თბილისის შიდა საბანკო განაკვეთში და სებ–ის რეფინანსირების განაკვეთში, საბაზისო პუნქტი	ეფექტი მოგებასა და საკუთარ კაპიტალზე გადასახადით დაბეგვრამდე	ცვლილება თბილისის შიდა საბანკო განაკვეთში და სებ–ის რეფინანსირების განაკვეთში, საბაზისო პუნქტი	ეფექტი მოგებასა და საკუთარ კაპიტალზე გადასახადით დაბეგვრამდე
100/(100)	3,028/(2,862)	100/(100)	1,100/(1,100)

### საოპერაციო რისკი

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი, საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. კომპანია საოპერაციო რისკს ძირითადად ამცირებს იმით, რომ ხელმძღვანელობის ზედა რგოლი უშუალოდ არის ჩართული კომპანიის პროცესებსა და ოპერაციებში, შეფასების, ავტორიზაციისა და შეჯერების პროცედურების ჩათვლით. 2023 წლის ნოემბრიდან კომპანიამ შექმნა შიდა აუდიტის დეპარტამენტი, რათა, სხვა მიზნებთან ერთად, გააუმჯობესოს საკუთარი საოპერაციო რისკების მართვის პროცესი.

(ათას ლარში)

**22. აქტივების და ვალდებულებების ვადიანობის ანალიზი**

ქვემოთ ცხრილში მოცემულია აქტივებისა და ვალდებულებების ანალიზი იმისდა მიხედვით, თუ არის მოსალოდნელი მათი ამოღება ან დაფარვა. კომპანიის სახელშეკრულებო არადისკონტირებული დაფარვის ვალდებულებები იხილეთ 21-ე შენიშვნაში – „რისკის მართვა“.

	2023			2022		
	ერთი წლის განმავლო- ბაში	ერთ წელზე მეტი	სულ	ერთი წლის განმავლო- ბაში	ერთ წელზე მეტი	სულ
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	54,961	–	54,961	109,530	–	109,530
მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	46,207	–	46,207	–	–	–
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	321,535	146,181	467,716	415,571	10,278	425,849
ძირითადი საშუალებები	–	16,127	16,127	–	16,340	16,340
აქტივის გამოყენების უფლება	–	5,290	5,290	–	5,667	5,667
არამატერიალური აქტივები	–	831	831	–	475	475
წარმოქმნილი ფინანსური აქტივები	642	–	642	825	–	825
სხვა აქტივები	18,111	–	18,111	16,511	–	16,511
<b>სულ</b>	<b>441,456</b>	<b>168,429</b>	<b>609,885</b>	<b>542,437</b>	<b>32,760</b>	<b>575,197</b>
გამოშვებული მარტივი თამასუქები	100,937	–	100,937	115,263	–	115,263
მიმდინარე მოგების გადასახადის ვალდებულებები	2,900	–	2,900	2,093	–	2,093
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	556	129,137	129,693	–	–	–
ნასესხები სახსრები	42,189	–	42,189	130,581	2,363	132,944
საიჯარო ვალდებულება	1,908	2,736	4,644	1,944	3,095	5,039
გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულება	–	3,991	3,991	–	3,314	3,314
სხვა ვალდებულებები	10,279	–	10,279	15,233	–	15,233
<b>სულ</b>	<b>158,769</b>	<b>135,864</b>	<b>294,633</b>	<b>265,114</b>	<b>8,772</b>	<b>273,886</b>
<b>წმინდა</b>	<b>282,687</b>	<b>32,565</b>	<b>315,252</b>	<b>277,323</b>	<b>23,988</b>	<b>301,311</b>

ზემოთ წარმოდგენილი ცხრილი არ ასახავს მომხმარებლებზე გაცემული სესხების განვლილ ტენდენციებს და გამოშვებული მარტივი თამასუქების ვადის გაგრძელებას, რესტრუქტურირებასა და რეფინანსირებას.

*(ათას ლარში)***23. სამართლიანი ღირებულების შეფასება****სამართლიანი ღირებულების შეფასების პროცედურები**

სამართლიანი ღირებულების შეფასების მიზანია ფასის განსაზღვრა, რომელიც მიიღება აქტივის გასაყიდად ან ვალდებულების გადაცემის ასანაზღაურებლად ბაზრის მონაწილეებს შორის ნებაყოფლობით ოპერაციაში შეფასების თარიღისთვის. თუმცა, განუსაზღვრელობების და სუბიექტური მოსაზრების გათვალისწინებით, სამართლიანი ღირებულება არ უნდა იყოს ინტერპრეტირებული ისე, რომ მისი რეალიზება შესაძლებელია აქტივის დაუყოვნებლივ გაყიდვით ან ვალდებულებების გადაცემით.

კომპანიის ფინანსური განყოფილება განსაზღვრავს კომპანიის აქტივების, მათ შორის წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტების, სამართლიანი ღირებულების შეფასების პოლიტიკას და პროცედურებს. ყველა ფინანსური აქტივის და ვალდებულების სავარაუდო სამართლიანი ღირებულება დაანგარიშდება დისკონტირებული ფულადი ნაკადების მეთოდით, შეფასებული მომავალი ფულადი ნაკადების და დისკონტირების განაკვეთების საფუძველზე, მსგავსი ინსტრუმენტებისთვის საანგარიშგებო თარიღში.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, კომპანია არ ფლობს ფინანსურ ინსტრუმენტებს, სამომხმარებლო სესხების და საიჯარო ვალდებულებების გარდა, რომელთა სამართლიანი ღირებულებაც განისაზღვრება შეფასების ისეთი მეთოდებით, რომლებშიც გამოიყენება მნიშვნელოვანი არასაბაზრო ემპირიული ამოსავალი მონაცემები.

**სამართლიანი ღირებულების იერარქია**

კომპანია სამართლიან ღირებულებებს აფასებს სამართლიანი ღირებულების შემდეგი იერარქიით, რომელიც ასახავს შეფასებებში გამოყენებული მონაცემების მნიშვნელობას:

- ▶ 1-ლი დონე: ანალოგიური ინსტრუმენტის კოტირებული საბაზრო ფასი (გაუკორექტირებელი) აქტიურ ბაზარზე.
- ▶ მე-2 დონე: პირველ დონეში შესული კოტირებული ფასების გარდა სხვა პირდაპირ (ანუ ფასების სახით) ან არაპირდაპირ (ანუ ფასებიდან მიღებული) დაკვირვებადი მონაცემები. ეს კატეგორია მოიცავს ინსტრუმენტებს, რომლებიც ფასდება შემდეგი მონაცემების გამოყენებით: მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული საბაზრო ფასები აქტიურ ბაზრებზე; მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასები ისეთ ბაზრებზე, რომლებიც ნაკლებად აქტიურად ითვლება; ან სხვა შეფასების მეთოდები, რა შემთხვევაშიც, შეფასებაში მონაწილე ყველა მნიშვნელოვანი მონაცემი პირდაპირ ან არაპირდაპირ არის ბაზრიდან მოპოვებადი.
- ▶ მე-3 დონე: არადაკვირვებადი (არასაბაზრო) მონაცემები. ეს კატეგორია მოიცავს ყველა ინსტრუმენტს, რომელთა შეფასების მეთოდიც ეყრდნობა ისეთ ინფორმაციას, რომელიც არ შეიცავს ემპირიულ და არაემპირიულ ამოსავალ მონაცემებს მნიშვნელოვან გავლენას ახდენს ინსტრუმენტის შეფასებაზე. ამ კატეგორიაში შედის ინსტრუმენტები, რომლებიც ფასდება მსგავსი ინსტრუმენტების კოტირებული ფასების საფუძველზე, რა შემთხვევაშიც მნიშვნელოვანი არაემპირიული კორექტირებები ან დაშვებებია საჭირო ამ ინსტრუმენტებს შორის განსხვავებების ასახვისთვის.

(ათას ლარში)

**23. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)**

**სამართლიანი ღირებულების იერარქია (გაგრძელება)**

ქვემოთ ცხრილში გაანალიზებულია ფინანსური ინსტრუმენტების ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბრის და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, სამართლიანი ღირებულების იერარქიაში დონეების მიხედვით, რომლებზეც განაწილებულია სამართლიანი ღირებულების შეფასება. რიცხოვრივი მონაცემები ეყრდნობა ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში აღიარებულ თანხებს:

	სამართლიანი ღირებულების შეფასების გამოყენება		
	აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (1-ლი დონე)	მნიშვნელოვანი ემპირიული ამოსავალი მონაცემები (მე-2 დონე)	მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები (მე-3 დონე)
<b>2023 წლის 31 დეკემბერს</b>			
<b>სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები და ვალდებულებები</b>			
წარმოქმნილი ფინანსური აქტივები	-	642	-
<b>აქტივები და ვალდებულებები, რომლებისთვისაც განსაზღვრულია სამართლიანი ღირებულება</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	45,015	9,946	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	-	46,207	-
სხვა ფინანსური აქტივები	-	10,640	467,716
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	-	129,693	-
გამოშვებული მარტივი თამასუქები	-	98,286	-
ნასესხები სახსრები	-	42,189	-
საიჯარო ვალდებულება	-	-	4,319
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	7,035	-

	სამართლიანი ღირებულების შეფასების გამოყენება		
	აქტიურ ბაზრებზე კოტირებული ფასები (1-ლი დონე)	მნიშვნელოვანი ემპირიული ამოსავალი მონაცემები (მე-2 დონე)	მნიშვნელოვანი არაემპირიული ამოსავალი მონაცემები (მე-3 დონე)
<b>2022 წლის 31 დეკემბერს</b>			
<b>სამართლიანი ღირებულებით შეფასებული აქტივები და ვალდებულებები</b>			
წარმოებული ფინანსური ვალდებულებები	-	825	-
<b>აქტივები და ვალდებულებები, რომლებისთვისაც განსაზღვრულია სამართლიანი ღირებულება</b>			
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები მოთხოვნები საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	50,948	58,582	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	-	-	-
სხვა ფინანსური აქტივები	-	5,039	426,060
გამოშვებული მარტივი თამასუქები	-	111,607	-
ნასესხები სახსრები	-	132,944	-
საიჯარო ვალდებულება	-	-	4,859
სხვა ფინანსური ვალდებულებები	-	12,950	-

(ათას ლარში)

**23. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)**

იმ ფინანსური აქტივების და ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება, რომლებიც სამართლიანი ღირებულებით არ აღირიცხება

ქვემოთ ცხრილში მოცემულია კომპანიის იმ ფინანსური ინსტრუმენტების საბალანსო ღირებულებებისა და სამართლიანი ღირებულებების შედარება კატეგორიების მიხედვით, რომლებიც არ აღირიცხება სამართლიანი ღირებულებით ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში. ცხრილი არ მოიცავს არაფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების სამართლიან ღირებულებებს.

	2023		2022		არ აღიარებული	არ აღიარებული
	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება	საბალანსო ღირებულება	სამართლიანი ღირებულება		
<b>ფინანსური აქტივები</b>						
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	54,961	54,961	-	109,530	109,530	-
მოთხოვნები						
საკრედიტო დაწესებულებების მიმართ	46,207	46,207	-	-	-	-
მომხმარებლებზე გაცემული სესხები	467,716	467,716	-	425,849	426,060	211
სხვა ფინანსური აქტივები	10,640	10,640	-	5,039	5,039	-
<b>ფინანსური ვალდებულებები</b>						
გამოშვებული მარტივი თამასუქები	100,937	98,286	2,651	115,263	111,607	3,656
გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	129,693	129,693	-	-	-	-
ნასესხები სახსრები	42,189	42,189	-	132,944	132,944	-
საიჯარო ვალდებულება	4,644	4,319	325	5,039	4,859	180
სხვა ფინანსური ვალდებულებები	7,035	7,035	-	12,950	12,950	-
<b>სულ არაღიარებული ცვლილება სამართლიან ღირებულებაში</b>			<b>2,976</b>			<b>4,047</b>

*(ათას ლარში)***23. სამართლიანი ღირებულების შეფასება (გაგრძელება)****შეფასების მეთოდები და დაშვება**

ქვემოთ მოცემულია მეთოდები და დაშვებები იმ ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულების დასადგენად, რომლებიც არ არის აღრიცხული ფინანსურ ანგარიშგებაში სამართლიანი ღირებულებით.

*აქტივები, რომელთა სამართლიანი ღირებულება უახლოვდება მათ საბალანსო ღირებულებას*

როგორც წესი, იმ ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების საბალანსო ღირებულება, რომლებიც არის ლიკვიდური, მოთხოვნამდე ან ხასიათდება მოკლევადიანობით (სამ თვეზე ნაკლები), ასევე მცოცავი განაკვეთის მქონე აქტივებისა და ვალდებულებებისთვის, უახლოვდება მათ სამართლიან ღირებულებას.

*ამორტიზებული ღირებულებით აღრიცხული ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები*

მომხმარებლებზე გაცემული სესხების, გამოშვებული მარტივი თამასუქების, ნასესხები სახსრების და საიჯარო ვალდებულებების სამართლიანი ღირებულება განისაზღვრება მომავალი ფულადი ნაკადების დისკონტირებით ანალოგიური პირობების, საკრედიტო რისკის და დარჩენილი ვადის მქონე სესხის მიმდინარე განაკვეთების გამოყენებით.

**24. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები**

ბასს (IAS) 24–ის („დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები“) მიხედვით მხარეები დაკავშირებულად ითვლება, თუ ერთ მხარეს აქვს უნარი, გააკონტროლოს მეორე მხარე ან მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინოს მეორე მხარის ფინანსურ და საოპერაციო გადაწყვეტილებებზე. ყოველი შესაძლო ურთიერთკავშირის განხილვისას, ყურადღება ექცევა ურთიერთობის შინაარსს და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმას.

დაკავშირებულმა მხარეებმა შეიძლება გააფორმონ ისეთი გარიგებები, როგორსაც არ დადებდნენ დაუკავშირებელი მხარეები და დაკავშირებულ მხარეებს შორის გაფორმებული გარიგებები შეიძლება არ დაიდოს იმავე პირობებით და თანხებით, როგორითაც გაფორმდებოდა გარიგებები არადაკავშირებულ მხარეებს შორის.

(ათას ლარში)

**24. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციების დაუფარავი ნაშთები არის შემდეგი:

	2023			2022		
	უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა პარტნიორი	სხვა დაკავშირებული მხარეები	პარტნიორი	უმადლესი რანგის ხელმძღვანელობა პარტნიორი	სხვა დაკავშირებული მხარეები	პარტნიორი
<b>დაუფარავი სესხები 1 იანვარს, მთლიანი</b>	-	51	52	-	83	117
წლის განმავლობაში გაცემული სესხები	-	72	59	-	112	108
წლის განმავლობაში დაფარული სესხები	-	(51)	(52)	-	(144)	(173)
<b>დაუფარავი სესხები 31 დეკემბერს, მთლიანი</b>	-	72	59	-	51	52
გამოკლებული: მოსალოდნელი საკრედიტო ზარალი 31 დეკემბრის მდგომარეობით	-	-	-	-	-	-
<b>დაუფარავი სესხები 31 დეკემბერს, წმინდა</b>	-	72	59	-	51	52
<b>აქტივების გამოყენების უფლება</b>						
<b>გამოყენებული 1 იანვარს</b>	217	-	3,159	248	-	4,230
აქტივების გამოყენების უფლების შესყიდვა წლის განმავლობაში	-	-	-	-	-	-
სხვა ცვლილებები	-	-	-	-	-	-
მოდიფიცირების ეფექტი	-	-	-	-	-	-
გამოკლებული: ცვეთის ხარჯი წლის განმავლობაში	(31)	-	(1,081)	(31)	-	(1,071)
<b>დაუფარავი აქტივის გამოყენების უფლება 31 დეკემბერს</b>	186	-	2,078	217	-	3,159
<b>საიჯარო ვალდებულება 1 იანვრის მდგომარეობით</b>	233	-	2,719	253	-	4,265
შესყიდვები	-	-	-	-	-	-
საიჯარო ვალდებულების დაფარვა	(74)	-	(1,670)	(50)	-	(1,874)
საპროცენტო ხარჯი და სხვა ცვლილებები	24	-	304	30	-	329
მოდიფიცირების ეფექტი	-	-	-	-	-	-
<b>საიჯარო ვალდებულება 31 დეკემბრის მდგომარეობით</b>	183	-	1,353	233	-	2,720
<b>გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები 1 იანვარს</b>	-	-	-	-	-	-
გამოშვება	-	32,905	-	-	-	-
ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვა	-	(727)	-	-	-	-
საპროცენტო ხარჯი და სხვა ცვლილებები	-	742	-	-	-	-
<b>გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები 31 დეკემბერს</b>	-	(32,920)	-	-	-	-
<b>ნასესხები სახსრები 1 იანვარს</b>	-	-	2,398	-	-	3,456
ძირითადი თანხის და პროცენტის დაფარვა	-	-	(1,735)	-	-	(1,084)
საპროცენტო ხარჯი და სხვა ცვლილებები	-	-	217	-	-	26
<b>ნასესხები სახსრები 31 დეკემბერს</b>	-	-	880	-	-	2,398
<b>მარტივი თამასუქები 1 იანვარს</b>	8,001	10,322	1,414	7,403	9,743	852
წლის განმავლობაში გამოშვებული მარტივი თამასუქები	7,819	27,523	3,078	14,242	28,580	2,177
წლის განმავლობაში გადახდილი მარტივი თამასუქები	(7,987)	(32,393)	(4,016)	(13,482)	(27,971)	1,978
სხვა ცვლილებები	(14)	(19)	(28)	(162)	(30)	(3,593)
<b>მარტივი თამასუქები 31 დეკემბერს</b>	7,819	5,433	448	8,001	10,322	1,414



(ათას ლარში)

**24. დაკავშირებულ მხარეთა განმარტებითი შენიშვნები (გაგრძელება)**

სხვა დაკავშირებული მხარეები ძირითადად წარმოდგენილია უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის და პარტნიორის ოჯახის წევრებით, ასევე უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის მართვის ქვეშ მყოფი საწარმოებით.

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციებიდან წარმოშობილი შემოსავალი და ხარჯი იყო შემდეგი:

	31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის					
	2023			2022		
	უმაღლესი რანგის ხელმძღვა-პარტნიორი	სხვა დაკავშირებული მხარეები	პარტნიორი	უმაღლესი რანგის ხელმძღვა-პარტნიორი	სხვა დაკავშირებული მხარეები	პარტნიორი
საპროცენტო შემოსავალი						
სესხებზე	-	11	4	-	5	4
საპროცენტო ხარჯი მარტივ თამასუქებზე	(681)	(690)	(58)	(777)	(1,161)	(43)
საპროცენტო ხარჯი ნასესხებ სახსრებზე	-	-	(217)	-	-	(387)
საპროცენტო ხარჯი გამოშვებულ სავალო ფასიან ქალაქებზე	-	(742)	-	-	-	-
საპროცენტო ხარჯი საიჯარო ვალდებულებებზე	(24)	-	(304)	(30)	-	(329)
საკომისიო ხარჯი	-	-	(1,353)	-	-	(1,047)
საკომისიო შემოსავალი ფულადი გზავნილებიდან	-	-	292	-	-	675

კომპანიის უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობის ანაზღაურება მოიცავს შემდეგს:

	2023	2022
ხელფასები და დასაქმებულთა სხვა მოკლევადიანი გასამრჯელოები	2,811	2,216

ოპერაციები პარტნიორთან ასევე მოიცავს დივიდენდის გადახდებს მე-16 შენიშვნის მიხედვით, ასევე არამატერიალური მოცულობის სხვა აქტივების შემენას 2023 და 2022 წლებში. 2023 წლის განმავლობაში კომპანიამ ასევე შეიძინა 433 ღირებულების ძირითადი საშუალებები უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობისგან.

**25. კაპიტალის მართვა**

კომპანია ინარჩუნებს და აქტიურად განაგებს კაპიტალის ბაზას ბიზნესთან დაკავშირებული რისკების მართვის მიზნით. კომპანიის კაპიტალის ადეკვატურობის შემოწმება ხდება სხვადასხვა კრიტერიუმით, მათ შორის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ კომპანიის ზედამხედველობისას დადგენილი კოეფიციენტების მიხედვით.

2023 წლისა და 2022 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია სრულად შეესაბამებოდა კაპიტალთან დაკავშირებით გარედან დაკისრებულ მოთხოვნებს.

(ათას ლარში)

**25. კაპიტალის მართვა (გაგრძელება)**

კომპანიის კაპიტალის მართვის მთავარი ამოცანებია იმის უზრუნველყოფა, რომ კომპანია აკმაყოფილებდეს კაპიტალის სავალდებულო მოთხოვნებს და ინარჩუნებდეს კაპიტალის ჯანსაღ კოეფიციენტებს იმისთვის, რომ განამტკიცოს თავისი საქმიანობა და მაქსიმალურად გაზარდოს პარტნიორებისთვის შექმნილი ღირებულება.

**სებ–ის კაპიტალის ადეკვატურობის კოეფიციენტი**

სებ–ი კვალიფიციური საკრედიტო ინსტიტუტისგან მოითხოვს საკუთარი კაპიტალის აქტივებთან თანაფარდობის 24%-იანი კოეფიციენტის შენარჩუნებას 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით (2022 წ.: 24%). კომპანიის საკუთარი და სასესხო კაპიტალის თანაფარდობა 31 დეკემბრის მდგომარეობით ასე გამოიყურებოდა:

	2023	2022
საკუთარი კაპიტალი	315,252	300,544
აქტივები	609,885	575,197
საკუთარი კაპიტალის აქტივებთან თანაფარდობის კოეფიციენტი	52%	52%

**26. ცვლილებები საფინანსო საქმიანობიდან და სხვა არაფულადი მოძრაობებიდან წარმოშობილ ვალდებულებებში**

	გამოშვებული მარტივი თამასუქები*	გამოშვებული სავალო ფასიანი ქაღალდები	ნასესხები სახსრები	სულ ვალდებულე- ბები საფინანსო საქმიანობე- ბიდან
<b>საბალანსო ღირებულება 2021 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>121,448</b>	-	<b>95,444</b>	<b>216,892</b>
შემოსულობა ემისიიდან	6,385	-	164,000	170,385
ძირითადი თანხის გადახდა	-	-	(126,668)	(126,668)
ცვლილება დარიცხულ პროცენტში	(272)	-	168	(104)
უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია	(12,298)	-	-	(12,298)
<b>საბალანსო ღირებულება 2022 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>115,263</b>	-	<b>132,944</b>	<b>248,207</b>
შემოსულობა ემისიიდან	200,669	129,326	160,200	490,195
ძირითადი თანხის გადახდა	(214,085)	-	(250,656)	(464,741)
ცვლილება დარიცხულ პროცენტში	(508)	367	(299)	(440)
უცხოური ვალუტით შესრულებული ოპერაცია	(402)	-	-	(402)
<b>საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს</b>	<b>100,937</b>	<b>129,693</b>	<b>42,189</b>	<b>272,819</b>

\* შემოსულობა მარტივი თამასუქის ძირითადი თანხის გაცემიდან და გადახდიდან წარმოდგენილია წმინდა საფუძველზე, რადგან ისინი სწრაფად ბრუნავენ, თანხები მსხვილია, ხოლო დაფარვის ვადები – მოკლე.

(ათას ლარში)

## 27. შემდგომი მოვლენები

2024 წელს კომპანიამ გამოაცხადა და პარტნიორს სრულად გადაუხადა 27,050 ლარის ოდენობის დივიდენდები.

**მმართველობის ანგარიშგება**

*2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის*



მისო რიკო ექსპრესი

MFO RICO EXPRESS

საქართველო, თბილისი 0162, ჭავჭავაძის გამზ.70

ტელ: (995 32) 229 29 29

N84364

14 მაისი 2024 წელი

**შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“  
პასუხისმგებელი პირების განცხადება**

„ფასიანი ქაღალდების ბაზრის შესახებ“ საქართველოს კანონის 11.3 (გ) მუხლის შესაბამისად ვადასტურებთ, რომ 2023 წლის 17 მარტს შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 205034639, შემდგომში „ემიტენტი“) მიერ 130 (ას ოცდაათი) მილიონი ლარის ოდენობის სასესხო პორთფელით უზრუნველყოფილი არასუბორდინირებული ობლიგაციების (საერთაშორისო ნომერი, ISIN: GE2700604285) საჯარო ემისიასთან დაკავშირებით „ემიტენტის“ არსებული ვალდებულების ფარგლებში მომზადებული 2023 წლის აუდირებული წლიური ანგარიშგება და მმართველობის ანგარიშგება არის სრული, სწორი და სამართლიანი.

თამარ გოგომე

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“-ს  
დირექტორი

ლაშა ნიკოლაიშვილი

შპს „მიკროსაფინანსო ორგანიზაცია რიკო ექსპრესი“-ს  
სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე



70 Chavchavadze Ave. 0162 Tbilisi, Georgia

Tel.: (+995 32) 229 29 29

www.rico.ge

# მმართველობის ანგარიშგება

## საქმიანობის მიმოხილვა

მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი“ თითქმის ორი ათწლეულია წარმატებით მოღვაწეობს საქართველოს ფინანსურ ბაზარზე. ორგანიზაციამ აქტიური საქმიანობა ჯერ კიდევ 1997 წელს დაიწყო, როგორც საფინანსო ორგანიზაციამ - „რიკო კრედიტი“ და დროთა განმავლობაში ჩამოყალიბდა, როგორც ერთ-ერთი ყველაზე სწრაფად ზრდადი, განვითარებაზე ორიენტირებული კომპანია ფინანსურ სექტორში.

1997 წელს ორგანიზაცია „რიკო კრედიტი“ ერთ-ერთი პირველი ორგანიზაცია იყო საქართველოში, რომელიც ფულადი გზავნილების უმსხვილესი ორგანიზაცია "მანიგრამის" პარტნიორი გახდა საქართველოში. მოგვიანებით კი „რიკო კრედიტის“ პარტნიორ ორგანიზაციათა რიგს შეემატა „ვესტერნ უნიონი“ (Western Union), „იუნისტრიმი“ და სხვა მრავალი.

2007 წლის აპრილის თვიდან საქართველოს ეროვნულ ბანკში დარეგისტრირდა მიკროსაფინანსო ორგანიზაციად - „რიკო ექსპრესი“. 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიის ერთპიროვნული მფლობელია ქალბატონი დალი ურუშაძე.

კომპანია წარმოადგენს შეზღუდული პასუხიმგებლობის საზოგადოებას სამსაფეხურიანი კორპორაციული მართვის სტრუქტურით - კონტროლი და მართვა გამიჯნულია ერთადერთ აქციონერს, სამეთვალყურეო საბჭოსა და აღმასრულებელ დირექტორს შორის. ამ უკანასკნელს ევალება კომპანიის ყოველდღიური მენეჯმენტი და მისი წარმომადგენლობა, ხოლო სამეთვალყურეო საბჭო კი წარმოადგენს მთავარ მმართველობით ორგანოს და საკუთარი ამოცანების შესრულებისას ეყრდნობა მასთან არსებულ კომიტეტებს - აუდიტისა და რისკის კომიტეტებს. კომპანია სრულად აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას, რომელიც განსაზღვრულია „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით.

დღესდღეობით მომხმარებლებს საშუალება ეძლევათ უკვე 18 პარტნიორი ორგანიზაციის მეშვეობით განახორციელონ ყველაზე მოქნილი და დაბალპროცენტიანი სერვისი ფულადი გზავნილების მიმართულებით. „რიკო ექსპრესი“ თითოეული ფინანსური ორგანიზაციის პირდაპირი პარტნიორია საქართველოში, რაც მომხმარებელს საშუალებას აძლევს მიიღოს ან გააგზავნოს ფული მსოფლიოს ნებისმიერი მიმართულებით, დროის ნებისმიერ მონაკვეთში.

კომპანია მომხმარებელს სთავაზობს საკუთარ ფულად გზავნილებს: „რიკო-გრამ ისრაელი“, „რიკოგრამ Small World“, „რიკოგრამ I-transfers“, „რიკოგრამ Titanes“, გზავნილების გაგზავნა/მიღება შესაძლებელია ყოველდღე, 24 საათის განმავლობაში ხელმისაწვდომ ფასად.

"რიკო-გრამ საქართველო" არის ფულადი გზავნილი, რომლის მეშვეობითაც შესაძლებელია ფულადი გზავნილების მიღება და გაგზავნა საქართველოს მასშტაბით, რიკო ექსპრესის და პარტნიორი ბანკების (საქართველოს ბანკი, თიბისი ბანკი, ლიბერთი ბანკი, ტერა ბანკი და კრედიო ბანკი) ნებისმიერ ფილიალში. თანხის გაგზავნის საკომისიო შეადგენს 0.5%-ს, მინიმალური 1 ლარი/ევრო/დოლარი.

ასევე 2008 წელს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესმა“ ბაზარს იმ დროისთვის ერთ-ერთი ყველაზე ინოვაციური და უნიკალური პროდუქტი „ოქროს თამასუქი“ შესთავაზა. „ოქროს თამასუქი“ ეს გახლავთ ფასიანი ქალაქი, რომლის შექმნაც შეუძლია ნებისმიერ ფიზიკურ ან იურიდიულ პირს „რიკო ექსპრესმა“ თანხის დაბანდებით. ეროვნულ ვალუტაში ოქროს თამასუქის გახსნა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თამასუქზე შემოსატანი თანხა აღემატება 100 000 ლარის ექვივალენტს აშშ დოლარში/ევროში. თამასუქის გახსნა ასევე შესაძლებელია თუ უკვე არსებული თამასუქის თანხები და შემოსატანი თანხების ჯამი აღემატება 100 000 ლარის ექვივალენტს.



მიკროსაფინანსო ორგანიზაცია „რიკო ექსპრესი“ მომხმარებლებს სთავაზობს სალომზარდო სესხით სარგებლობას: ოქროს, ვერცხლის გარანტიით, ყოველგვარი საკომისიოს გარეშე; სესხი, რომელსაც „რიკო ექსპრესი“ გასცემს, ინდივიდუალურად მომხმარებლის კონკრეტულ თვიურ შემოსავალზეა მორგებული და მხოლოდ ამ პირობებიდან გამომდინარე განისაზღვრება კონკრეტული სესხის რაოდენობა და ტიპი, რათა ზუსტად იყოს განსაზღვრული სესხის ეფექტურობა, მომხმარებლის უფლებები და პირობები კი - დაცული.

### კორპორაციული მართვა

კორპორაციული სტრუქტურა სრულად შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებისადმი, მიკროსაფინანსო ორგანიზაციისადმი და ანგარიშვალდებული საწარმოსადმი. კომპანიას გააჩნია სამსაფეხურიანი მართვის სტრუქტურა, სადაც უზენაეს ორგანოს წარმოადგენს ერთპიროვნული დამფუძნებელი, ხოლო უშუალო მართვაში კი მეტწილად ჩართულია სამეთვალყურეო საბჭო და აღმასრულებელი დირექტორი. სამეთვალყურეო საბჭო არის აქტიური კომპანიის მართვის საკითხებში და მისი თავმჯდომარე სიღრმისეულადაა ჩახედული ყველა გამოწვევასა თუ ამოცანაში, რაც კომპანიას უდგას ჩვეული საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში. აღმასრულებელი დირექტორი ერთპიროვნულად უძღვება კომპანიის ყოველდღიურ მართვას, წარმოადგენს მას საქმიან ურთიერთობებში და ახორციელებს სამეთვალყურეო საბჭოს მიერ დასახული ამოცანების იმპლემენტაციას. „ობლიგაციების“ ემისიის შედეგად კომპანია გახდა ანგარიშვალდებული საწარმო და მასზე ვრცელდება საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის N172/04 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო ფასიანი ქაღალდების კომპანიების კორპორაციული მართვის კოდექსი, რომელიც ძალაში შევიდა 2022 წლის იანვრიდან.

კომპანიის მმართველო ორგანოებია: (ა) ერთპიროვნული პარტნიორი; (ბ) სამეთვალყურეო საბჭო; და (გ) აღმასრულებელი დირექტორი. კომპანიის ერთპიროვნული პარტნიორია ქ-ნი დალი ურუშაძე, შესაბამისად, მოქმედი საკანონმდებლო ჩარჩოსა და კომპანიის წესდების მიხედვით, მის კომპეტენციაში შემავალ კორპორაციული მართვის საკითხებზე დგება ერთპიროვნული პარტნიორის გადაწყვეტილება - არ არის საჭირო პარტნიორთა კრების მოწვევა და/ან მისი ჩატარება. აღნიშნული საკითხებია: • კომპანიის წესდების დამტკიცება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა; • სამეურნეო პოლიტიკის ზოგადი პრინციპების განსაზღვრა; • სამეთვალყურეო საბჭოს წევრების რაოდენობის განსაზღვრა და მათი დანიშვნა; • იმ დამატებით უფლებათა გამოყენება, რომელიც კომპანიას აქვს დაფუძნებიდან ან მართვიდან გამომდინარე აღმასრულებელი დირექტორის და/ან პარტნიორის მიმართ, აგრეთვე კომპანიის წარმომადგენლობა იმ პროცესებში, რომელსაც იგი აღმასრულებელი დირექტორის წინააღმდეგ წარმართავს; • წლიური შედეგების დამტკიცება და განკარგვა; • დამატებითი შენატანების უკან დაბრუნება. აღსანიშნავია, რომ კომპანიის წესდება შედგენილია „მეწარმეთა შესახებ“ კანონის ახალი რედაქციის მიღების შემდეგ და შესაბამისად, ითვალისწინებს საჭირო საკანონმდებლო მოთხოვნებს. კომპანიის მმართველი ორგანოების დანარჩენი წევრები არიან: სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე - ლაშა ნიკოლაიშვილი, სამეთვალყურეო საბჭოს წევრები - ვლადიმერ შავლაყაძე, დავით შენგელია, სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელი წევრი - ანა ნიკოლაძე, დირექტორი - თამარ გოგოძე

კომპანიის ერთპიროვნული მფლობელია დალი ურუშაძე, ხოლო სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე არის ერთპიროვნული მფლობელის შვილი. ჩამოთვლილ პირებს შორის სხვა ნათესაური კავშირი არ არსებობს. ქ-ნი დალი ურუშაძე, რომელიც წარმოადგენს კომპანიის ერთპიროვნულ პარტნიორს, აქვს მრავალწლიანი გამოცდილება მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მართვაში. იგი წარმოადგენს კომპანიის ერთპიროვნულ პარტნიორს მისი დაფუძნების დღიდან. გარდა კომპანიისა, იგი ასევე ერთპიროვნული პარტნიორია შპს „რიკო“-სი, რომელიც 2007 წლიდან დღემდე წარმატებულად საქმიანობს. ბ-ნი ლაშა ნიკოლაიშვილი წარმოადგენს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს და აგრეთვე არაერთი კომპანიის ერთპიროვნულ დამფუძნებელს (მათ შორისაა შპს „რიკო ფეი“, შპს „რიკო კრედიტი“ და სხვ.). ბ-ნი ლაშას გააჩნია თითქმის ოცწლიანი გამოცდილება საფინანსო სექტორში აქტიური მოღვაწეობისა, მათ შორის, მმართველ პოზიციებზე. კომპანიის დაფუძნების დღიდან ბ-ნი ლაშა აქტიურად ჩართულია მის მართვაში და, სამეთვალყურეო საბჭოსთან და კომპანიის მენეჯმენტის გუნდის სხვა წევრებთან ერთად განსაზღვრავს კომპანიის განვითარების სტრატეგიულ მიმართულებებს. ქ-ნი თამარ გოგოძე წარმოადგენს

საფინანსო სექტორში მომუშავე გამოცდილ მენეჯერს, რომელიც, კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოსთან ერთად, მრავალი წელია წარმატებით ართმევს თავს ყოველდღიური მართვის ამოცანების შესრულებას. ბ-ნი ვლადიმერ შავლაყაძე წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს წევრს. მას აქვს მიკროსაფინანსო სექტორში მუშაობის 20-წლიანი გამოცდილება. ბ-ნი ვლადიმერი შპს „რიკო კრედიტს“ შეუერთდა 2003 წელს საინფორმაციო ტექნიკური განყოფილების უფროსად, 2007 წლიდან კი წარმოადგენს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრს. ბ-ნი დავით შენგელია წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს წევრს. მას აქვს მიკროსაფინანსო სექტორში მუშაობის 22-წლიანი გამოცდილება. ბ-ნი დავითი შპს „რიკო კრედიტს“ შეუერთდა მენეჯერის პოზიციაზე. 2004-დღემდე არის რიკო ექსპრესის საოპერაციო დეპარტამენტის უფროსი, 2018 წლიდან დღემდე კი წარმოადგენს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრს. ქ-ნი ანა ნიკოლაძე წარმოადგენს კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს დამოუკიდებელ წევრს. მას აქვს 10-წლიანი გამოცდილება საბანკო სექტორში. 2018 წლიდან დღემდე არის სს „ლიბერთი ბანკის“ კორპორატიული ბანკინგის უფროსი, 2012-2018 წლებში მართავდა ტერაბანკის იმავე განყოფილებას. 2007-დან 2012 წლებში მუშობდა Kor Standard Bank-ში სხვადასხვა პოზიციებზე. ქ-ნი ანა 1993-2003 და 2003-2005 წლებში სწავლობდა ივანე ჯავახიშვილის სახელმწიფო უნივერსიტეტში ფინანსებისა და საბანკო საქმის განხრით, 2007-2010 წლებში სწავლობდა ESM-ში, სადაც მოპოვებული აქვს MBA, 2017 წელს კი გავლილი აქვს პროექტების მენეჯმენტის კურსი George Washington University-ში.

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭოს წევრები ირჩევიან 3 (სამი) წლის ვადით და მათი განმეორებით დანიშვნა შეუზღუდავია. სამეთვალყურეო საბჭო თავად ირჩევს თავმჯდომარეს საკუთარი შემადგენლობიდან. დღეის მდგომარეობით ბ-ნი ლაშა ნიკოლაიშვილი წარმოადგენს სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარეს. სამეთვალყურეო საბჭო მოქმედებს როგორც ერთ-ერთი უმთავრესი ორგანო კომპანიის მართვისა. მხოლოდ მისი თანხმობით შესაძლებელია შემდეგი ოპერაციების განხორციელება:

- კომპანიის საქმიანობის, პოლიტიკის, სტრატეგიის, პროცედურების, შინაგანაწესის, სტრუქტურის, საშტატო განრიგის, დებულებების, ინსტრუქციების და ა.შ. დამტკიცება;
- ფილიალების შექმნა და ლიკვიდაცია;
- აღმასრულებელი დირექტორის დანიშვნა, მასთან ხელშეკრულების დადება და შეწყვეტა, მისი ანგარიშების გასხვისება;
- იმ აქტივების შეძენა და გასხვისება, რომელთა ღირებულებაც აღემატება საწესდებო კაპიტალის 1%-ს;
- იმ სესხებისა და ვალდებულებების აღება, რომელთა ოდენობაც აღემატება საწესდებო კაპიტალის 1%-ს;
- პროკურის გაცემა და გაუქმება;
- რეკომენდაციების მომზადება პარტნიორის გადაწყვეტილებისათვის;
- გარე აუდიტორის არჩევა და სხვ.

დირექტორის ძირითადი მოვალეობების აღწერა:

- დირექტორის მოვალეობაში შედის კომპანიის მართვა და მე-3 მხარეებთან ურთიერთობა. კომპანიას ყავს 1 დირექტორი, რომელიც ინიშნება სამეთვალყურეო საბჭოს მიერ;
- დირექტორს აქვს წარმომადგენლობითი და მმართველობითი უფლებები კომპანიაში;
- დირექტორს აქვს უფლებამოსილება აწარმოოს კომპანიის ყოველდღიური მართველობა, ისევე როგორც მართოს გარკვეული საკითხები, რაც არ არის კონკრეტულად მინიჭებული დამფუძნებელთა კრებისთვის ან სამეთვალყურეო საბჭოსთვის;

„კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭოს გააჩნია სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით შექმნილი ორი სათათბირო კომიტეტი: აუდიტის კომიტეტი და რისკების კომიტეტი. ხსენებული კომიტეტების წევრებსა და ხელმძღვანელებს ნიშნავს, მათ ფუნქციებს განსაზღვრავს და შესაბამის შიდა სახელმძღვანელოებს ამტკიცებს „კომპანიის“ სამეთვალყურეო საბჭო. აუდიტის კომიტეტი სამეთვალყურეო საბჭოს გადაწყვეტილებით სამეთვალყურეო საბჭოს წევრებისგან იქმნება აუდიტის კომიტეტი, რომელსაც ჰყავს არანაკლებ 1 (ერთი) დამოუკიდებელი წევრი. მის ხელმძღვანელად ინიშნება აუდიტის კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი. აუდიტის კომიტეტის ფუნქციები და საქმიანობის სპეციფიკა განისაზღვრება აუდიტის კომიტეტის სახელმძღვანელოთი, რომელსაც ამტკიცებს სამეთვალყურეო საბჭო „კომპანიის“ წესდების შესაბამისად. აუდიტის კომიტეტის ფუნქცია-მოვალეობები, მათ შორის, მოიცავს: 1) სამეთვალყურეო საბჭოს მიაწოდოს ინფორმაცია განხორციელებული აუდიტის შედეგების, ფინანსური ანგარიშგების უტყუარობაზე აუდიტის გავლენის და ამ პროცესში აუდიტის კომიტეტის მონაწილეობის



შესახებ; 2) სამეთვალყურეო საბჭოს რეგულარულად წარუდგინოს საქმიანობის შესახებ ანგარიში და დაუყოვნებლივ შეატყობინოს თავისი ფუნქციების შესრულებისას წარმოშობილი წინააღმდეგობების შესახებ; 3) გააკონტროლოს „კომპანიის“ ფინანსური ანგარიშგების უტყუარობა, უზრუნველყოს შიდა კონტროლის სისტემის ეფექტიანობა და შიდა აუდიტის (ასეთი აუდიტის არსებობის შემთხვევაში) დამოუკიდებლობა, წარმართოს გარე აუდიტორთან ურთიერთობა. მათ შორის, ზედამხედველობა გაუწიოს: ა) ფინანსური ანგარიშგების შედგენის პროცესს; ბ) ხარისხის კონტროლის, რისკების მართვისა და, საჭიროების შემთხვევაში, ფინანსური ინფორმაციის შიდა აუდიტის ეფექტიანობას; გ) ფინანსური ანგარიშგების/კონსოლიდირებული ანგარიშგების აუდიტის განხორციელებას ხარისხის კონტროლის მონიტორინგის ანგარიშში ასახული დასკვნების გათვალისწინებით; დ) აუდიტორის/აუდიტორული ფირმის მიერ „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების (მათ შორის, დამოუკიდებლობის შესახებ ნორმების) დაცვას. „კომპანიის აუდიტის კომიტეტი შედგება სამეთვალყურეო საბჭოს შემდეგი 3 (სამი) წევრისაგან: აუდიტის კომიტეტის წევრი: ლაშა ნიკოლაიშვილი; აუდიტის კომიტეტის წევრი: დავით შენგელია; აუდიტის კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი/თავმჯდომარე: ანა ნიკოლაძე; რისკების კომიტეტი „კომპანიას“ ჰყავს სამეთვალყურეო საბჭოს დაქვემდებარებაში მყოფი რისკების კომიტეტი. რისკების კომიტეტის ფუნქცია-მოვალეობები, მათ შორის, მოიცავს: 1) პერიოდულად განიხილოს და გაუწიოს რეკომენდაცია მენეჯმენტს რისკის აპეტიტის პარამეტრების შესახებ, რომლებიც უნდა გამოიყენოს მენეჯმენტმა კომპანიის ოპერირებაში; 2) მიიღოს ინფორმაცია კომპანიის ბიზნეს პრაქტიკის, პოლიტიკისა და პროცედურების შესახებ ზემოთ ჩამოთვლილ რისკებთან დაკავშირებით; 3) შედეგების მონიტორინგი კომპანიის რისკის აპეტიტის შესაბამისობის უზრუნველსაყოფად; 4) რისკების მთავარი აღმასრულებელი პირისა და შესაბამისობის მთავარი აღმასრულებელი პირის რისკისა და შესაბამისობის ანგარიშების გადახედვა, მათ შორის, ანგარიშებს ძირითადი რისკების ზემოქმედების შესახებ და გადადგმული ნაბიჯები ასეთი ზემოქმედების მონიტორინგის, შერბილებისა და კონტროლისთვის; 5) პერიოდულად განიხილოს მენეჯმენტის მარეგულირებელი კორესპონდენცია და ქმედებები; 6) კომპანიის სტრუქტურის ტესტირების პროგრამისა და შედეგების განხილვა და დამტკიცება; 7) კომპანიის მენეჯმენტთან ერთად პერიოდულად განიხილოს რისკის პოლიტიკა და გადადგმული ნაბიჯები, რათა უზრუნველყოს შესაბამისი პროცესები ამ პოლიტიკის განსახორციელებლად, ასევე კომპანიის მიმდინარე და განვითარებადი რისკების იდენტიფიცირება, გაზომვა, მონიტორინგი და კონტროლი. კომიტეტი არ არის უფლებამოსილი იმოქმედოს საბჭოს ნაცვლად ნებისმიერ ისეთ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც კანონით, რეგულაციებით ან არსებული პოლიტიკით შედის სამეთვალყურეო საბჭოს კომპეტენციაში. „კომპანიის“ რისკების კომიტეტი შედგება შემდეგი 3 (სამი) წევრისაგან: რისკების კომიტეტის წევრი: ლაშა ნიკოლაიშვილი; რისკების კომიტეტის წევრი: ვლადიმერ შავლაყაძე; რისკების კომიტეტის დამოუკიდებელი წევრი/თავმჯდომარე: ანა ნიკოლაძე.

### **მიკროსაფინანსოს ძირითადი მაჩვენებლების მიმოხილვა**

რიკო ექსპრესი აქტივების სიდიდით ერთ-ერთ მოწინავე პოზიციას იკავებს საქართველოს ბაზარზე არსებულ ფინანსურ ინსტიტუტებს შორის. კომპანიის 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წმინდა მოგებამ შეადგინა 49,770 ათასი ლარი. მთლიანი აქტივები 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 6.0%-ით გაიზარდა (575,197 ათასიდან 609,885 ათასამდე), რაც ძირითადად გამოწვეულია კლიენტებზე გაცემული სესხების, ფულადი სახსრებისა და სხვა აქტივების მატებით.

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მთლიანი ვალდებულებები 7.3%-ით, 294,633 ათას ლარამდე გაიზარდა. 2023 წელს გაცემული თამასუქების ოდენობა შემცირდა 14,326 ათასი ლარით და შეადგინა 100,937. 2023 წლის 17 მარტს კომპანიამ გამოუშვა და ქართულ საფონდო ბირჟაზე აღრიცხა 3-წლიანი ლარში

გამონატული ობლიგაციები ნომინალური ღირებულებით 130,000 ლარი და კუპონური განაკვეთით TIBR+2%.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ კომპანიის მიერ გამომუშავებული მოგების უდიდესი ნაწილი მთლიან კაპიტალში რჩება, რაც კომპანიის განვითარების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენს. კომპანიის მთლიანი კაპიტალი წინა წელთან შედარებით 14,708 ათასი ლარით (4.89%-ით) გაიზარდა და - 315,252 ათასი ლარი შეადგინა.

**ძირითადი ფინანსური ინფორმაცია**

	დასრულებული წლისათვის (ათასი ლარი)		ცვლილება
	31 დეკემბერი 2023წ	31 დეკემბერი 2022წ	
ათასი ლარი თუ სხვაგვარად არ არის მითითებული			
წმინდა საპროცენტო შემოსავალი	76,562	67,314	9,248
წლის მოგება	49,970	52,402	-2,432
მთლიანი აქტივები	609,885	575,197	34,688
კლიენტებზე გაცემული სესხები	467,716	425,849	41,867
მთლიანი ვალდებულებები	294,633	274,653	19,980
მთლიანი კაპიტალი	315,252	300,544	14,708

კომპანიაში დიდი ყურადღება ექცევა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ საშუალო ლიკვიდობის კოეფიციენტის დონეს, რომელიც ეროვნული ბანკის მიერ დადგენილ ზღვარს ქვემოთ არასდროს ჩამოსულა და 2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით 80.5%-ით განისაზღვრა.

**ინფორმაცია ფილიალების საქმიანობის შესახებ**

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიაში ფუნქციონირებდა შემდეგი 55 ფილიალი, ხოლო 2024 წლის 6 იანვარს გაიხსნა 56-ე ფილიალი - ვაზისუბანი.

1	ვაკის ცენტრალური ფილიალი	თბილისი	ი.ჭავჭავაძის გამზ. 70
2	ვაკე სერვის ცენტრი	თბილისი	ი.ჭავჭავაძის გამზ. N12
3	პუშკინის ფილიალი	თბილისი	პუშკინის ქუჩა 21
4	თამარ მეფის ფილიალი	თბილისი	თამარ მეფის გამზ. 9
5	ვარკეთილის ფილიალი	თბილისი	ჯავახეთის ქ. 2
6	საბურთალოს ფილიალი	თბილისი	ალ. ყაზბეგის გამზ. N41
7	ნამალაძევის ფილიალი	თბილისი	დადიანის ქ.N77

8	გლდანის ფილიალი	თბილისი	ხიზანიშვილის ქ N1
9	პეკინის ფილიალი	თბილისი	პეკინის ქ. 5
10	ლილოს ფილიალი	თბილისი	კახეთის გზატკეცილი N112
11	დიდუბის ფილიალი	თბილისი	ა. წერეთლის გამზირი 141ა
12	ბულაჩაურის ფილიალი	თბილისი	ა. კალანდაძის ქუჩა 4
13	რუსთავის ფილიალი	რუსთავი	მეგობრობის ქ. N3
14	რუსთავის ფილიალი 2	რუსთავი	კოსტავას ქ. 19
15	მარნეულის ფილიალი	მარნეული	შ. რუსთაველის 60ა
16	თელავის ფილიალი	თელავი	ქ. წამებულის ქუჩა . N11
17	გორის ფილიალი	გორი	ი. ჭავჭავაძის გამზ. .N6
18	ხაშურის ფილიალი	ხაშური	ი.სტალინის ქუჩა. N112
19	სამტრედიის ფილიალი	სამტრედია	ჭავჭავაძის ქუჩა .N13
20	ქუთაისის ფილიალი	ქუთაისი	ჭავჭავაძის გამზირი. N62
21	ქუთაისის ფილიალი 2	ქუთაისი	დავით აღმაშენებლის მოედანიN2
22	ქუთაისის ფილიალი 3 (ნიკვა)	ქუთაისი	ნიკვას ქ. N2
23	წყალტუბოს ფილიალი	წყალტუბო	ი. ჭავჭავაძის ქ. N9
24	ზესტაფონის ფილიალი	ზესტაფონი	დ. აღმაშენებლის ქ. .N87
25	ფოთის ფილიალი	ფოთი	ძ. ლოლუას ქ.2.
26	ბათუმის ფილიალი	ბათუმი	ი. ჭავჭავაძის ქ. 25
27	ბათუმის ფილიალი 2	ბათუმი	ბარათაშვილის ქ. 18
28	ზუგდიდის ფილიალი	ზუგდიდი	ზვიად გამსახურდიას გამზ. 28
29	გურჯაანის ფილიალი	გურჯაანი	წმინდა ნინოს ქ. N1
30	დიდი დიღმის ფილიალი	თბილისი	იოანე პეტრიწის N 13
31	რუსთაველის ფილიალი	თბილისი	შოთა რუსთაველის გამზ. N31/13
32	მუხიანის ფილიალი	თბილისი	ა. გობრონიძის ქ. N 1ბ
33	ქობულეთის ფილიალი	ქობულეთი	შოთა რუსთაველის N 3
34	სამგორის ფილიალი	თბილისი	მოსკოვის გამზ. N1
35	ქუთაისის ფილიალი	ქუთაისი	ი.ჭავჭავაძის გამზ. 50
36	ზუგდიდის ფილიალი	ზუგდიდი	მ. კოსტავას 5ა
37	სენაკის ფილიალი	სენაკი	ი. ჭავჭავაძის 123
38	ვაჟა-ფშაველას ფილიალი	თბილისი	ვაჟა-ფშაველას IV კვ. კორპ. 3ბ

39	სარაჯიშვილის ფილიალი	თბილისი	გურამიშვილის გამზ. N45
40	დიღმის მასივის ფილიალი	თბილისი	ევგენი მიქელაძის ქ.N7ა
41	ჭიათურის ფილიალი	ჭიათურა	ნინოშვილის ქ.N 9
42	წერეთელის ფილიალი	თბილისი	ა. წერეთლის გამზირი 114ა
43	ოზურგეთის ფილიალი	ოზურგეთი	ა. წულაძის ქ.N5
44	ახალქალაქის ფილიალი	ახალქალაქი	თავისუფლების ქ.N71
45	ახალციხის ფილიალი	ახალციხე	კოსტავა ქ.N10
46	კასპის ფილიალი	კასპი	სააკაძის ქ.N 88
47	ბოლნისის ფილიალი	ბოლნისი	სულხან-საბა ორბელიანის 101
48	ბორჯომის ფილიალი	ბორჯომი	მესხეთის 3
49	ქუთაისი - ბუკიას ფილიალი	ქუთაისი	ბუკიას და ავტომშენის ქუჩის კვეთა
50	აბაშის ფილიალი	აბაშა	თავისუფლების 54
51	ისნის ფილიალი	თბილისი	მეტრო ისნის მიმდებარედ
52	ვერის ფილიალი	თბილისი	კოსტავას 24
53	ქარელის ფილიალი	თბილისი	თამარ მეფის 41
54	გორი-2 ფილიალი	თბილისი	ცხინვალის გზატკეცილი 9
55	გარდაბანი	გარდაბანი	დავით აღმაშენებლის ქუჩა
56	ვაზისუბნის ფილიალი	თბილისი	ვაზისუბნის მე-4 მ/რ 1-ლი კვარტ შანდორ პეტეფის ქუჩა

## ბიზნეს გარემო

კომპანიის საქმიანობა საქართველოშია კონცენტრირებული. კომპანიის საქმიანობაზე გავლენას ახდენს საქართველოს ეკონომიკური და ფინანსური ბაზრები, რომლებსაც აქვთ განვითარებადი ბაზრისთვის დამახასიათებელი თავისებურებები. იურიდიული, საგადასახადო და ნორმატიული ბაზა თანდათან ვითარდება, მაგრამ ექვემდებარება სხვადასხვაგვარ ინტერპრეტაციას და ხშირ ცვლილებას, რაც, სხვა იურიდიული და ფინანსური ხასიათის დაბრკოლებებთან ერთად, კიდევ უფრო ზრდის გამოწვევებს იმ საწარმოებისთვის, რომლებიც საქართველოში საქმიანობენ. ფინანსური ანგარიშგება ასახავს ხელმძღვანელობის მიერ საქართველოს ბიზნესგარემოს გავლენის შეფასებას კომპანიის ოპერაციებსა და ფინანსურ მდგომარეობაზე. მომავალში ბიზნესგარემო შესაძლოა ხელმძღვანელობის შეფასებისგან განსხვავდებოდეს. უკრაინაში რუსეთის შეჭრის შედეგად ბევრმა წამყვანმა ქვეყანამ და ეკონომიკურმა კავშირმა უმკაცრესი ეკონომიკური სანქციები დაუწესა რუსეთს, მათ შორის რუსულ ბანკებს, სხვა საწარმოებსა და ფიზიკურ პირებს. ომის დაწყების შემდეგ რუსული რუბლი უცხოურ ვალუტებთან

მიმართებით მნიშვნელოვანი ცვლადობით ხასიათდებოდა, ასევე გაუფასურდა რუსული ფასიანი ქაღალდების ბაზრების და სხვა ბაზრებზე რეგისტრირებული რუსული კომპანიების ღირებულება. სიტუაცია ჯერ კიდევ ვითარდება, თუმცა უკვე გამოიწვია ჰუმანიტარული კრიზისი და უზარმაზარი ეკონომიკური ზარალი უკრაინაში, რუსეთსა და დანარჩენ მსოფლიოში. უკრაინა და რუსეთი საქართველოს მნიშვნელოვანი სავაჭრო პარტნიორები არიან. ომს მნიშვნელოვანი გავლენა ჰქონდა ქართულ ეკონომიკაზე; საქართველოში გადმოსახლებული რუსი და უკრაინელი მოქალაქეების მიერ უცხოურ ვალუტაში განხორციელებულმა ფულადმა გზავნილებმა მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ქართული ლარის გამყარებას უცხოურ ვალუტასთან მიმართებით. ვინაიდან ომი ჯერაც მიმდინარეობს, შეუძლებელია იმის სარწმუნოდ შეფასება, თუ როგორ აისახება საბოლოოდ ეს კომპანიის საქმიანობაზე, ასევე გაურკვეველია, რა მასშტაბის გავლენას მოახდენს ის ზოგადად ეკონომიკაზე. კომპანიის ხელმძღვანელობა თვალს ადევნებს ეკონომიკურ ვითარებას შექმნილ გარემოში

### **ადამიანთა უფლებები**

კომპანია ზრუნავს როგორც დასაქმებულების, ასევე მომხმარებელთა უფლებების დაცვაზე, კერძოდ: ა) კომპანია სრულად ადაპტირებულია მოქმედ კანონმდებლობაში განმტკიცებულ დასაქმებულთა უფლებების დაცვის წესრიგთან. შრომითი მოვალეობების შესრულების პროცესში დასაქმებულები უზრუნველყოფილნი არიან სათანადო შესვენების და დასვენების დროით, შევსებულებით, მაღალი კლასის სამედიცინო დაზღვევით და სხვა სოციალური დაცვის გარანტიებით, ამასთანავე, კომპანიაში მოქმედებს სავალდებულო საპენსიო სქემა. განსაკუთრებული ყურადღება ექცევა დასაქმებულთა მიმართ დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრას, მათ შორის წინასახელშეკრულებო ეტაპზე. კომპანიაში შექმნილია შრომის უსაფრთხოების დეპარტამენტი, რომელიც აქტიურად არის ჩართული უსაფრთხო შრომის პირობების შექმნაში. შემუშავებულია რისკების შეფასების დოკუმენტი, სადაც იდენტიფიცირებულია კომპანიის საქმიანობის პროფილის შესაბამისი რისკები და განსაზღვრულია რისკების საშიშროების აღმოფხვრისა და პრევენციის ღონისძიებები. ბ) კომპანიაში მოქმედებს პრეტენზიების მართვის დეპარტამენტი, რომელიც მომხმარებელთა პრეტენზიებზე ახდენს რეაგირებას, ხოლო ყოველთვიურად ეროვნულ ბანკს უზიარებს რეაგირების შედეგებს. თითოეული პრეტენზია ინდივიდუალურად შეისწავლება და გადაწყვეტილება მიიღება კომპლექსური მოკვლევის საფუძველზე.

### **კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლა**

კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო უძღვება კორუფციის საწინააღმდეგო პოლიტიკის დანერგვას და აღსრულებას. ამ საქმიანობაში ნულოვანი ტოლერანტობაა გაცხადებული კორუფციული მიზნით განხორციელებული ფაქტების მიმართ, როგორცაა ვინმესთვის რაიმე ღირებულის მქონე სარგებლის დაუმსახურებლად შეთავაზება ან მიღება, ასევე არასათანადო გადახდები საჯარო მოხელეების ან კერძო პირების მიმართ, მათი მხრიდან რაიმე სახის უპირატესობის მისაღებად, რაც მოიცავს როგორც ქრთამის გადახდის დაპირებას (პირდაპირ თუ არაპირდაპირ), ასევე მის მიღებაში ნებისმიერი ფორმით დახმარებასაც.



## **დასაქმების საკითხები**

### **ჩვენი გუნდი**

შპს მისო „რიკო ექსპრესში“ 2023 წლის განმავლობაში თანამშრომელთა საშუალო რაოდენობა იყო 636 თანამშრომელი. თანამშრომელთა მიღება ხდება გასაუბრების საფუძველზე. უამრავი კანდიდატიდან კომპანია არჩევს ყველაზე მოტივირებულ, მონდომებულ და კეთილსინდისიერ თანამშრომლებს, რომლებიც თავიდან მიიღებიან სტაჟირების ხელშეკრულების საფუძველზე. სტაჟირების წარმატებულად გავლის შემდგომ მათთან იდება ძირითადი დასაქმების ხელშეკრულება.

საქმიანობაში უმთავრესი და უპირველესი არის ადამიანური რესურსი, ამიტომ ვცდილობთ მათთვის შეიქმნას ოპტიმალური და ჯანსაღი პირობები ეფექტური და წარმატებული შრომისათვის. თანამშრომლებისადმი მიდგომის საბაზისო საყრდენი არის სამართლიანობა, რაც გამოიხატება ადეკვატური ანაზღაურებით და პრემიების გაცემით, ყოველწლიურად ხდება ხელფასის გადახედვა და ზრდა. არ ხდება უსაფუძვლო პრივილეგიები სამსახურში აყვანის დაწინაურების, ხელფასის თუ პრემიის გაცემისას. კომპანია იღებს თავის წილ პასუხისმგებლობას დასაქმებულების წინაშე და სანაცვლოდაც მათგან მოითხოვს კეთილსინდისიერ და ნაყოფიერ საქმიანობას მასზე დაკისრებული მოვალეობის შესრულებისას, რაც გათვალისწინებულია კომპანიის მიერ გამოცემულ შინაგანაწესში.

### **უსაფრთხოება და ჯანსაღი გარემო სამუშაო ადგილზე**

კანონმდებლობის შესაბამისად კომპანიაში დაცულია უსაფრთხოების სტანდარტები, რათა თანამშრომლებისთვის შექმნილი იყოს ჯანსაღი და უსაფრთხო გარემო.

კომპანიის სათავო ოფისსა და ფილიალებში მოწყობილია აუდიო-ვიდეო მონიტორინგისა და სიგნალიზაციის სისტემები. სამუშაოს სპეციფიკიდან გამომდინარე, ზოგიერთ ადგილას გამოყენებულია ბეტონის კედლები და დაჯავშნილი მინები. ყველა თანამშრომელი დატრენინგებულია, თუ როგორ უნდა მოიქცეს საეჭვო სიტუაციებში. ყოველივე აღნიშნული უზრუნველყოფს თანამშრომელთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვასა და უსაფრთხოებას.

ფილიალებში განთავსებულია ცეცხლმაქრები და შენობის საევაკუაციო გეგმა, რომლის შესახებაც ინფორმირებულები არიან თანამშრომლები. ასევე, გამართულია სავენტილაციო სისტემა, რაც დადებითად აისახება თანამშრომლის ჯანმრთელობასა და შრომის ნაყოფიერებაზე.

კომპანია თავისი ხარჯებით უზრუნველყოფს ყველა თანამშრომელს ჯანმრთელობის და სამოგზაურო დაზღვევით.

კომპანია ზრუნავს არამარტო თანამშრომლების უფლებების დაცვაზე, არამედ მომხმარებელთა უფლებებზეც. ამ მიზნით შემუშავებულია შესაბამისი პოლიტიკა, რომელიც უზრუნველყოფს მომხმარებელთა პრეტენზიების მიღებას, განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესს. მუდმივად ხდება შემოსულ პრეტენზიებზე რეაგირება.

### **კომპანიის წინაშე არსებული ძირითადი რისკები და გაურკვევლობები**

კომპანიის ბიზნესი რეგულირდება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ. თუ კომპანია ვერ შეძლებს ბიზნეს ოპერაციების მარეგულირებელ კანონებსა და რეგულაციებთან შესაბამისობას, ასევე, ბიზნეს ოპერაციების საწარმოებლად საჭირო ყველა ნებართვის მოპოვებას ან მათი პირობების დაცვას ან და თუ საგადასახადო ინსპექცია აღმოაჩენს დარღვევებს, კომპანიას შეიძლება დაუწესდეს სერიოზული საურავები და ჯარიმები ან უფრო მკაცრი სანქციები, მათ შორის კომპანიის ბიზნეს აქტივობის მნიშვნელოვანი

ნაწილის შეწყვეტა, რეგისტრაციის შეჩერება ან გაუქმება ან სისხლისსამართლებრივი სასჯელის გამოყენება მომუშავე ოფიცრების მიმართ.

თუ კომპანია ვერ შეძლებს ბიზნეს ოპერაციების მარეგულირებელ კანონებსა და რეგულაციებთან შესაბამისობას, კომპანიას შესაძლოა აეკრძალოს სამომხმარებლო სესხების გაცემა. მოქმედ წლიურ საპროცენტო განაკვეთებზე ზედა ზღვარის შემოღებამაც შეიძლება გააუარესოს კომპანიის ფინანსური მდგომარეობა.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი მიკროსაფინანსო ორგანიზაციების რეგულირებისთვის „მსუბუქი ზედამხედველობის რეჟიმს“ იყენებს, ნებისმიერი ცვლილება ამ რეგულაციებში და ამ ცვლილებებთან შესაბამისობა რისკის ქვეშ აყენებს კომპანიის მომავალ ოპერაციებს.

სექტორში ოპერირებისთვის მიკროსაფინანსო ორგანიზაციებმა უნდა შეასრულონ ეროვნული ბანკის მოთხოვნები, რომლებიც მიკროსაფინანსო ორგანიზაციად რეგისტრირებას ეხება. მიკროსაფინანსო ორგანიზაციების მიმართ მთავარი მოთხოვნებია: 1) მინიმუმ 1 000 000 ლარის ოდენობის საწესდებო კაპიტალი, 2) სესხების გაცემა 100 000 ლარამდე, 3) მხოლოდ საკრედიტო ოპერაციების განხორციელება და უარის თქმა მომხმარებლებისგან დეპოზიტების მიღებაზე, 4) წლიური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმუმია ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მაქსიმუმ 50%-მდე და 5) წლიური ჯარიმის საპროცენტო განაკვეთი სესხის ძირითადი თანხის მაქსიმუმ 1,5-მაგ ოდენობამდე.

2018 წლის იანვრიდან მოქმედ წლიურ საპროცენტო განაკვეთზე ზედა ზღვრის დაწესების შედეგად რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაციამ შეწყვიტა საქმიანობა, რადგან ფუნქციონირებისთვის საჭირო საოპერაციო მოგებას ვეღარ იღებდა. ამრიგად, არსებულ მოთხოვნებში რაიმე ცვლილებამ ან ახალი მოთხოვნების შემოღებამ შეიძლება კომპანია აიძულოს, შეწყვიტოს ოპერირება მოთხოვნებთან შეუსაბამობის გამო ან იმის გამო, რომ ბიზნესი ვერ აკმაყოფილებს ამგვარ მკაცრ მოთხოვნებს.

### **ფინანსური რისკების მართვა**

ფინანსური კომპანიების მთავარ საფრთხეს წარმოადგენს საბაზრო, საკრედიტო და ლიკვიდურობის რისკები. **საბაზრო რისკს** წარმოადგენს სავალუტო და საპროცენტო რისკები. **საკრედიტო რისკი** ეს არის კონტრაგენტების მიერ თავისი ვალდებულებების შესრულების უუნარობით გამოწვეული დანაკარგი, კერძოდ პროცენტების და ვალის ძირითადი თანხის საკრედიტო ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადაში გადაუხდელობის გამო. კომპანიის მთავარი ამოცანაა მოახდინოს რისკების იდენტიფიკაცია და შესაბამისი ღონისძიებების გატარება. ხორციელდება კომპანიაში არსებული ქონებისა და რესურსების პროდუქტიული განაწილება და გამოყენების ხელშეწყობა, აქტივების დაცვა და გაძლიერება, ადამიანური რესურსებისა და ინსტიტუციონალური ცოდნის ბაზის განვითარება და გაძლიერება, ოპერაციების ოპტიმიზაცია და სხვა. კომპანია აფასებს იდენტიფიცირებულ რისკებს, თუ რომელი და რა დონის რისკისთვის არის მზად, ასევე რა ღონისძიებები გაატაროს რისკის შესამცირებლად. რისკების შემცირების მიზნით, კრედიტის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებები მიიღება ძირითადად მსესხებლის გადახდისუნარიანობის და კრედიტუნარიანობის საფუძველზე. უზრუნველყოფის საშუალებებს კომპანია იყენებს საკრედიტო რისკის შესამცირებლად.

## საკრედიტო, საბაზრო და სხვა რისკების მიმოხილვა

კომპანიის საქმიანობისათვის გარკვეული რისკებია დამახასიათებელი და მათი მართვა ხორციელდება გამოვლენის, შეფასებისა და კონტროლის უწყვეტი პროცესით. რისკის მართვის ამ პროცესს გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს კომპანიის უწყვეტი შემოსავლიანობისთვის. ხელმძღვანელობის ზედა რგოლი პასუხს აგებს და უშუალოდაა ჩართული რისკის მართვის საქმიანობაში. კომპანიის სამეთვალყურეო საბჭო იღებს რისკის მართვის შესაბამის გადაწყვეტილებებს (რომლებიც მოიცავს როგორც ქვემოთ აღწერილ ფინანსურ რისკს, ისე ბიზნეს რისკებს, როგორცაა გარემოს, ტექნოლოგიებისა და დარგის ცვლილებები) რეგულარულ შეხვედრებზე, რომლებიც მინიმუმ თვეში ორჯერ ტარდება. კომპანიას ძირითადად აქვს საკრედიტო, ლიკვიდურობის და სავალუტო რისკები. მისთვის ასევე, დამახასიათებელია საოპერაციო რისკები.

## საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის რისკი იმისა, რომ ფინანსური ინსტრუმენტის მონაწილე მხარე ვერ შეძლებს მოვალეობის შესრულებას და ამით მეორე მხარეს ფინანსურ ზარალს მიაყენებს.

კომპანიის საკრედიტო რისკის მაქსიმალური მოცულობა უდრის თავისი ფულადი სახსრების (გარდა ნაღდი ფულის ნაშთისა სალაროში), გაცემული სესხების, დებიტორული დავალიანების და წარმოებული ფინანსური აქტივების საბალანსო ღირებულებას. სალომბარდო სესხებთან დაკავშირებული საკრედიტო რისკები ძირითადად იმართება, სესხების უზრუნველყოფის მოთხოვნით. გარდა ამისა, კომპანია ზღუდავს და აკონტროლებს ერთ მსესხებელზე ან მსესხებელთა ჯგუფზე გაცემული სალომბარდო სესხების თანხას (მაქსიმუმ 100 000 ლარი) და არ არსებობს ერთი მსესხებელი, რომელზეც მნიშვნელოვანი ნაშთი მოდის, სალომბარდო სესხების მთლიან ნაშთთან მიმართებაში.

იპოთეკური სესხის შემთხვევაში, სესხის მომთხოვნი პირი ჯერ ავსებს სასესხო განაცხადს, რომელსაც განიხილავს და აანალიზებს კომპანიის საკრედიტო განყოფილება. თუ განაცხადს დაამტკიცებს საკრედიტო განყოფილება, შემდეგ ტარდება გასაუბრება პირადად კლიენტთან კომპანიის დირექტორისა და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მიერ. თუ კომპანიის დირექტორი და სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე დაასკვნიან, რომ აღნიშნული კლიენტის შემთხვევაში საკრედიტო რისკის მისაღები დონე არსებობს, შემდეგ ხდება დასაგირავებელი ქონების შეფასება და გაიცემა იპოთეკური სესხი, რომლის თანხაც არ აღემატება ქონების სალიკვიდაციო ღირებულების 30%-ს. ეს არის ის მიახლოებითი თანხა, რომლის მიღებაც მოსალოდნელია აქტივის დაჩქარებული წესით გაყიდვის შედეგად, ვიდრე იქნებოდა დამოუკიდებელ მყიდველზე ჩვეულებრივი გაყიდვის პირობებში.

სალომბარდო სესხის შემთხვევაში თუ მსესხებელი 15 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში ვერ განახორციელებს შენატანს, კომპანია კლიენტს უგზავნის ოფიციალური გაფრთხილების წერილს და თუ მსესხებელი დამატებით მიცემულ ვადაშიც არ დაფარავს დავალიანებას, მაშინ კომპანია ჩამოწერს სესხს და ყიდის უზრუნველყოფის საგანს.

იპოთეკური სესხების შემთხვევაში, ოფიციალური გაფრთხილების წერილი იგზავნება მაშინ, თუ მსესხებელი ვერ გადაიხდის 30 დღეზე მეტი ხნის განმავლობაში და წერილი ასევე, ქვეყნდება გაზეთში. თუ მსესხებელი ვერ გადაიხდის დავალიანებას დროულად კომპანიის თანამშრომელი კლიენტს უკავშირდება ტელეფონით ან მოკლე ტექსტური შეტყობინებით და მოსთხოვს თანხის დაფარვას. ჩვეულებრივ, კომპანია სასამართლოს მხოლოდ მაშინ მიმართავს დაგირავებული უძრავი ქონების გაყიდვის მოთხოვნით, როდესაც სესხი 60 დღეზე მეტი დღითაა ვადაგადაცილებული. თუმცა გარკვეულ შემთხვევებში, კომპანია ცდილობს კლიენტთან სესხის შეცვლილ პირობებზე მოლაპარაკებას, დაგირავებული ქონების გაყიდვის



თავიდან აცილების მიზნით. როგორც წესი, სასამართლო აკმაყოფილებს კომპანიის მოთხოვნა და აქტივები იყიდება კომპანიის მიმართ მსესხებლის დავალიანების დასაფარად. თუმცა, ხშირად ჯარიმების დაფარვა არ ხდება. სასამართლოში საქმის წარმოებას შეიძლება დაახლოების ერთი წელი დასჭირდეს, ხოლო აღსრულების პროცესს კიდევ 3 თვე.

## საბაზრო რისკი

საბაზრო რისკი არის რისკი, რომელიც განაპირობებს ინვესტიციის ღირებულების შემცირებას საბაზრო ფაქტორების ცვლილებების გამო. ეს ფაქტორები გავლენას ახდენენ მთლიანად პროცესზე და ფინანსური ბაზრების მდგომარეობაზე. იგი შეიძლება შემცირდეს მხოლოდ აქტივების დივერსიფიცირებით, რომლებიც არ არიან კორელირებული ბაზართან როგორცაა ალტერნატიული კლასის აქტივები. საბაზრო რისკს „სისტემურ რისკსაც“ უწოდებენ, რადგან ის დაკავშირებულია ფაქტორებთან, მაგალითად როგორცაა რეცესია, რომელიც გავლენას ახდენს მთლიანად ბაზარზე. საბაზრო რისკი მოიცავს შემდეგ რისკ ფაქტორებს, რომელთა ერთობლიობაც ქმნის საბაზრო რისკს:

1. სავალუტო რისკი - ეს არის სავალუტო გაცვლის კურსის ცვლილება გაიზრდება თუ შემცირდება.
2. კაპიტალის რისკი - აქციათა ფასის ცვლილება გაიზრდება თუ შემცირდება.
3. ინფლაციის რისკი - ინფლაციამ პოტენციურად შეუძლია განაპირობოს ფასების ზრდა ყველა საქონელზე და მომსახურებაზე, რომელიც თავის მხრივ იწვევს ფულის გაუფასურებას.
3. საპროცენტო განაკვეთების რისკი - რისკი, რომელიც მოდის პროცენტის გაზრდის ან შემცირების საფუძველზე.

ფინანსური ისტებლიშმენტი რუტინულად ეჩეხება სხვადასხვა ტიპის რისკებს საოპერაციო საქმიანობისას. რისკები განპირობებული ფინანსური ზარალის გაურკვეველობით, შეუძლია დაასახიჩროს ბიზნესი ან ზიანი მიაყენოს დროსთან ერთად თუ დროულად არ დაგეგმვთ მას. რისკის მართვის მექანიზმი უნდა შემუშავდეს რისკების მართვის ფილოსოფიის საფუძველზე, რათა მინიმუმაცა გაფუკეთოთ იმ რისკებს, რომელთაც შეუძლიათ მნიშვნელოვნად დააზარალონ კომპანიის ფინანსური მდგომარეობა. ეს გულისხმობს პოტენციური რისკების გამოვლენას, ანალიზს და იმ ღონისძიებების გატარებას, რომელიც ამ რისკებს შეამცირებს ან გააუფნებლებს.

ყველაფერი ზემოთ თქმულიდან გამომდინარე კომპანიის ძირითადი ამოცანაა თანამედროვე მეთოდებით და ტექნოლოგიებით ყველა საჭირო ინფორმაციის მოძიება, შეგროვება და ანალიზი. ამავდროულად საოპერაციო საკრედიტო რისკების ეფექტური მართვა და სახელმწიფო რეგულაციების სწორი გაგება და შესატყვისი შიდა განაწესის პოლიტიკის შემუშავება რათა კომპანიის მართვა შესაბამებოდეს სახელმწიფო რეგულაციებს და ნორმატივებს. ყველაფერი ეს არის ერთ-ერთი პერსპექტიული ინსტრუმენტი, რომელიც ხელს შეუწყობს გავიგოთ ყველაზე მკაცრი, პერმანენტული და მნიშვნელოვანი რისკების პოტენციური ბიზნესში და უზრუნველვყოთ დანაკარგების შემცირება კომპანიის საქმიანობაში.

## სავალუტო რისკი

უცხოურ ვალუტაში გამოხატული აქტივებისა და ვალდებულებების გამო არსებობს სავალუტო რისკი. სავალუტო რისკს ხელმძღვანელობა აკონტროლებს სესხების გაცემით და დაფინანსების მიღებით ერთსა და იმავე ვალუტაში.

### **საოპერაციო რისკი**

საოპერაციო რისკი წარმოადგენს დანაკარგის რისკს, რომელიც წარმოიქმნება სისტემების მწყობრიდან გამოსვლის, ადამიანური შეცდომის, თაღლითობის ან გარე მიზეზების გამო. როდესაც არ ხორციელდება კონტროლი საოპერაციო რისკებმა შესაძლოა გამოიწვიოს რეპუტაციის შელახვა, სამართლებრივი, ან მარეგულირებელი ზომები ან ფინანსური ზარალი. კომპანია საოპერაციო რისკს ძირითადად ამცირებს იმით, რომ ხელმძღვანელობის ზედა რგოლი უშუალოდაა ჩართული კომპანიის პროცესებსა და ოპერაციებში, შეფასების, ავტორიზაციისა და შეჯერების პროცედურების ჩათვლით. საოპერაციო რისკის შემცირება ხდება კონტროლის სისტემის მეშვეობით, რაც გულისხმობს მოვალეობების ეფექტურ გადანაწილებას, თანამშრომლების სპეციალიზირებას, შიდა აუდიტს.

### **სამომავლო სტრატეგია და მიზნები**

კომპანია მიზნად ისახავს გააგრძელოს ბოლო წლების საქმიანობა, განვითარების მაღალი მაჩვენებლების შენარჩუნება, იგეგმება დამატებითი ფილიალების გახსნა ახალ გეოგრაფიულ არეალებში - საქართველოს მასშტაბით ყველა რეგიონში, კადრების მოზიდვა, მოსახლეობისთვის ფინანსური მომსახურებისას მეტი კომფორტის მიწოდება და რაც მთავარია წლიური ბრუნვის შენარჩუნება და ზრდა, რაც თავის მხრივ ბიუჯეტში მიმართული თანხების ზრდის პირდაპირპროპორციულია. აღსანიშნავია, რომ არ იგეგმება მიმართულების რადიკალური ცვლილება ან არა-პროფილურ ბიზნესებში შესვლა. კომპანიის გეგმებით, აღნიშნული კაპიტალური დანახარჯების ფინანსირება მოხდება საკუთარი რესურსებით. დამატებით კომპანია გეგმავს განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილოს ადამიანურ რესურსზე: მოიზიდოს პროფესიონალი კადრები და მოახდინოს არსებული დასაქმებული კადრების გადამზადება. კომპანიის სტრატეგიაა განაგრძოს მოსახლეობისთვის ფინანსური მომსახურებისას მეტი კომფორტის მიწოდება, დაწეროს ინოვაციური პროდუქტები და მოახდინოს კომპანიის სერვისების დიჯიტალიზაცია, რითაც გაიზრდება პროდუქტებზე ელექტრონული ხელმისაწვდომობა. აღსანიშნავია, რომ ამისათვის კომპანიაში უკვე აშენდა თანამედროვე და მაღალი სტანდარტებისა და ტექნიკური აღჭურვილობის დატაცენტრი. დამატებით, კომპანიაში დაინერგა ALTA პროგრამული უზრუნველყოფა, რომელიც სრულად აკმაყოფილებს ბიზნესთან და საბანკო მარეგულირებელთან დაკავშირებულ საკითხებს.

### **გარემოს დაცვის საკითხები**

კომპანია, გარემოს დაცვის მიზნით, გამონაბოლქვის შესამცირებლად, ეტაპობრივად ახორციელებს საწვავზე მომუშავე მანქანების ელექტრო მანქანებით ჩანაცვლებას.

### **კომპანიის მიერ წარმოებული კვლევები**

საანგარიშო პერიოდში კომპანიას არ უწარმოებია კვლევები.

## აუდიტორის საზღაური

2023 და 2022 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლებისთვის კომპანიის აუდიტორის ანაზღაურება შეადგენს შემდეგს ( დღგ-ს ჩათვლის გარეშე ათას ლარებში): 2022 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გასამრჯელო - 135 ათასი ლარი, 2023 წლის ფინანსური ანგარიშგების აუდიტის გასამრჯელო - 178 ათასი ლარი. აგრეთვე სხვა პროფესიული მომსახურებების დანახარჯებმა შეადგინა: 2022 წელს 22 ათასი ლარი (დღგ-ს ჩათვლის გარეშე) და 2023 წელს 22 ათასი ლარი (დღგ-ს ჩათვლის გარეშე).

დირექტორი:

თამარ გოგობე

14.05.2024

